


ე
რ
ი
მ
ა
ნ
დ
ე
ს
ტ
ე
რ

40 წელი და მთელი ცხოვრება

ბულონის ხომ ექვთიმიშვილი
ჩემი გულის მიწყვებორა



නැගුත්කමුවෙන්
සැමැනිතුද
උගින්තාපාදා
භාග්‍යාපාද
ප්‍රතිස්ථා
ප්‍රතිචාලන පැමිතුද
දෙන නැගුතුදී'

ප්‍රතිස්ථා පැයාම්
දා පොදුවේරුම්
පැමිතුද පැමිතුදී

උගුත්කමාතුරිනුද
සැමැනිතුද
වැඩ පැමිතුදී

ඇඟිල් මුළුමැද්දුක්
තැන පැමිතුදී
පැය පැමිතුදී
තැබා පැමිතුදී

ඇඟිල් පැමිතුදී ගුදය
සැමැනිතුද පැමිතුදී
දා පැමිතුද පැමිතුදී
සැමැනිතුද පැමිතුදී

බුද්ධ පැමිතුදී පැමිතුදී
මා පැමිතුද පැමිතුදී

මැදුල්ල
2015




კუნძულ
მუსიკური

40 წელი
გი გაიკარ
ცხოვობს

საქართველოს
სპორტულ ჟურნალისტთა
ასოციაციის გამოცემა

თბილისი
2015



საქართველოს
სპორტულ უურნალისცთა
ასოციაციის პროექტი
„ქართული სპორტის
დიდი სახელები“

პროექტის ავტორი
და რედაქტორი
გიორგი გორგოძე

ლიტერატურული ჩანაწერი
გაუსა სიმონიშვილისა

წიგნზე მუშაობდნენ:
ზაზა ასანიშვილი
ილია ბაბუნაშვილი
თამაზ მიგრიაული


წიგნში გამოყენებულია
სანდოო კოტორაშვილისა
და გურამ მინაშვილის
საარქივო ფოტოები

წიგნი დაბეჭდილია სცამბაში
შპს „ფავორიტი სტილი“

თბილისი
2015

ISBN 978-9941-0-7226-0

თბილისის ლენინის სახელობის დარბაზი.
უდინამო “„ყალღირისი“ ბურთის ხელში,
როგორც მიხვდით, მე ვარ. სახეებით მოჩანან
პუ ზალისი და ლაურიტენასი (მარჯვნივ)





რედაქტორის ცინათქმა

მური ხოდ
კურათებები მოზ
გრიფ მაჩვენებელი

NBA-ს ლოგოზე ლეგენდარული ჯერი ვესტის სილუეტია, რომლის პირისპირ უთამაშია...

თუ როდესმე ეღირსება ჩვენს საკალათბურთო ლიგას შესაფერისი ლოგო, მაშინ ის გურამ მინაშვილის თარგზე უნდა იყოს გამოჭრილი. ლეგენდარული ოთარ ქორქიას თამაშს არ მოვსწრებივარ, ქართული კალათბურთის სხვა დიდი სახეები კი ნუ გვიწყენენ არჩევანისთვის.

ხალასი ნიჭი, იშვიათი პროფესიონალიზმი, გამორჩეული ინტელექტი, ხასიათის სიმტკიცე, უღალატობა და ერთგულება, წინამძღოლების – ნალდი კაპიტნის თვისებები, აზროვნების მასშტაბი, წაგებასთან შეუგუებლობა, ჯიში და ლაზათი, მამაკაცური ხიბლი – ეს გურამ მინაშვილის ლირსებების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია.


როგორი სიხარულით და სიამოვნებით ვმუშაობდით მის წიგნზე „ორმოცი წუთი და მთელი სიცოცხლე კალათბურთში“ (სამუშაო სახელწოდება), ასეთი თვალსაზრისის მთხობელი მანამდე არ შეგვევედრია. მრავალმხრივ საინტერესო პიროვნება გახლდათ, წიგნზე მუშაობისას თანდათან თვითონაც აგვყვა, პროცესმა გაიტაცა და როცა წიგნის ავტორმა ვაჟა სიმონიშვილმა წიგნის საფინალო ნაწილი მიუტანა (რამდენიმე ფოტოზე მინაწერი მასთან ერთად უნდა გაეკეთებინა), ორშაბათისთვის დაიბარა.

წიგნის სათაურის ბოლო ვარიანტად მისივე გულიდან წამოსული მშვენიერი ფრაზა შევიგულეთ: „ბურთს კალათისკენ ჩემი გულიც მიჰყვებოდა“. ორშაბათისთვის გადაგვიდო პასუხი...

2 მარტს, ორშაბათს, ბატონი გურამის სახლის კარი უკვე სხვამ გააღო... წინა საღამოს გურამ მინაშვილს გულმა უმტყუნა...

ბურთს ხომ კალათისკენ მისი გულიც მიჰყვებოდა!..

გიორგი გორგოძე



გურამ მინაშვილი

1950-60-იანი წლები ქართული კალათბურთის ოქროს ხანაა, რა პერიოდშიც თბილისში ევროპის ჩემპიონთა თასი ჩამოვიტანეთ. გარდა მშრალი სტატისტიკისა, იყო უამრავი ემოცია, ნერვების ჭიდილი, ბრძოლა მოედანზე თუ მის მიღმა... კულისები ბევრ საიდუმლოს ინახავს და არ მინდოდა, ეს ყველაფერი ქართველი გულშემატკივრისთვის სამუდამოდ მიუწვდომელი ყოფილიყო, ჩვენი კალათბურთის ისტორიის ყველაზე „მოსავლიანი“ ეტაპი ბენები დარჩენილიყო. ამიტომაც მოვკიდე ხელი კალამს 78 წლის ასაკში და ვეცადე ზედმინევნით გამეხსენებინა ყველა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ნიუანსი ჩემი საკალათბურთო ცხოვრებიდან.

თბილისის „დინამოში“ 1953-დან 1966 წლამდე ვთამაშობდი. ამ პერიოდში საქართველოში მყოფი ადამიანისთვის ბევრი რამ იყო მიუწვდომელი. მაგალითად, ვიცოდით, რომ NBA უმაღლესი დონის ლიგა იყო, თუმცა, მისი მატჩებისთვის თვალის დევნების სამუალება არ გვქონდა. მხოლოდ ერთეულებს ეძლეოდათ NBA-ს მოთამაშების ხილვის და მსოფლიოს კალათბურთის მაჯისცემის შეტყობის შესაძლებლობა – მათ, ვინც სსრ კავშირის ნაკრებში თამაშობდა. ბედნიერი ვარ, რომ ოთარ ქორქიას შემდეგ ჩემი ჯერი დადგა. მართალია, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ისეთი წონით არ ვიყავი, როგორც ბატონი ოთარი, მაგრამ წლების განმავლობაში მუდმივი წევრი გახლდით და ხუთეულშიც ჩემი ადგილი მქონდა.

იმ პერიოდის ევროპულ, თუ მსოფლიოს კალათბურთზე, ბევრ დღემდე და-ფარულ ამბავზე დეტალურად ვაპირებ თხრობას. რომ არა ნაკრებში მოხვედრა, შეიძლებოდა, ნარმოდგენაც არ მქონოდა, რომ მსოფლიოში იმაზე ათასჯერ უკეთესი ხარისხის სპორტული ფეხსაცმელი თუ ფორმა არსებობდა, ვიდრე საბჭოებში იწარმოებოდა. ნაკრებს ხომ ყოველთვის საუკეთესო უცხოური ფირმის ეკიპირებით მოსავდნენ...

თუ ეს საკმარისი იქნება, მინდა ამ წიგნით ერთგვარად პატივი მივაგო ჩემს მწვრთნელებსა და თანაგუნდელებს. ბედმა გამიღიმა, რომ ოთხ უდიდეს მწვრთნელთან მომინია მუშაობა – შალვა დიასამიდესთან, მიხეილ კეკელიძესთან, გიორგი ავალიშვილთან და ოთარ ქორქიასთან. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ მოედანზე საბრძოლოდ, უმაღლესი დონის პროფესიონალებთან და დიდებულ პიროვნებებთან ერთად გავდიოდი. სამწუხაროდ, ჩემი თანამებრძოლების რიცხვი თანდათან მცირდება... 1962 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი გუნდიდან მხოლოდ სამნიღა დავრჩით...

მართალია, წლების განმავლობაში იცვლება საკალათბურთო წესები თუ თამაშის ტაქტიკური მონახაზი, მაგრამ არ იცვლება მიდგომა, განწყობა, სპორტის ამ სახეობის არსი. მოხარული ვიქნები, ეს ავტობიოგრაფია ოდნავ მაინც თუ დაეხმარება იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ კარიერის ბოლოს ამაყად თქვან: მისი უდიდებულესობა კალათბურთი და მე... გადაწყვეტილი აქვთ, ცხოვრება სპორტის ამ სახეობას მიუძღვნან. „40-წუთიანი“ წიგნის წაკითხვის შემდეგ დარწმუნდებით, რომ წარმოუდგენელია დიდ სიმაღლეებზე ასვლა ენერგიის გამოზოგვით. თუ გინდა რამეს მიაღწიო, ბოლომდე უნდა დაიხარჯო. არ შეიძლება, კალათბურთი სხვა საქმესთან გაყო: სკოლასა თუ ინსტიტუტში ვსწავლობდი არა კარგი ნიშნებისა და მედლებისთვის, არამედ იმისთვის, რომ თვალსაწიერი გამეფართოვებინა, რაც ისევადისევ კალათბურთს უნდა დახმარებოდა.

დღეს საქართველოში ნებისმიერი სპორტისთვის რთულია თავის გატანა. ჯანსაღ, მაგრამ უშედავათო ბრძოლაში კალათბურთს რაგბთან, წყალბურთთან, ხელბურთთან უხდება ბრძოლა, ფეხბურთზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ვიმედოვნებ, თავისი კეთილი მაგალითებით ეს წიგნიც გარკვეულწილად დაეხმარება კალათბურთს ამ კონკურენციაში.

„მისი უდიდებულესობა კალათბურთი და მე“ – ეს ფრაზა იოლად მიგახვედრებთ, რა ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში სპორტის ამ სახეობას. ცხოვრებაც ერთგვარი თამაშია და ისე სწრაფად მიედინება, როგორც 40-წუთიანი საკალათბურთო მატჩი. ამიტომ, ჩემი წიგნიც 40 თავად, 40 წუთად დავყავი ყოველგვარი დამატებითი დროის გარეშე...

ყველა ზემოთჩამოთვლილი მიზეზი, რამაც ხელში კალამი ამაღებინა, ფუჭი აღმოჩნდებოდა, რომ არა სპორტულ უურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტის ბატონი გია გორგოძის შემოთავაზება გამოეცა ჩემი ავტობიოგრაფიული წიგნი, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებ.





1962 წელი. უენტვა. რამდენიმე წუთის წინ ფიბა-ს
ნარმომადგენლურისგან ჩემპიონთა თასი ჩავიძარე.
პირველ რიცხვში (მარცხნიდან): ალექსანდრე კილაძე,
მე, დლარიონ ხაზარაძე, ლევან ინწკირველი
დგანან (მარცხნიდან): რეზი გოგელია, იური ოზეროვი,
ამირან სხეირელი, თოარ ქორქია, ვალერია ალთაბაშვილი,
ლევან მოსეშვილი, უილიამ ჯონსი (ფიბა-ს პრეზიდენტი),
ვლადიმერ უგრეხელიძე, ჩემთვის უცნობი (ფიბა-დან),
ანზორ ლეუპავა, ვახტანგ ლილიძე (დალგაციის ხელმძღვანელი)



საბჭოთა კავშირის ნაკრები
ამერიკული ტურნეს დროს (1959 წელი)
მარცხნიდან: სემონოვი, ტორბანი, მე,
სტუდენცი, მუიუნიეკი, ვალდმანისი

მოგენის
 მოგენის
 მოგენის
 მოგენის

მძულდა პოლიტიკა, რომელმაც საშუალება წამართვა
 მსოფლიოს ჩემპიონი გავმხდარიყავი. ასეთი შანსი ხომ ადამიანს
 შეიძლება ცხოვრებაში ერთხელ მიეცეს. სპორტულ ბრძოლაში
 დავამარცხეთ აშშ, ბრაზილია (რომელიც ჩემპიონად
 აღიარეს) და პოლიტიკური ბრძოლა წავაგეთ, სადღაც
 ჩინეთის იქით მდებარე პატარა კუნძულთან...

ჩილეში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე, ბრაზილიასთან რთული მატჩი მოვიგეთ (73:64), მასოვს 6 ქულა ჩავაგდე. მაშინ სად იყო სამქული-ანები, გამთამაშებლისთვის 10 ქულა კარგ შედეგად ითვლებოდა. ოფლში განურული გასახდელის გავლით საშაპეში შევედი, სადაც სამი კაბინა ერთმანეთისგან მხოლოდ ტიხერებით იყო გამოყოფილი. შევედი და რას ვხედავ: გურამ აბაშიძეს წილქვეშ ჰყავს გაგდებული ოლეგ კუტუზოვი...

ნამიერად გავიაზრე რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ სცენას: ქართველმა სცემა რუსი, თანაც კუტუზოვი! – ასეთი ამბის გაუღერების შემთხვევაში კარგი დღე არ დაგვადგებოდა, საბჭოთა ნაკრებიდანაც მოგვკვეთდნენ და შეიძლებოდა გურამ აბაშიძის მიმართ სანქციებიც გაეტარებინათ. მივეჭრი და ჩვენი „აპოლონა“ (გურამის მეტსახელი) კუტუზოვს გამოვაცილე.

მწვრთნელებმა მაინც გაიგეს. 1959 წლის მსოფლიოს პირველობაზე საბჭოთა კავშირის ნაკრებს სტეპან სპანდარიანი წვრთნიდა, თანაშემწედ კი ალექსანდრე გომელსკი მუშაობდა. მათ ყველაფერი გამოიკითხეს, მაგრამ დიდი ანალიზის და ბჭობის შედეგად გადაწყვიტეს, გუნდში მომხდარი უსიამოვნება გუნდშივე დარჩენილიყო.


რამდენიმე გარემოებამ გადაგვარჩინა: გურამ აბაშიძეს თბილი დამოკიდებულება ჰქონდა სპანდარიანთან. მართალია, სასტარტო ხუთეულში ვიყავი, მაგრამ სპანდარიანი „აპოლონას“ ჩემზე უკეთ უგებდა. მთავარ მწვრთნელთან მე საქმიანი ურთიერთობა მქონდა. რატომდაც მგონია, იგივე რომ გამეკეთებინა, არ მაპატიებდა. გადაგვარჩინეს რუსმა თანაგუნდელებმაც: სიტყვიერად დაგვეხმარა ვიქტორ ზუბკოვი, ხოლო მოსკოვის დინამოელმა ვლადიმირ ტორპანმა გურამ აბაშიძეს მხარი აუბა და კუტუზოვს მანაც გვარიანად უთავაზა.

რა მოხდა ბრაზილიასთან მატჩის შემდეგ დეტალურად გაგაცანით. გაგიჩნდებოდათ შეკითხვა: რატომ მოხდა? ისიც მოგეხსენებათ, რომ გურამ აბაშიძე ოლეგ კუტუზოვს უმიზეზოდ არ სცემდა. „აპოლონას“ მიზეზი რომ ვკითხე, მიპასუხა – შენ შევაგინაო.

ყველაფერი კი მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნითი მატჩიდან დაიწყო. მექსიკასთან (102:72) მხოლოდ 2 ქულა ჩავაგდე და 5 ფოლი მივიღე. მოკლედ, ისე ვერ ვითამაშე, როგორც მსურდა. არადა, სტეპან სპანდარიანი თავის სტრატეგიას არასოდეს ღალატობდა – რამდენად ცუდადაც უნდა გეთამაშა წინა მატჩში, თუ სასტარტო ხუთეულის წევრი იყავი, მეორე დღეს მაინც სასტარტოში მოხვდებოდი. ზოგიერთი მწვრთნელი ძირითად ხუთეულს მეტოქის მიხედვით არჩევს, 1959 წლის საბჭოთა კავშირის ნაკრებში კი ასე არ იყო: ხუთეულში ვთამაშობდით მე, მაიგონის ვალდმანისი, იური კორნეევი, მიხაილ სემიონოვი და ვიქტორ ზუბკოვი. გამთამაშებლის პოზიციაზე მცვლიდნენ ილეგ კუტუზოვი და იური ოზეროვი.

როგორც აღმოჩნდა, მექსიკასთან ჩემი თამაში მეორე დღესაც არ ჰქონდა დავიწყებული კუტუზოვს და ბრაზილიასთან შევედრისას სათადარიგოთა

ვიქტორ ბუბკოვი (№7) და მე (№6)
საბჭოთა კავშირის ნაკრების მატჩისას



სკაპზე მჯდომმა შემაგინა. მე მოედანზე ვიყავი და ცხადია, არ გამიგია. სწორედ ამიტომ, ვიდრე საშხაპეში სიტუაცია არ დაწყნარდა, ვერ მივხვდი, რა მოხდა.

თურმე, გურამ აბაშიძეს კუტუზოვის სიტყვები დაუმახსოვრებია და პასუხი მატჩის შემდეგ მოსთხოვა.

02:00



ბრაზილიელებს ჩილეში ორჯერ შევხვდით. ჯერ პირველ ჯგუფურ ეტაპზე, შემდეგ ფინალურ სტადიაზე. როგორც ყოველთვის, სამსრეთამერიკელებს 1959-შიც კონკურენტუნარიანი ნაკრები ჰყავდათ. ბრაზილიელებმა ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედლებიც მიიღეს...

თუ მსოფლიოზე აშშ და სსრკ მონაწილეობდნენ, ბრაზილიას ოქრო როგორ დაანებეს? – იკითხავთ. პასუხს ეტაპობრივად მოგახსენებთ. საწყის ჯგუფურ ტურნირში შევხვდით მექსიკას, ბრაზილიას და კანადას. პირველ ორს მო

ვუგეთ, კანადელებთან კი თავდაჯერებულები გავედით და დავისაჯეთ – 54:63. შედეგად, ჩვენ ბრაზილიელებსა და კანადელებს მოგება-წაგებათა თანაბარი რაოდენობა დაგვიგროვდა და ბურთების უკეთესი შეფარდებით ჯგუფიდან სსრკ და ბრაზილია გავედით.

სამი ჯგუფიდან ექვსი ნაკრები გადავიდა ფინალში. იქ მეშვიდე გუნდად მასპინძელი ჩილე დაემატა. შვიდივე ერთმანეთს უნდა შეხვედროდა და ისე გამოვლენილიყო ჩემპიონი. ბრაზილიას მეორედაც მოვუგეთ (66:63), მის გზას გავუყენეთ პუერტო რიკო (84:55), რომლის შემადგენლობაში თამაშობდა ხუან ვისენსი. ჩემთან შედარებით ტანდაბალი, ჩაფსკვნილი გამთა-მაშებელი იყო, მოგიახლოვდებოდა თუ არა, ნახტომში სტყორცნიდა. 26-28 ქულაზე იოლად ადიოდა. იგი ამერიკაში, კანზასში თამაშობდა და მოგვიანებით „ნიუ იორკისგანაც“ მიიღო მიწვევა. მწვრთნელებმა ვისენსის მეურვეობა მე დამავალეს – მას თუ გავაჩერებთ, თამაშსაც მოვიგებოთ. გავაჩერე. 16 ქულა კი ჩააგდო, მაგრამ ეს მისი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო ჩვენამდე ჩატარებულ შეხვედრებში. ძირითადად შორიდან ტყორცნებით აგროვებდა ქულებს, ფარქვეშ შესვლას იშვიათად ცდილობდა.

პუერტო რიკოსთან მატჩის მეორე დღეს მწვრთნელებმა პარკში გაგიყვანეს და იქ მითხრეს კომპლიმენტი დაცვაში კარგი თამაშისთვის. ამ პარკში ყოველდღიურად დავდიოდით, თან შეხვედრებს ვარჩევდით, თან სუფთა პაერზე ვისვენებდით. თბილისის მთაწმინდა რომ წარმოვიდგინოთ, დაახლოებით ისეთ ადგილას იყო პარკი გაშენებული. ვარჯიშებს მცირე ზომის დარბაზში ვატარებდით, რომელიც იმდენად პატარა იყო, რომ ძლივს ვეტეროდით.




ნაკრების ვარჯიში

Гრო-ერთი ჩვეულებრივი ვარჯიშისას დარბაზში ნეკერჩხლის ფოთლი-ანი ყმანვილი გამოჩნდა. ამ ნიშნით მისი ნარმომავლობის ამოცნობა იოლი იყო – ნეკერჩხლის წითელი ფოთლი ხომ კანადის სიმბოლოა. მას მეორე, ასეთივე ეკიპირებაში გამოწყობილი კალათბურთელი მოჰყვა, მე-სამე... და დარბაზი ისე გაიცის, სუნთქვა გაჭირდა.

ჩვენი ექიმი რომან ზუბოვი ინგლისურს კარგად ფლობდა და კანადელებს სტუმრობის მიზეზი ჰკითხა. აქ ნაძლევმა მოგვიყვანაო – უპასუხეს ჩრდილოამერიკელებმა. თურმე, ერთ კანადელ კალათბურთელს უნახავს, ბურთი როგორ ჩავდე კალათში და თანაგუნდელებისთვის უთქვამს – საბჭოთა ნაკრების მეექვსე ნომერი 190 სმ სიმაღლისაც არ იქნება, მაგრამ ბურთს კალათში ტენისო. კანადელებს არ დაუჯერებიათ, გუნდი ორად გაყოფილა – ერთნი თვითმხილველის მხარეს დამდგარან, მეორეები სიცრუეში სდებდნენ ბრალს.

186 სმ სიმაღლისა ვარ და ვერ ვიტყვი, რომ ბურთს ვიქტორ სანიკიძისავით ეფექტურ ნახტომში ვტენიდი. მართებული იქნება, თუ ვიტყვი – ბურთს კალათში ვდებდი. კანადელები შემოგვეხვივნენ და მთხოვეს ზემოდან გდება შემესრულებინა. ბურთი ავიღე, რაც შემეძლო მაღლა ავხტი და ნაძლევი მათ მოვაგებინე, ვისაც ჩემი ჩატენვისა სჯეროდა. არ ვიცი, სანაძლევ რაზე იყო, მაგრამ არსად დავუპატიუებივართ, ეტყობა, არცთუ საინტერესო რამეზე დანაძლევდნენ.

186 სმ სიმაღლის კალათბურთელის ჩატენვა 50-იან წლებში იყო გასაკვირი, თორებ შემდეგში ბევრი ჩემზე დაბალი მინახავს ფარსზემოთ მფრინავი. 80-იან წლებში თბილისში „ატლანტა ჰოუსი“ რომ ჩამოვიდა, 170 სმ. სიმაღლის გამთამაშებელი ახლდა, სპად ვები, რომელსაც NBA-ს ჩატენვების კონკურსი ჰქონდა მოგებული.



საბჭოთა კავშირის ნაკრებმა საწყისი ჯგუფური ეტაპიც სანტიაგოში ჩაატარა და ფინალურიც. ვასპარეზობდით ღია ცის ქვეშ, ჩილეს ნაციონალურ სტადიონზე, რომელიც სპეციალურად 1962 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატისთვის აშენდა, მოგვიანებით კი პრეზიდენტმა პინოჩეტმა სატუ-სალოდ გადააქცია.

ბრაზილიისა და პუერტო რიკოს შემდეგ ბულგარეთი (78:58), ჩილე (75:49) და აშშ (62:37) დავამარცხეთ. ეს იყო პირველი შემთხვევა საკალათბურთო ისტორიაში, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ამერიკის შეერთებულ შტატებს სძლია. 25 ქულის სხვაობით მოგება კი ერთი შეხედვით გასაკვირი იყო. თუმცა, ოკეანისგალმელები იმდენად დარწმუნებული იყვნენ თავის უპირატესობაში, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე საპარო აკადემიის გუნდი გამოგზავნეს. ეგონათ, მსოფლიოს ჩემპიონები მაინც გახდებოდნენ, მაგრამ აშშ-ს მხოლოდ ჩვენ კი არა, ბრაზილიამაც სძლია.

ფინალურ ჯგუფში ხუთი მატჩი მოვიგეთ და რჩებოდა ტაივანი, რომელთან 0:100 წაგების შემთხვევაშიც კი მსოფლიოს ჩემპიონობა გარანტირებული გვქონდა.

ფიბა-ს პრეზიდენტმა სსრკ-ტაივანის შეხვედრა განგებ გადაიტანა ბოლოში, რადგან კარგად მოეხსენებოდა პოლიტიკური დავის შესახებ. საქმე ის იყო, რომ ტაივანი დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით, ფორმოზას სახელწიფოდ მონაწილეობდა მსოფლიოს ჩემპიონატზე. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა კი ტაივანს ჩინეთის ნაწილად განიხილავდა და კატეგორიულად ენინაალმდეგებოდა ტაივანთან, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანასთან ტოლ-სწორად თამაშს.

ამ კუნძულის გამო მსოფლიოს ჩემპიონატზეც არ გვიშვებდნენ. ჩილეში გასამგზავრებლად გამზადებულებს გამოგვიცხავდეს – დაიშალეთ, მსოფლიოზე აღარ მიდიხართო. 2-3 დღით მოსკოვში, სასტუმროში გავჩერდი.

ამასობაში ჩვენი გუნდის მწვრთნელები ცეკაში მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, ჰეირდებოდნენ, რომ ტაივანს ჩილეში არ შეხვდებოდნენ, რადგან იგი სხვა ჯგუფში მოხვდა და წარმოუდგენელი იყო ტაივანის ფინალურ ეტაპზე გასვლა. მართლაც, მის ჯგუფში თამაშობდნენ აშშ და სამხრეთ ამერიკის მოქმედი ჩემპიონი – არგენტინა.

გომელსკისა და სპანდარიანის შრომაშ შედეგი გამოიღო და ხელისუფლებამ ჩილეში გაგვიშვა. ოღონდ იმ პირობით, რომ ტაივანს არ უნდა შევხვედროდით.

ბედი არ გინდა? – ქალაქ ვალპარაისოდან სანტიაგოში მოვიდა ცნობა, რომ ტაივანმა არგენტინა დაამარცხა, აშშ-ის ნაკრებთან ერთად ფინალური შვიდეულის საგზური მოიპოვა.

სსრკ-ტაივანი იმიტომაც გადადეს ბოლოსკენ, რომ ჩვენი გუნდის უფროსობას სახელმწიფოს ხელმძღვანელებისგან ტაივანთან თამაშის უფლება მიეღო.



მწვრთნელები მეორე ეტაპის დაწყების პირველივე დღიდან დეპეშას დეპეშაზე აგზავნიდნენ ცეკაში...

გავიდა ერთი დღე, პასუხი არ მოვიდა, მეორე დღესაც იგივე განმეორდა, მესამე დღეც გავიდა და... დადგა მატჩის დაწყების დრო, მაგრამ საბჭოეთიდან პასუხი არ გვეღირსა. არადა, მწვრთნელები გაფრთხილებულები იყვნენ – ტაიგანთან არ უნდა გვეთამაშა.

...მსაჯმა მატჩის დაწყების ნიშნად ბურთი მოედნის ცენტრში ააგდო, დაეუფლნენ ტაიგანელები, ჩააგდეს და თამაშიც 2:0 მოიგეს. ამ დროს მოედანზე არც ერთი ჩვენგანი არ იყო – საბჭოთა კავშირის ნაკ-

რები მოედანზე არ გავიდა. გამოუცხადებლობის გამო სსრკ-სა და ასევე სოციალისტურ ბულგარეთს დისკვალიფიკაცია მოგვცეს, ჩემპიონატიც შესაბამისად, მექევსე-მეშვიდე ადგილებზე დავამთავრეთ.

საბჭოეთში გამომგზავრებამდე ჩილეს კომუნისტურმა პარტიამ შესანიშნავი სუფრა გაგვიშალა თვალუწვდენელ ვენახში, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. ქართულ ფილმ „ქეთო და კოტეში“ რომ ამბობენ: „თუ ქორწილია, ქორწილი იყოს, გუნდით, არქიელითა და გუბერნატორით“, სწორედ ასეთი მასშტაბური ლონისძიება გამოვიდა.

შეჯიბრება დამთავრებული გვქონდა და თითო ჭიქა თეთრი ღვინო გავსინჯეთ, ჩილეს ღვინოები ხომ მსოფლიოშია ცნობილი. წვეულების ბოლოს გამოგვიტანეს დიდი ტორტი წარწერით: მსოფლიოს ჩემპიონებს ჩილეს კომუნისტური პარტიისგან... ამის მიუხედავად, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რას ვგრძნობდი საბჭოთა კავშირში დაბრუნებული: მძულდა პოლიტიკა, რომელმაც სამუალება მომისპონ მსოფლიოს ჩემპიონი გავმხდარიყო. ასეთი შანსი ხომ ადამიანს შეიძლება ცხოვრებაში ერთხელ მიეცეს. სპორტულ ბრძოლაში დავამარცხეთ აშშ, ბრაზილია (რომელიც ჩემპიონად ალი-


1959 წელი. ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოს
აეროდრომი. მარჯვნიდან: ზუბკოვი,
სემიონოვი, კუტუზოვი, კრუმინში,
აბაშიძე, მუიუნიევსი, მე, კორნეევი...



არეს) და პოლიტიკური ბრძოლა წავაგეთ, სადღაც ჩინეთის იქით მდებარე პატარა კუნძულთან...

საბჭოთა მთავრობამ კი საქციელი მოგვიწონა, მოსკოვში, თვითმფრინავის ტრაპზე ისე დაგვხვდნენ, როგორც მსოფლიოს ჩემპიონებს შეშვენდათ. სპეციალურად ჩენენთვის ოქროს მედლებიც ჩამოასხეს და თითოეულ კალათბურთელს ჩამოგვირიგეს. მაგრამ ის ნამდვილი, ჩილეში დამზადებული მედალი მერჩივნა.


მოსკოვში ჩამოსხმულ ჯილდოზე უფრო ძვირფასი შავი ჯინსები იყო, რომელიც სანტიაგოდან ჩამოვიტანეთ. მაშინ ჯინსები მოდაში ახალი შემოსული იყო და დიდი პოპულარულობით სარგებლობდა. თუმცა, ნამდვილი, ამერიკული წარმოებისა ძალიან ძვირი ღირდა. მათი შეძენა საბჭოთა ნაკრების წევრებს არ შეგვეძლო, სამაგიეროდ სანტიაგოში მივაგენით ადგილს, სადაც ჩილეში შეკერილი, გაცილებით იაფიანი ჯინსები იყიდებოდა, ლამაზებიც იყო და საქართველოში თავსაც ვიწონებდით.



ლიკანი, მოსწავლეთა რესპუბლიკური
პირველობა. ტონოში 3-ნომრიანი
გაისურით ვთამაშობდი

ამონი - შეკვეთ

შეოცე საუკუნის 50-იან წლებში სპორტისადმი
ისეთი მიღვომა იყო, ნიჭს თუ გამოიჩენდი, ნამდვი-
ლად არ დაიკარგებოდი. აი, რაფომ: ჟერ კლასები
ეჭიბრებოდნენ ერთმანეთს, შემდეგ იკრიბებოდა
ნაკრები და სკოლებს შორის ქალაქის
პირველობაში მონაწილეობდა.
გამარჯვებული საქართველოს ჩემპიონატში
თამაშობდა, რომელშიც რეგიონების
საუკეთესო გუნდები ასპარეზობდნენ.



04:00

ერთი შემთხვევის გამო მსოფლიოს ჩემპიონის მედალი დღეს, შეიძლებოდა ჩემს კოლექციაში აღარ ყოფილიყო: შევდივარ სახლში და რას ვხედავ – ბინა თავიდან ბოლომდე თავდაყირაა, მძარცველები შემოსულან და ლირებული რაც ხელში მოხვდათ, ყველაფერი წაუღიათ. მაშინვე სეიფს მივაშურე, სადაც რომის ოლიმპიადაზე მოგებული ვერცხლი, ევროპის ჩემპიონისთვის განკუთვნილი სამი ოქრო და 1959 წელს მოსკოვში სპეციალურად ჩვენთვის ჩამოსხმული მედალი მქონდა შენახული. საბედნიეროდ, დაუპატიჟებელმა სტუმრებმა სეიფს ვერაფერი დააკლეს და ბევრი ძვირფასი ნივთი დაკარგვას გადაურჩა. თუმცა, გული ახლაც ძალიან მწყდება ერთ მედალზე, რომელიც იმ მომენტისთვის საგანგებოდ ჩაკეტილი არ მქონდა. ეს იყო ჩემს კარიერაში პირველი ოქრო.

გაინტერესებთ, რაზე ვლაპარაკობ? თბილისის „დინამოსთან“, თუ საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად მოგებულზე? საბჭოეთში თუ საზღვარ-გარეთ მიღებულზე? ნუ ავჩეარდებით, პასუხს თავის ბოლოში მივიღებთ.

ესეც ლიკანია. თბილისის ტონის ნაკრები. მარცხნიდან:
გურამ მარკოზოვი, ნოდარ გოლდბანდი, ჭავჭავაძე
ვაჩერებელი, გიზო გაბესკირია, ალექსანდრე გერასიმოვი,
თამაზ კაკაურიძე, ერიკ ქაშაკაშვილი, ზაქრო
მეგრელიშვილი, მე და მწვრთნელი მიხეილ კეკელიძე



ეს ამბავი მეოცე საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება. მე-6 სკოლაში ვსწავლობდი, რომელიც ახლა 55-ე საშუალო სკოლად გადააკეთეს. ვაკეში, მოსახერხებელ ადგილას მდებარეობდა და ბევრი ბავშვიც სწავლობდა. ეს ყველაფერი თავიდანვე კარგად გათვალეს და მოზრდილ ტერიტორიაზე, ხუთსართულიანი შენობა ააგეს.

ბედი არ გინდა? – სკოლაში რომ შევედი, გოგონები და ვაჟები გააცალ-კევეს, კლასში მხოლოდ ბიჭები მყავდა. ხოლო სკოლა რომ დავამთავრე, მომდევნო წელს გოგონათა და ვაჟთა კლასები ისევ გააერთიანეს. შეიძლება ამიტომ, გოგონებთან ნაკლები ურთიერთობა მქონდა, ძალიან მორცხვი ვიყავი, დალაპარაკებისთანავე ვწითლდებოდი. თუმცა, შემდეგ წელ-ნელა მომექსნა ყოველგვარი დაძაბულობა.

სპორტული თვალსაზრისით ჩემს სკოლაში არაფერით გამორჩეული, ზანტი ცხოვრება მიდიოდა. მე-7 კლასში რომ გადავედი, ფიზიულტურის მასწავლებლად ჩვენთან მოვიდა ცნობილი ტანმოვარჯიშე, მხატვარი და ყველა სფეროში გამორჩეული კაცი, ვახტანგ მარსაგიშვილი. იგი გარეგნულადაც სიმპათიური იყო და მთელს სკოლას უცებ შეაყვარა თავი. ტანვარჯიშშიც წვრთნიდა ბავშვებს და უმაღლესი დონის ბევრი სპორტსმენიც აღზარდა. თუმცა, ყველა ტანვარჯიშზე ხომ არ ივლიდა? – ვახტანგ მარსაგიშვილი თითოეულ მოსწავლეს შესაბამის სპორტის სახეობას უძებნიდა და სასწავლო წლის ბოლოს იშვიათად შეხვდებოდით ბავშვს, რომელიმე სპორტულ სექციაში რომ არ ყოფილიყო ჩართული.

ფიზკულტურის მასწავლებელმა ჩემი თანაკლასელი, გვარად შაინოვი ცურვაზე გაგზავნა, სადაც ცნობილი სპეციალისტი ლუკა იოაკიმიდი წვრთნიდა. ერთ დღესაც შაინოვმა მითხრა, „ნორჩი დინამოელის“ თასზე თბილისის პირველობა იმართება და მონაწილებას ვდებულობო.

ამ შეჯიბრებით მეც დავინტერესდი, რადგან მამის ძმასთან ბათუმში რომ ვისვენებდი, ცურვა კარგად ვისწავლე და მსურდა საკუთარი თავის გამოცდა.

„ნორჩი დინამოელის“ თასზე 100 მეტრი გავცურე... თავისუფალი სტილით, ისე, როგორც ვახერხებდი. ფინიშთან რომ მივედი, ვეღარ ვსუნთქავდი, ძალა აღარ შემრჩენოდა და „ხმელეთი“ ცოტა შორს რომ ყოფილიყო, უთუოდ ჩავიძირებოდი. თუმცა, მთავარი არ მითქამს – როგორც აღმოჩნდა, ფინიშთან მესამე მივსულვარ და მკერდი ბრინჯაოს მედლით დავიმშვენე.

მწვრთნელი, ლუკა იოაკიმიდი მეორე დღესვე სახლში გვეწვია და ჩემს მშობლებს უთხრა – ამ ბავშვისგან დიდ ჩემპიონს გავზრდიო. მისი გარჯა წყალში არ ჩაყრილა, ცურვაზე სიარული გადავწყვიტე. დავდიოდი ჩემს თანაკლასელ შაინოვთან ერთად, ხან 1000 მეტრს ხელების დაუხმარებლად ვცურავდით, ხან სხვა უფრო რთულ დავალებებს ვასრულებდით...


ცურვა მალევე მომწყინდა, რადგან იქ აზარტი ნაკლები იყო. როგორც ქართველთა უმეტესობას, მეც უფრო ემოციური სპორტის სახეობები მიზიდავდა, სადაც უშუალო ორთაბრძოლაში შეიძლება მოწინააღმდეგის დამარცხება.

ბატონმა ვახტანგ მარსაგიშვილმა შესაფერისი სპორტი შემირჩია: ფიზკულტურის ერთ-ერთი გაკვეთილისას წერილი გადმომცა და მითხრა – შალვა დიასამიძეს წაუღე, უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრაზე მუშაობს და ბავშვებს სასწავლებლის ეზოში ავარჯიშებსო. როგორც მიხვდით, სარეკომენდაციო წერილი იყო.


ჩემი ბინა უნივერსიტეტის პირდაპირ მდებარეობდა, უახლოეს მეგობარ თამაზ ტოგონიძესთან ერთად ინტერესით შევცეკეროდი, ეზოში მოწყობილ ღია მოედანზე როგორ ავარჯიშებდა შალვა დიასამიძე სასწავლებლის გუნდს, რის შემდეგაც მე და ჩემი თანატოლები გავდიოდით მოედანზე.

ბატონი შალვა ყოფილი დინამოელი იყო და მწვრთნელობაშიც დიდი გამოცდილება ჰქონდა, თუმცა, ერთ ადგილას არ ჩერდებოდა: მახსოვს, ერთხელ ავად გახდა, მის მოსანახულებლად მივედით და ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა უამრავი ამერიკული წიგნი ვნახეთ. ყველა კალათბურთის შესახებ.

თამაზ ტოგონიძე ჩემს გვერდით ცხოვრობდა. მასთან ძალიან ახლოს ვიყავო, ჩემი მეჯვარე გახლდათ. სამწუხაროდ ადრე გარდაიცვალა. შეიძლება, გვარით ბევრი არ იცნობდა, მაგრამ თუ ვიტყვი, რომ ფილმ „ცისკარაში“ მთავარ როლს თამაშობდა, ლამაზი სახის, წარმოსადევი ახალგაზრდა ყველას თვალწინ წარმოუდგება. ცისკარას როლის შემსრულებლის შერჩევისას დიდი კონკურსი ჩატარებულა. თურმე, მასში კახი კავსაძეც მონაწილეობდა...



ჩემი ტეატრი,
თამაზ ჭოვონიძე
ფილმში „ცისქანა“



თამაზი ტოლონიძე ფარესებუ

ფილმის გადაღების შემდევ თამაზმა მაღალი ჰონორარი მიიღო, თუმცა, ის ფული რამდენიმე ქეიფმა შეიწირა. რაშიც ლომის ნილი ასტამურ აჩბას მიუძლოდა. იგი ჩვენი მეგობარი, მოქეიფე კაცი იყო. სხვათა შორის, სიმღერა-ცაა მასზე დაწერილი, „ასტამურას ფული რად უნდა...“

05:00

მეოცე საუკუნის 50-იან წლებში სპორტისადმი ისეთი მიღვომა იყო, ნიჭის თუ გამოიჩინდი, ნამდვილად არ დაიკარგებოდი. აი, რატომ: ჯერ კლასები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, შემდეგ იკრიბებოდა ნაკრები და სკოლებს შორის ქალაქის პირველობაში მონაწილეობდა. გამარჯვებული საქართველოს ჩემპიონატში თამაშობდა, რომელშიც რეგიონების საუკეთესო გუნდები ასპარეზობდნენ. ამ შეჯიბრებაში თბილისის სახელით ტონო თამაშობდა. ტონო ბრჭყალებში იმიტომ არ ჩავსვი, რომ აბრევიატურაა, რუსულ ენაზე ასე უდერდა: **Тбилисский отдел народного образования.** ქართულად: „**სახალხო განათლების თბილისის განყოფილება**“.

ტონოს მიხეილ კეკელიძე წვრთნიდა, რომელიც ძალიან მცოდნე, სპორტზე შეყვარებული კაცი იყო. ზემოთ რომ ჩამოვთვალე საფეხურები კლასების პირველობიდან რესპუბლიკურ ჩემპიონატამდე, ყველა ეტაპი წარმატებით გავიარე და მეათე კლასელი ტონოში მოვხვდი. იმ წელს ტონომ სოხუმში გამართული საქართველოს პირველობა მოიგო და ძაუჯიყუში (დღევანდელი ვლადიკავკაზი) გასამართო საბჭოთა კავშირის პირველობისთვის დაიწყო მზადება. ჩვენს გუნდს ბათუმელი, ქუთაისელი კალათბურთელები დაემატენენ და საქართველოს ნაკრების სახელით გავედით საბჭოთა კავშირის პირველობაზე.

საკავშირო შეჯიბრებაში 1934-35 წლებში დაბადებულები თამაშობდნენ. მე კი ორი წლით უმცროსი გახდდით, 1936 წელს ვარ დაბადებული.

ნაკრებში მაინც ამიყვანეს, ხუთეულში მათამაშებდნენ. მეც პირველი სერიოზული გამოცდისთვის გამალებით ვემზადებოდი, მაგრამ ასაკის გამო დავისაჯე: პირველობის დაწყების წინ გამოსცეს კანონი, რომლის მიხედვით მონაწილეობის უფლება მხოლოდ 1934 და 1935 წელს დაბადებულებს ჰქონდათ. ძია მიშას (ნაკრებს მიხეილ კეკელიძე ხელმძღვანელობდა) სხვა გზა არ ჰქონდა, შინ დამტოვა.

გულდანყვეტილი სოფელში წავჩანჩალდი. იმ წელს დედულეთში ჩავედი, ლამაზ იმერულ სოფელ ბაშში. სხვათა შორის, წარმოშობით საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილიც იქიდანაა. ბაშში ბებიას და დედის ძმას ვსტუმრობდი ხოლმე.

არც მამაჩემის სოფელი იყო შორს – შუამთა, ვანის რაიონში. იქაც ძალიან მიყვარდა ჩასვლა და მამიდაჩემთანაც, რომელიც ჭყვიშში იყო გათხოვილი. მოგეხსენებათ, ჭყვისი გალაქტიონ ტაბიძის სოფელია, მამიდაჩემი მისი სახლიდან 500 მეტრის მოშორებით ცხოვრობდა. ხშირად მინახავს შარაზე მიმავალი გალაქტიონი, რომელთან გამოლაპარაკებასაც, რა თქმა უნდა, ბავშვები ვერ ვბედავდით.

სკოლაში პოეზია ძალიან მიყვარდა, ახლაც ბევრი ლექსი ვიცი, მეგობრებს უკვირთ, ასე კარგად როგორ გახსოვსო... ბევრი რამ მასწავლებლების დამსახურებაა, თითით საჩვენებელი სკოლა იყო და საუკეთესო პედაგოგები მუშაობდნენ. მეც კარგად ვსწავლობდი.

ტორნის ბირჟული და
მეორე წევრები ბირჟული



ბაშიდან თბილისში რომ დავბრუნდი, სასიამოვნო ამბავი დამხვდა: ჩემმა გუნდმა მიხეილ კეკელიძის ხელმძღვანელობით საკავშირო პირველობაზე ოქროს მედალი მოიპოვა. გამარჯვებულები ჩვენმა მთავრობამაც დააფასა და ხელით ნაქსოვი პერანგები დაურიგა. ასეთი სამოსი მაშინ ძალიან ფასობდა, მოდის მიმდევარ ხალხს ეცვა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდს ვერ გავყევი, ძია მიშას ძალისხმევით ერთი პერანგი მეც მერგო. ძალიან გამესარდა, მწვრთნელისადმი პატივისცემა კი, კიდევ უფრო გამიღრმავდა.

მიხეილ კეკელიძე საოცრად ერუდირებული პიროვნება გახლდათ, ხელოვნების მოყვარული, შესანიშნავ ლექსებსაც წერდა. ერთხელ ჩვენთან „დაიტრაბახა“, რომ თვით გალაქტიონი დააინტერესა საკუთარი ლექსით. გალაქტიონ ტაბიძის სალამოზე სტუდენტი მიხეილ კეკელიძის ლექსი წაუკითხავთ, რომელსაც დიდ პოეტთან გაპაექრება უცდია. გალაქტიონს უთქვამს – ის ყმაწვილი გამაცანით, ეს ლექსი ვინც დაწერაო.

რადგან პოეზიაზე ვლაპარაკობთ, ლირიკულად გადავუხვიოთ და მეოცე საუკუნის ბოლოსკენ გადავინაცვლოთ. საინტერესოდ დაემთხვა: მეც სწორედ იქ ვმუშაობდი, სადაც ძია მიშა ათწლეულების წინ – ტექნიკურ უნივერსიტეტში ფიზკულტურის კათედრის ხელმძღვანელად. სხვათა შორის, მიხეილ კეკელიძის სურათი კათედრის გამგის კაბინეტში დღესაც საპატიო ადგილასაა. თუმცა, იყო საშიშროება, არათუ სურათი ჩამოეხსნათ, მთლიანად ოთახი გადაკეთებულიყო...

ერთ პიროვნებას სურდა, ოთახი საკუთარი მასწავლებლის, რექტორის, თეიმურაზ ლოლაძის მუზეუმად გადაექცია. ცხადია, შევენინააღმდეგა –

თბილისელებითა თანაგუნდელებმა
ჩატარებული სოფში, სადაც საკავშირო
ნაკრების ერთად შეკრებას გავდიოდი





ბორჯომი. საქართველოს
მოსპოტულეთა ბირჩევა

თუ შენი მასწავლებელი ლოლაძე იყო, ჩემი – კეკელიძე, რომელსაც კათედრის წინსვლაშიც დიდი წვლილი მიუძღვის და ქართული სპორტის განვითარებაშიც-მეთქი.

გამაჩემის სოფელი შუამთა ვახსენე, თუმცა არაფერი მითქვამს მამაზე, ვარლამზე. მან უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა და სიკვდილამდე თავისი სპეციალობით მუშაობდა. ბოლოს ორჯონივიძის რაიონის ბანკის დირექტორის მოადგილე იყო. ისიც და დედაჩემიც დადებითად უყურებდნენ ჩემს სპორტსმენობას, ყველანაირად ხელს მიწყობდნენ. დედა დიასახლისი იყო.

მყავდა სამი წლით უმცროსი ძმა ზურაბი. მას იმდენად ვაჟკაცური თვისებები ჰქონდა, რომ ჩემი გაცნობისას ამბობდნენ – შენ ზურას ძმა ხარ და არა პირიქითო. ტანკარჯიშით იყო გატაცებული. ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა მსუბუქი მრეწველობის სპეციალობით. 1993 წელს, როცა საქართველოში ყველაფერი აირია, ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ვერც თვითმხილველი ვიპოვნეთ, ვერც დამნაშავე.

გარეგნულად მამის მამას, გერმანე მინაშვილს მამსგავსებენ, რომელიც რაიონში ცნობილი თამადა გახლდათ. დიდ სუფრებზე ეპატიუებოდნენ და სახელი იმითაც ჰქონდა განთემული, რომ მისი თამადობისას სუფრის წევრებს შორის ჩხუბი ერთხელაც არ ატეხილა. არადა, მაშინ ყველა იარაღას-ხმული დადიოდა. ბაბუა გერმანე ლხინის დაწყებამდე ყველას მიუთითებდა იარაღი დიასახლისისთვის ჩაებარებინა და დამშვიდობებისას უბრუნებდა. წესად ჰქონდა: თავიდან გამოაცხადებდა - ვისაც სმაში გაჯიბრება უნდა, ჩემს მაგიდასთან დაჯდესო. ოლონდ, საპირფარეშოში გასვლა და დამარცხება ერთი იყო. ბაბუაჩემი ერთ ჩაფ ლვინოს სვამდა. ჩაფში, მოგეხსენებათ, 16 ლიტრი ლვინო ჩადის.



გურამ აბაშიძესა და
ილარიონ ხაზარაძესთან ერთად

ქართველ
მაძმელ

თავისუფალი დრო, ფაქტობრივად, არ მქონდა.
მაგრამ, თუ დიდი მიზნების მიღწევა გსურს,
მოთმინებაც უნდა გამოიმუშავო.
სპორტსმენს განათლებაც სჭირდება,
რაც მის კარიერაში ძალიან ეხმარება

ბავშვობაში დაგბრუნდეთ. წელიწადი მომინია მოცდა, ვიდრე საქართველოს ნაკრებთან ერთად საკავშირო პირველობაზე ვითამაშებდი. ძაუჯიყუს შემდეგ შეჯიბრება უკრაინის ქალაქ დნეპროპეტროვსკში გაიმართა. ეს იყო ჩემი პირველი გასვლა საქართველოს ფარგლებს გარეთ და უკრაინული ამბებიდან ბევრი რამ დღესაც მკაფიოდ მახსოვეს.

ოქროს მედლები ესტონელებმა არავის დაუთმეს. მათ მართლაც ძლიერი გუნდი ჰყავდათ, რომელშიც მარტინ ლაგა თამაშობდა, 205 სმ სიმაღლის მოძრავი კალათბურთელი. იგი პირველი იყო, ვინც ბურთს კალათში ტენიდა. მანამდე ამას არც სპარტაკიადებზე და არც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში არავინ აკეთებდა. პირველობის დასრულების შემდეგ ყველა გუნდი ერთ ხაზზე რომ მოვერწყვეთ, ლაგას ჩატენვა ვთხოვეთ. ბურთი გამოუტანეს, მანაც ეფექტური საჩვენებელი გდება შეასრულა და ომახიანი ტაში დაიმსახურა.

ესტონეთზე კი დავწერე ბევრი, მაგრამ ალბათ, უფრო ჩვენი ამბები გაინტერესებთ: ქართველები ბოლო მატჩში უკრაინელებს შევხვდით. სატურნირო ცხრილში ისეთი სიტუაცია იყო, ჩვენს შორის გამარჯვებული მეორე ადგილს ინალდებდა. გავიმარჯვეთ. არ მინდა, ვინმე იფიქროს, რომ თავის საქებად ვწერ, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით. უკრაინელთა წინააღმდეგ ნარმატებით ვითამაშე, ნამატჩევს საქართველოს გოგონათა ნაკრების მწვრთნელი გერონტი ბაბახანიდა მოვიდა, გამარჯვება მომილოცა და მითხრა – გურამ, ნამდვილი ქართველი ხარო. ეს ამბავი დღესაც იმიტომ მახსოვს, რომ ბატონი გერონტი ამას რომ ამბობდა, თან გულამოსკვნით ტიროდა. როგორც მიხეილ კეკელიძე, გერონტი ირაკლევიჩიც ყველასთვის საყვარელი მწვრთნელი იყო.

ჭაბუკობისას კიდევ ერთი შესანიშნავი მწვრთნელი გავიცანი – ანდრო უორდანია. როგორც შემდეგ გავარკვიე, ჩემი მონაწილეობით ერთ-ერთი მატჩი უნახავს და თავისთან გადაყვანა დაუპირებია. ალბათ, მკითხველს კარგად მოეხსენება ვინ იყო უორდანია. იგი თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო გუნდს წვრთნიდა და სწორედ ფეხბურთში ჩემი წაყვანა მოსურვებია.

იმ პერიოდის „დინამოში“ ალბათ, მეკარის პრობლემა იყო და ბატონმა ანდრომ კალათბურთისას კარგად მხტუნავი ბიჭი რომ შემნიშნა, თავისთან დამპატიუა. ეს ამბავი ჩემი მეგობრის, ლევან ჭაჭიაშვილისგან შევიტყვე, რომელმაც მითხრა – ანდრო უორდანია გიბარებსო.

რა თქმა უნდა, დავინტერესდი, მაგრამ ბევრი ფიქრის შემდეგ მაინც კალათბურთში დარჩენა გადავწყვიტე, რაზეც ერთმა გარემოებამ დიდი გავლენა მოახდინა: ჩემი თამაშით საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული წაკრების მწვრთნელები იყვნენ დაინტერესებულები და ტაივანზე გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გუნდშიც გამომიძახეს. თუმცა, საბოლოოდ საბჭოელებმა ტაივანში ჩასვლაზე პოლიტიკური მოტივით უარი თქვეს, ტაივანის ხილვის საშუალებაც დავკარგე და ფეხბურთიც. ამას ნამდვილად არ ვნანობ, რადგან კალათბურთმა ცხოვრებაში ძალიან ბევრი მომცა.

ჩემი მშობლები





ილარიონ ხაზარაძე,
ლევან მოსეშვილი და მე

ოგორი მეკარე გავხდებოდი, ეს ნამდვილად არ ვიცი. თუმცა, საფეხბურთო გოლკიპერისთვის საჭირო მაღალი ნახტომი და სწრაფი რეაქცია მქონდა.

სისწრაფესთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი მახსენდება: ლესელიძეში ჩასულ დამსვენებლებს საინტერესო გასართობი გვქონდა – კენჭებს ხელის მაჯიდან იდაყვამდე გავიმნკრივებდით, ჰაერში ავაგდებდით და ყველა უნდა დაგვეჭირა. კარგი სპორტსმენები სამ კენჭს იჭერდნენ, მე – ოთხს.

გვქონდა ერთი საკალათბურთო ვარჯიში: ბურთი იატაკიდან ასხლეტით კედელზე უნდა მოგვერტყა, სწრაფად დაგვეჭირა... ერთი ბურთით ამ ვარჯიშის შესრულება ყველას შეუძლია, არც ორი ბურთითაა ძალიან როტული, მე სამ ბურთს ვათამაშებდი. ამას ჩემს მეტი ვერავინ ახერხებდა, მხოლოდ მოგვიანებით ვნახე დავით თორთლაძე ოთხ ბურთს როგორ იმორჩილებდა.

ჩამოვთვალე სპორტის რამდენიმე სახეობა – ცურვა, ფეხბურთი, კალათბურთი... თუმცა, ერთი შემთხვევის გამო შეიძლებოდა სულაც სპორტის გარეშე დავრჩენილიყავი, გლეხის სიბრძნემ გადამარჩინა...

ომის დროს, პატარაობაში, საწყის ოთხ კლასში პირველ სემესტრებს სოფელში ვსწავლობდი ხოლმე. ერთ დღეს სკოლის ფანჯრიდან გადმოვხტი და მაინცდამაინც წაწვეტებულ შუშაზე დავხტი. საშინელი ტკივილი ვიგრძენი, შუშა ღრმად ჩამესო ტერფში, მეორე მხარესაც კი გამოვიდა. დედაჩემმა სოფლის ამბულატორიაში მიმიყვანა, თუმცა, იქ სათანადო პირობები არ იყო სამკურნალოდ, ურჩიეს, თბილისში წაიყვანეთო.

მაშინ მატარებელში მოხვედრა ძალიან ჭირდა. გადავწყვიტეთ სალამოს სამტრედიაში წავსულიყავით. სწორედ იქ იყო უახლოესი სადგური. ამასობაში ფეხი დამისივდა, როგორც აღმოჩენდა, სისხლი მომენამლა. არ ვიცი, რა ბედი მეწეოდა სამტრედიისკენ მიმავლებს სოფლის გზაზე სინო ბახტაძე რომ არ შეგვხვედროდა. იგი 100 წელს მიტანებული, ბრძენი მოხუცი იყო თეთრი წვერით. დედაჩემს ჰკითხა:

– ქალბატონო შეწუხებული ჩანხართ, რაშია საქმე?

დედამ ჩემი მდგომარეობა რომ აუხსნა, სინო ბახტაძემ დინჯად ურჩია:

– ნუ ნერვიულობთ, ერთ წამალს გასწავლით, უთუოდ უშველის: აიღეთ ჭყინტი ყველი (მარილი არ დააყაროთ) და ჭრილობაზე კომპრესის სახით დაადეთ. უებარი წამალია ნაჭრილობევი ფეხისთვის.

იმ სალამოს დედამ ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც მოხუცმა დაარიგა. მეორე დილას რომ გავიღვიძე, ფეხი მთლიანად დამცხრალი მქონდა. წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ერთ კვირაში უკვე დავრბოდი.

07:00

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების საბაზო გუნდი ტონი ახალი გამოწვევებისთვის ემზადებოდა. კვირაში სამჯერ პიონერთა სასახლეში ვვარჯიშობდით. კონკურენციაც სერიოზული იყო. ტონოს პარალელურად



შეიქმნა ტონო-2, რომელშიც ასევე კარგი ბიჭები თამაშობდნენ და თუ ფხას გამოიჩინდნენ, ჩვენთან გადმოჰყავდათ.

აბზაცის დასაწყისში „ახალი გამოწვევა“ ვახსენე. ტონო მხოლოდ ასაკობრივ შეჯიბრებებში როდი მონაწილეობდა, თბილისის პირველობაშიც თამაშობდა. ისეთი გუნდების წინააღმდეგ უწევდა გამოსვლა, როგორიც „დინამო“ იყო. დინამოელებთან ჩემი პირველი დაპირისპირება კარგად მაგონდება, ძალიან ცოტა დაგვაკლდა მათ დამარცხებამდე.

მომდევნო, 1953 წელს უკვე „დინამოს“ მაისურით ვთამაშობდი თბილისის, საქართველოს თუ საბჭოთა პირველობებში. არადა, ჯერ სკოლაც არ მქონდა დამთავრებული. „დინამოს“ მიპატიუებაზე, აბა, უარს როგორ ვიტყოდი?! თუმცა, იოლი არ იყო ვარჯიშებისა და სწავლის შეთავსება. საინტერესო სისტემით ვემზადებოდით: ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს ორჯერადად ვვარჯიშობდით, ხუთშაბათს ვისვენებდით, პარასკევსა და შაბათს საწვრთნელ პროცესს ჩვეულ რიტმში ვუბრუნდებოდით და კვირას ისევ ვისვენებდით. ახალგაზრდობიდანვე დისციპლინის მოყვარული ვიყავი. ვარჯიშებზეც დროულად ვცხადდებოდი, ბოლომდე ვიხარჯებოდი.

არც სკოლაში მივდიოდი მოუმზადებელი, თუმცალა, დინამოური ვარჯიშების შემდეგ ძალიან ვიღლებოდი, თავი ბალიშისკენ მიიწევდა, მე წიგნისკენ ვეძალებოდი... თავისუფალი დრო, ფაქტობრივად, არ მქონდა. მაგრამ, თუ დიდი მიზნების მიღწევა გსურს, მოთმინებაც უნდა გამოიმუშავო.



საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების
მაისურით საკავშირო პირველობაზე

სპორტსმენს განათლებაც სჭირდება, რაც მის კარიერაში ძალიან ეხმარება.

სასწავლებელი ოქროს მედალზე დავამთავრე. აი, სწორედ ამ მედალზე ვამბობდი თავის დასაწყისში. მას მერე კალათბურთმა უამრავი ოქროს მედალი მაჩუქა, ისიც უნდა ითქვას, რომ თუნდაც ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მოგება ძალიან რთულია, მხოლოდ ერთეულების ხვედრია. სკოლას კი ოქროს მედალზე ბევრი ამთავრებდა, თუმცა, სასწავლებელში მიღებული ჯილდო ძალიან ფასეულია. ალბათ, იმიტომაც, რომ ეს იყო ჩემი პირველი ოქროს მედალი.

სკოლის დასრულების შემდეგ საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავაბარე. სამედიცინოში მინდოდა მესწავლა, მაგრამ ახლობლები შემიჩნდნენ, იმასაც მეუბნებოდნენ, პოლიტექნიკურს კარგი გუნდი ჰყავსო და ასე მოვხვდი ჰიდროტექნიკურ ფაკულტეტზე.

იქაც კარგად ვსწავლობდი... მიმაჩნია, ადამიანი რა საქმესაც მოჰკიდებს ხელს, გულით უნდა მიუდგეს, ინტერესი გამოიჩინოს. თუ ზერებლედ აპირებს რამის კეთებას, უმჯობესია, საერთოდ დაანებოს თავი, რადგან ზედაპირულად საქმის შესრულება პირველ რიგში თავის მოტყუებაა. ტყუილი კი ბუნებაში არ იკარგება და კარგს არაფერს იძლევა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამი კურსი ისე დავხურე, სულ ხუთები მყავდა, მხოლოდ ერთხელ დამიწერეს ოთხიანი, ისიც უმალ გადავაბარე და ხუთიანით შევცვალე. ახალ თაობას შეიძლება უცნაუროს, მაგრამ ბევრს

ეცოდინება, რომ საბჭოთა პერიოდში სასწავლებლებში ხუთბალიანი შეფასება იყო. ხუთიანი დღევანდელ ათიანს უდრიდა.

ვისაც ჰიდროტექნიკურ ფაულტეტზე უსწავლია, კარგად მოეხსენება, რაოდენ რთულია გეოდეზიის საგანი. კათედრის გამგე ნიკოლოზ თევზაძე იყო, დიდებული პიროვნება. რომელიც გამოცდის წინა დღისით დაიბარებდა სტუდენტებს, ბილეთებს ჩამოურიგებდა და იქვე, სასწავლებელში შეეძლოთ წიგნის გამოყენება, ჩანაწერების შესრულება, რათა მომდევნო, საგამოცდო დღისთვის ბილეთის საკითხები კარგად ჰქონოდათ მომზადებული. მიუხედავად ასეთი შეღავათისა, გეოდეზიის გამოცდას მაინც ბევრი ვერ აბარებდა, რადგან ძალიან რთული საგანი იყო. სხვათა შორის, ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის უკან ორ რიგად მაღალი ხეები რომ არის ჩამწკრივებული, სწორედ მისი ჩაყრილია.

მე და ჩემმა მეგობარმა ტანდემი შევქმენით, ერთად ვემზადებოდით გეოდეზიაში და ხუთიანები მივიღეთ, სწორედ იმ გამოცდის შემდეგ მოვიპოვეთ საერთო აღიარება – ძლიერი ჯგუფიაო. თუმცა, ინსტიტუტში ყველა როდი ეთანხმებოდა ამ აღიარებას. იყვნენ მასწავლებლები, რომლებიც ძალიან ძნელად წერდნენ ნიშნებს. მაგალითად, თეორიული მექანიკის ლექტორი გაიოზ ჭანკვეტაძე. თავისი საქმის მცოდნე, გამოცდილი სპეციალისტი იყო, თუმცა, ამავე დროს ცუდი გამომცდელი გახლდათ.

სემესტრის განმავლობაში ყოფაქცევაში რამდენჯერმე შენიშვნა მომცა, ალბათ, ჯგუფელთან ვლაპარაკობდი... გაიოზ ჭანკვეტაძე ერთხელაც დამემუქრა – მოხვალ სემესტრის ბოლოს გამოცდაზე და ნიშანს როგორ მიიღებ, მაგასაც ვნახავთო. სხვა გზა არ დამრჩა, სხვა საგნებთან შედარებით თეორიულ მექანიკაში განსაკუთრებულად მოვემზადე და გამოცდაზეც თამამად გავედი. ორი გამომცდელი გვყავდა: გაიოზ ჭანკვეტაძე და გოგი დანელია. პირველი თეორიას გვასწავლიდა, მეორე – პრაქტიკას. ბატონი გოგი სტუდენტების საყვარელი სპეციალისტი იყო. სპორტიც ძალიან უყვარდა და ჩეკეც თბილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, როგორც დიდსა და პატარა მეგობრებს.

გამოცდაზე ბილეთის აღებას არ ვჩეარობდი, მინდოდა ისეთ დროს გავსულიყავი, რომ გოგი დანელიას გამოვეკითხე. სპორტული მოხერხებულობა დამეხმარა და ბილეთით ბატონ გოგის მივადექი. ჩავაბარე. გაიოზ ჭანკვეტაძემ ჰქითხა

– რას უწერ ამ ყმაწვილს?

– ხუთიანს, – უპასუხა გოგი დანელიამ.

– რას, ხუთიანს?! არაფრის დიდებით! სემესტრის განმავლობაში მისი საქციელის გათვალისწინებით, საუკეთესო შეფასება არ ეკუთვნის! – გაცხარებული ბატონი გაიოზი სკამიდან წამოხტა და მე მომიბრუნდა:

– ყმაწვილო, ერთ ვარიანტს გთავაზობ: ახლავე გინერ სამიანს. თუ ასეთი წინადადება ხელს არ გაძლევს, მაშინ ორ შეკითხვას დაგისვამ. თუ ერთზე მიპასუხებ, ოთხიანს დაგინერ, თუ ორივეზე – ხუთიანს, ხოლო თუ ვერც ერთზე ვერ გამცემ სწორ პასუხს, ჩათვლის წიგნაკში ორიანს გაგიფორმებ,



ტბილისის ტრიანთ ტელევიზი


— ეს თქვა და ჩათვლის წიგნაკში სამიანის ჩასაწერად მოემზადა, რადგან იცოდა, მის შეკითხვებზე პასუხს ბევრი ვერ გაძედავდა.

— ისეთ პოზიციაში მაყენებთ, ერთი გზა მრჩება: სამიანი აქამდე არც ერთ საგანში არ მიმიღია და არც ახლა ვარ თანახმა, ორი შეკითხვის დასმას ვირჩევ, — ვუთხარი თამამად.

რაღა მეტი განვაგრძო, პირდაპირ გეტყვით — ორივე შეკითხვაზე ამომწურავად ვუპასუხე. ახლაც მახსოვე გოგი დანელიას თვალები, აღფრთოვანებული იყო, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, იმედები რომ გავუმართლე. გაიოზ ჭანკვეტაძე კიდევ უფრო გადაირია, ოღონდ, ამჯერად პოზიტიურად — გადამეხვია და მომილოცა. მას მერე, ვიდრე ტექნიკურ ინსტიტუტში ასწავლიდა, მუდამ ამბობდა: ერთადერთი სპორტსმენი, რომელმაც ჩემი ლექტორობის მრავალწლიან ისტორიაში თეორიული მექანიკა ჩამაბარა, გურამ მინაშვილი იყოო.

არადა, მაშინ მეც დიდ რისკზე წავედი, რადგან ორი შეკითხვისთვის რომ არ მეპასუხა, ორიანს მივიღებდი. ასეთ დროს ბევრი სამიანს არჩევდა, თუმცა, სპორტულმა უინმა დამძლია და თან საკუთარი თავის იმედი მქონდა — თეორიულ მექანიკაში მართლაც კარგად ვიყავი მომზადებული.

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მცირე ხნით ენგურის კაშხლის მშენებლობაზე ვიმუშავე — ბეტონის ხარისხს ვამოწმებდი. მაშინ მეგონა, დიდ საქმეს ვაკეთებდი, მაგრამ ნებისმიერი დიდი კაშხალი ხომ მის ირგვლივ ბუნებას მნიშვნელოვნად ცვლის...



ნოტის ქონის გენერალი

საერთოდ, როცა ახალგაზრდა უმაცებს და
მწვერვალისკენ მიიწევს, მცირე შეფერხებაც
საკმარისია თავქვეზე დასაგორებლად.
ნოდარ ჯორჯივიაშ ეს ყველათვერი კარგად
იცოდა და აღარ შემაფერხა...
კარიერა რომ დაასრულა,
სწორედ მას მერე ჩავჭერი ხუთეულში.

ნოდარ ჯორჯიკია ევროპაში
ერთ-ერთი საუკეთესო დამცველი იყო



08:00

ზაფხულის ცხელი დღე იყო, მე კი ორმაგად მცხელოდა, რადგან პირველად უნდა შემებიჯებინა „დინამოში“. გუნდი იმ ზაფხულს ფეხბურთელების ბაზაზე იყო დაბინავებული. ორადგილიან ნომერში მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ავალიშვილმა ნოდარ ჯორჯიკიასთან მიმიჩინა ადგილი.

კიდევ უფრო დამცხა: ჯერ ერთი, უკვე „დინამოში“ ვიყავი და მეორეც – ლეგენდარული ნოდარ ჯორჯიკიას გვერდით უნდა მეცხოვრა. უნდა გენასათ, როგორი ფეხაკრეფით დავდიოდი, რომ უფროსი თანაოთახელი არ შემენუხებინა. ახალბედა სპორტსმენის გამოცდილ თანაამპლუელთან შესახლება წლების განმავლობაში მიღებული პრაქტიკა იყო. ბევრ დადებით მომენტთან ერთად უარყოფითიც ჰქონდა – მძაფრდებოდა ხათრის გრძნობა.

მურთაზ სურცილავას მონაყოლიდან მახსოვეს: როცა იგი პირველად „დინამოში“ მოხვდა, ანდრო ზაზროშვილთან შეასახლეს. თურმე, იმდენად ეხათრებოდა უფროსი პარტნიორისა, რომ ნომრის საპირფარეშოში კი არა, დერეფნის ბოლოს, საერთო ტუალეტში დადიოდა.

კალათბურთელი და ფეხბურთელი დინამოელები ერთ ბაზაზე ვცხოვ-რობდით. ერთმანეთთან ძალიან ვახლობლობდით. ფეხბურთელებს მძლოლი

ჰყავდათ, სახელად ანდრეი, რომელიც ჩვენც დიდ პატივს გვცემდა. თამაშზე გამგზავრების წინ მურთაზ ხურცილავასა და მის მეგობრებს ავტობუსში თავს რომ მოუყრიდა, კალათბურთელებს შემოგვძახებდა – ავტობუსში ადგილი მაქვს და ვისაც სურვილი გექნებათ, წამოგვყევითო.

საფეხბურთო მატჩებს ხშირად ვესწრებოდი, ფეხბურთელები კი კალათბურთზე დადიოდნენ. მახსოვს, პოლონეთში „დინამოს“ ერთ-ერთი საკალათბურთო მატჩისას საქომაგოდ ბევრი პოლონელი მოვიდა. გულშემატკივრის გათვალისწინებით ჩვენი მონინააღმდეგე რიცხობრივ უმრავლესობაში აღმოჩნდა, თუმცა, შეუა თამაშისას ჩვენთვის მოულოდნელად „დინამო“, „დინამო“ შემოგვესმა.

თურმე, საფეხბურთო „დინამოც“ პოლონეთში ყოფილა და ჩვენი თამაშის შესახებ რომ გაუგიათ, საქომაგოდ დარბაზში გამოქცეულან.

მეც როგორ არ უნდა მქონოდა ხათრი და რიდი, როცა ჩემს გვერდში სარ კავშირისა და ევროპის წამყვანი კალათბურთელი იყო? ამასთან, ნოდარ ჯორჯიკია პირველი სკოლის დირექტორის, ცნობილი მწერლის ჯაჯუ ჯორჯიკიას ვაჟი გახლდათ.

ალბათ, მამისგან გამოჰყვა წიგნის სიყვარული – იგი ერთთავად კითხულობდა, წიგნის გარეშე არ მინახავს. პირველად რომ შევხვდი, ოთახში, ხის სკამზე მოზრდილი წიგნი, გუსტავ ფლობერის ნაწარმოებთა კრებული ედო. ძალიან დამაინტერესდა და მეც მალევე წავიკითხე ფლობერის ნაშრომი.

ბატონი ნოდარის ამპლუის მოთამაშე ვიყავი და მწვრთნელმა ალბათ, ამიტომაც შემასახლა მასთან. ნოდარ ჯორჯიკია კალათბურთის ნიუანსებზეც მელაპარაკებოდა და ცხოვრებისეულ ამბებსაც მიყვებოდა.

როგორც დიდ სპორტსმენებს ახასიათებთ, ძალიან საინტერესო პიროვნება გახლდათ და მასთან საუბარი ყველას სიამოვნებდა, თუმცა, ჩვენი საკალათბურთო ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა...

იკითხავთ: რატომ? რა მოხდა? საქმე ისაა, რომ ბატონმა ნოდარმა კარიერა ნააღრევად დაასრულა. როცა ეს გადაწყვეტილება მიიღო, კიდევ შეეძლო არაერთი წელი მაღალ დონეზე ეთამაშა, მაგრამ რომ დაინახა, ღირსეულად შევცვლიდი, „დინამოში“ საკუთარი ადგილი დამითმო.

საერთოდ, როცა ახალგაზრდა უმატებს და მწვერვალისკენ მიიწევს, მცირე შეფერხებაც საკმარისია თავქვეზე დასაგორებლად. ნოდარ ჯორჯიკიამ ეს ყველაფერი კარგად იცოდა და აღარ შემაფერხა... კარიერა რომ დაასრულა, სწორედ მას მერე ჩავჯექი ხუთეულში.

საპირისპირო მაგალითი ახლაც თვალზენ მიდგას: „ბურევესტნიკში“ მეტად ნიჭიერი თანაგუნდელი მყავდა – მარენ კეკელია. იგი „დინამომ“ 1954 წელს, ეგვიპტურ ტურნეში სათამაშოდ მიიწვია, თან იმ პირობით, რომ „დინამოში“ გადავიდოდა.

ცხადია, ასეთი შეთავაზება „დინამოში“ კარიერის დაწყებას ნიშნავდა, რაზეც ყველა ახალგაზრდა ოცნებობდა. მარენი „ბურევესტნიკის“ თავკაც მიხეილ კეკელიძესთან მივიდა, სიტუაციაში გაარკვია და ჰკითხა – წავიდე, თუ არაო? ძიმ მიშამ უპასუხა: როგორც გინდა, ისე მოიქციო.

ჩემი მხრიდან ძნელია ამ სიტუაციის გაანალიზება, მაგრამ დღეს ვფიქრობ, რომ ძია მიშას კონკრეტული პასუხი უნდა გაეცა, „დინამოში“ გაეშვა. მარენ კეკელია „პურევესტნიკში“ დარჩა და ალბათ, იმიტომ, რომ „დინამოსთან“ ერთად ეგვიპტეში გამგზავრების შანსი დაკარგა, მოტივაციაც გაუნელდა. საბოლოოდ იმავე დონეზე დარჩა და ველარ განვითარდა. არადა, ჩემი აზრით, გაცილებით სახელოვანი კალათბურთელი უნდა ყოფილიყო.

ნებისმიერი კალათბურთელის ცხოვრებაში დგება ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმის დრო, რასაც კარიერაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია. ასეთ მომენტში ერთმა არასწორმა მოქმედებამ, შესაძლოა ყველაფერი თავდაყირა დააყენოს. თუ პროგრესის გზაზეა, თავადაც უნდა ეცადოს, გვერდზე წამითაც არ გადაუხვიოს. სხვათა შორის, მარენ კეკელიამ ერთხელ ისეთი ფანდი გამიკეთა, რაც საკალათბურთო ცხოვრებაში კარგ გაკვეთილად გამომადგა. ინსტიტუტის გუნდების შეხვედრაში მე და მარენი ერთმანეთის წინააღმდეგ აღმოვჩნდით. როგორც ყველა მეტოქეს, კეკელიასაც მონდომებით ვიჭერდი, ახლოდან ვიყვანდი, თვალებში შევცეროდი რომ არ განძრეულიყო.

მარენმა ჩემთვის უცნობი ხერხი იხმარა – თვალი ისე გააყოლა, თითქოს მისმა თანაგუნდელმა ბურთი კალათისკენ გაგზავნა, სინამდვილეში კი ბურთი სულ სხვა მიმართულებით მოძრაობდა. მარენის ფანდზე წამოვეგე, უკან მივიხედე, რითაც კეკელიამ კარგად ისარგებლა და ხელიდან დამისხლტა.

ვერ ვიტყვი, ხშირად, მაგრამ ასეთი ფანდი მეც რამდენჯერმე გამოვიყენე. დაცვისას კი ერთხელაც არ მოვტყუებულვარ მარენის ხერხით. კარგი გაკვეთილი იყო-მეტეი, დავწერე. მართლაც, ეს გახლდათ თვალსაჩინო მაგალითი იმისა, რა ბედი გენევა, როცა დაცვაში თამაშისას მხოლოდ მეტოქეს უყურებ, მოწინააღმდეგის მოძრაობასთან ერთად ბურთის გადაადგილებაც უნდა აკონტროლო.

„დინამოში“ ახალგაზრდა მხოლოდ მე როდი ვიყავი, გამოცდილი კალათბურთელების გვერდით თამაშობდნენ ახალბედები: გურამ აბაშიძე, ილო მირიანაშვილი, გურამ კუჭავა, მამია კვაჭანტირაძე. ვაჟა გვანცელაძე ახალგაზრდებსა და მწვრთნელთა საბჭოს შორის ერთგვარი შუამავალი იყო.

„დინამოში“ რომ ჩავირიცხე, ჯუმბერ ნიუარაძე ბოლო სეზონს ატარებდა. ჩვენთვის დიდი გამოცდილება იყო ისეთი კალათბურთელების გვერდით თამაში, როგორებიც იყვნენ ვაჟა ულენტი, გივი აბაშიძე, ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ლევან ინწკირველი, მოთა ქორქაშვილი...

შოთა მოგვიანებით, სპორტის სასახლის, მთავარი ინჟინერი გახდა. აკი აღვნიშნე – გუნდში მეტად განათლებული სპორტსმენები იყვნენ თავმოყრილნი-მეტეი. არ შემიძლია შოთა ქორქაშვილი ვახსენო და ერთ სამწუხარო ამბავს გვერდი ავუარო: იგი ცხოვრების ბოლო წლებში ახალ ზელანდიაში მოღვაწეობდა. იქვე გარდაიცვალა და ოჯახს 30 ათასი დოლარი სჭირდებოდა მისი საქართველოში გადმოსასვენებლად, მაგრამ ვერ შეაგროვა. ამის გამო გული ძალიან მწყდება.



მოსკოვი.
„მალასა არენა“.
ცხა-დანამო“

1953 წელს თბილისის „დინამოსთან“ ერთად საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გაუხდი...

თუმცა, ეს ცოტა თამამად თქმა გამომივიდა, რადგან იმ სეზონში თამაში იშვიათად მიწევდა. მე და გურამ აბაშიძე 14-კაციან განაცხადში ძირითადად მაშინ შევყავდით, როცა შედარებით სუსტ მეტოქეს ვეთამაშებოდით. სკოლის მოსწავლე ვიყავი და არ მქონდა სათანადო გამოცდილება, საჩემპიონო გუნდს ისე დაკარგებოდი, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი გამოცდილი კალათბურთელები.

თამაში კი მჭირდებოდა, რომ პროგრესი არ შენელებულიყო. სწორედ ამიტომ, მიხეილ კეკელიძემ გადამიყვანა „ბურევესტნიკში“, რომელიც ქვედა ლიგაში გამოდიოდა. თამაშიც მიწევდა და არც ძლიერი მეტოქები გვაკლდა. ერთხელ ტტუ-ს (ტრამვაი ტროლეიბუსების სამმართველოს) სპორტულ დარბაზში „დინამოსთან“ მატჩს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გიორგი სიხარულიძეც დაესწრო. მის თვალწინ ქვეყნის მთავარ გუნდს ტოლ-სწორად ვეთამაშეთ და იმდენად მოიხიბლა, რომ მეორე დღეს სპორტკომიტეტში დაგვიბარა მაღლობის სათქმელად.

არ გეგონოთ, რადგან „ბურევესტნიკში“ ვთამაშობდი, „დინამოს“ წევრი არ ვიყავი – როცა „დინამოს“ მწვრთნელებს დავჭირდებოდი, მიხმობდნენ და მათამაშებდნენ. თუმცა, მახსოვეს, „დინამომ“ ჩემპიონობა უკრაინაში რომ მოიპოვა, კიევის ტურში არ მითამაშია – „ბურევესტნიკს“ ამიერკავკასიის სპარტაკიადაზე გავყევი. იმ მომენტისთვის მიხეილ კეკელიძის გუნდს უფრო ვჭირდებოდი.


ნელ-ნელა „დინამოშიც“ ავთამაშდი. არათერი გამჭირვებია, რასაც ორი ფაქტორი განაპირობებდა: გამოცდილი კალათბურთელები ძალიან თბილად დამხვდნენ და მეორე – „დინამო“ ტაქტიკურადაც გამართული გუნდი იყო, ანყობილ სისტემასთან მორგება კი არასოდესაა რთული.

სწორედ შემადგენლობისა და ტაქტიკის წყალობით, „დინამო“ საბჭოთა კავშირის მოწინავე კლუბი გახლდათ. მას ვერც უკრაინელები უწევდნენ წინააღმდეგობას, ვერც ბალტიისპირელები და, ცხადია, ვერც შუააზიელები. ჩვენ ხომ სხვადასხვა ტაქტიკური სიახლის პიონერები ვიყავით.

მაგალითად, „დინამოში“ რომ ჩავირიცხე, სწორედ მაშინ დაიწყო გუნდმა შერეული ზონის თამაში: თან ზონაში ვიდექით, თან კალათბურთელებს ვინანილებდით. ასეთი ტაქტიკა მოწინააღმდეგებს აბნევდა, ბევრს მუშაობდნენ ჩვენი დაცვის გაჭრაზე, მაგრამ მაინც არ გამოსდიოდათ. იცით რატომ? იმიტომ, რომ ჩვენც ბევრს ვვარჯიშობდით, ახალ-ახალ ელემენტებს ვამატებდით, ერთ ადგილას არ ვჩერდებოდით.

მეტოქეებს დაცვის პარალელურად სიახლეებს სხვადასხვა კომპონენტში ვთავაზობდით – „დინამო“ ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ერთდროულად ორი ცენტრი გამოიყვანა მოედანზე. ასეთ სტრატეგიას დღეს ბევრი გუნდი მიმართავს. მიმაჩინა, რომ საქართველოს ნაკრებშიც შეიძლება

ოთარ ქორქია და მე სპორტის სასახლეში
გულშემატკიცვრის როლში



ერთდღოულად ზაზა ფაჩულიასა და გიორგი შერმადინის გამოყვანით ზოგი-ერთ მეტოქესთან დიდი უპირატესობის მოპოვება, მაგრამ მთავარი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი რატომძაც ერიდება ზაზას და გიორგის მოედანზე ერთდღოულად შეყვანას. არ ვამბობ, 40 წუთი ორი ცენტრით უნდა ვითამაშოთ-შექი, გარკვეულ მონაკვეთში კი, ასეთი ხერხი ჩვენს თამაშს გაამრავლოვნებს.

50-იან წლებში „დინამოში“ გივი აბაშიძე მთავარი ცენტრის პოზიციაზე თამაშობდა, რადგან ცოტა მოუქწელი იყო. ოთარ ქორქია კი მის უკან ირჯებოდა. ბატონი ოთარი ძალიან მოძრავი და ლონიერი იყო. მისი შეჩერება არათუ საბჭოთა, მსოფლიოს დონის ცენტრებს უჭირდათ. არადა, დღევანდელი საზომებით გოლიათი სულაც არ გახლდათ – 190 სმ.

იგი „დინამოს“ სული და გული იყო. იშვიათად, მაგრამ, მაინც, თუ ითარ ქორქიას თამაში არ წაუვიდოდა, „დინამოსაც“ უჭირდა წარმატების მიღწევა.



ოლამპიური ვერცხლის მედლის
სამი კავალერი: მე, ოთარ ქორქია
და ვლადიმერ უგრეხლიძე

10:00

ბატონ ოთარს მხოლოდ „დინამოში“ როდი ჰქონდა დიდი გავლენა, საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანიც იყო და იქაც პატივისცემით სარგებლობდა. მას ბირჯომის წყალი უყვარდა, თამაშის შემდეგ რამდენიმე ბოთლს სვამდა. იმდენად ღირებული კალათბურთელი იყო, რომ საბჭოთა ნაკრების საერთაშორისო მატჩებისას ერთი ჩემოდანი „ბორჯომი“ საგანგებოდ ოთარ ქორქიასთვის მიჰქონდათ.

თამამად ვიტყვი: არ შემხვედრია ფიზიკურად მასზე უფრო ძლიერი მოთამაშე. ოთარ ქორქია სამლიტრიან მოხუფულ ქილას თითებით ხსნიდა. თუმცა, მხოლოდ კალათბურთში როდი იყო წარმატებული – ბადროს ტყიორცნაში საბჭოთა კავშირის არაერთი რეკორდიც დაუმყარებია.

საკუთარი თვალით არ მინახავს, მაგრამ ერთი ამბავი ლეგენდად იქცა: უკრაინელებს ბეხლენი კალათბურთელი ჰყავდათ, გვარად მედვედევი, რომელსაც ერთ-ერთი შეხვედრისას ნოდარ ჯორჯიკიასთვის უწყენინებია. ნამატჩევს ოთარ ქორქიას პასუხი ერთი დარტყმით გაუცია... მეტი არც დასჭირებია, რადგან როგორც ყვებოდნენ, მედვედევი ქორქიას დარტყმის შემდეგ ორი მეტრით გაფრენილა და თავისით ველარ წამომდგარა.

ადრეც ხმირად მეკითხებოდნენ და ახლაც ინტერესდებიან, ვინ მიმაჩნია ქართული კალათბურთის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშედ. აქ ორი აზრი არ არსებობს – ოთარ ქორქია საბჭოეთის პერიოდის ნომერ პირველ კალათბურთელადაა აღიარებული. 1981 წელს საბჭოთა კავშირის კალათბურთის

75-წლის იუბილე საზეიმოდ მოსკოვში აღინიშნა. იქ სხვა ქართველებთან ერთად მეც ვიყავი მიწვეული. ორგანიზატორებმა ჩატარეს გამოკითხვა 75-წლიან ისტორიაში საუკეთესო მოთამაშის გამოსავლენად. რუსებმა ყველა ლონე იხმარეს, რათა გენადი ვოლნოვს გაემარჯვა, მაგრამ პერიფერიულმა ქვეყნებმა ვაჯობეთ და საბოლოოდ, საუკეთესოდ ოთარ ქორქია დასახელდა. მან გამოკითხვაში დიდი სხვაობით ჩამოიტოვა ვოლნოვი.

მიუხედავად იმისა, რომ ოთარ ქორქია 190 სმ სიმაღლისა იყო, საქართველოს საუკეთესო კალათბურთელთა სიმბოლურ ნაკრებშიც ცენტრად დავაყენებდი. მესმის, ოთარი დღეს რომ თამაშობდეს, 210-220 სმ-ის წინასაზელებთან ბრძოლისას სიმაღლეში დაიჩაგრებოდა, მაგრამ ამოსავალი წერტილი კალათბურთელის ეპიქასთან შესაბამისობაა – ოთარ ქორქია კი ვიდრე კალათბურთს თამაშობდა, ევროპაში საუკეთესო ცენტრი იყო.

სიმაღლის კომპენსირებას არაბუნებრივი ფიზიკური ძალითა და გონიერებით ახერხებდა.

საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები ვახსენე. არ დაგზარდებით და საუკეთესო ხუთეულს აქვე ჩამოგითვლით. ოლონდ, წინასწარ გეტყვით, რომ აქცენტი სწრაფ, შემტევ კალათბურთზე მაქვს აღებული და გუნდში ისეთი კალათბურთელები მყავს შეყვანილი, რომლებიც ასეთ ტაქტიკას ამართლებენ. მაღალ ტემპში თამაში ხომ ქართულ ხასიათშია, შეტევის პირველივე ფაზაში დასრულება ქართველებზე უკეთესად არც ერთ პოსტსაჭოურ გუნდს არ გამოსდიოდა.

ვფიქრობ, სუბიექტურობაში არავინ ჩამომართმევს, თუ გამთამაშებლად სიმბოლურში გურამ მინაშვილს დავაყენებ. მეორე ნომრად – ზურაბ საკანდელიძეს. როცა მე და ზურა ერთმანეთის გვერდით ვთამაშობდით, მეტოქეს ბურთს ავართმევდით თუ არა, ზურა უკვე მოწინააღმდეგის ნახევარზე იყო...

მესამე ნომრად, ფლანგის ფორვარდად, ვლადიმერ უგრეხელიძეს დავაყენებდი. მრავალმხრივი მოთამაშე იყო, სწრაფი გარღვევაც ეხერხებოდა და საშუალო დისტანციიდან ზუსტად ტყორცნაც. წინა ცენტრად, როგორც დღეს ეძახიან, მძიმე ფორვარდად მიხეილ ქორქიას გავამწესდი. მართალია, იგი უკანახაზელივით მოქნილი და სწრაფი იყო, მაგრამ ნამდვილად არავის ჩამორჩებოდა ლონით. ამიტომ, ჩემს სიმბოლურ ხუთეულში მოძრავი მიშას წინა ცენტრად დაყენება გუნდს მეტ მობილურობას შესძენდა. მთავარ ცენტრ ოთარ ქორქიაზე უკვე ვიღაპარაკე...

50-იან წლებში „დინამოს“ ფარის მისადგომებამდე მიღწევას ბევრი გოლიათიც ვერ ახერხებდა. ახალგაზრდა ლატვიელი იანის კრუმინშიც (218 სმ) ვერაფერს აწყობდა გამოცდილ ქართველ წინახაზელებთან. თუმცა, მის წინააღმდეგ „დინამოს“ თავისი იარაღი ჰქონდა – ვაჟა გვანცელაძეს „კრუმინშის სპეციალისტს“ ვეძახდით. ვაჟა მოძრავიც იყო, ტანმაღალიც და კრუმინშს რომ აენებებოდა, არ ამოასუნთქებდა.



მთასყოფი. ლატვია-საქართველო.
ქორქია (№10), კრუმინში და ხეხტი (ბურთით)

გგონიათ, მხოლოდ წინახაზელებით გადიოდა „დინამო“ ფონს? ხუთეულში ძალიან სწრაფები, ნოდარ ჯორჯიკია, ვაჟა უღენტი, ლევან ინწკირველი და ჯუმბერ ნიუარაძე თამაშობდნენ. 1954 წელს ეგვიპტეში მოგზაურობისას საბჭოთა გუნდის უფროსმა ნოდარ ჯორჯიკიას თამაშს ასე უწოდა – „გველისებური“. მართლაც, ბატონი ნოდარი ძალიან სხარტი იყო, მოუხელთებელი, დაცვაში კი, ვისაც დაუდგებოდა, მისი საქმე წასული იყო.

ჰოდა, მონინაალმდგებს „დინამოს“ სწრაფი თამაშისთვის ხარკის გადახდაც უწევდათ. მაღალ ტემპში ჭკვიანურად მოთამაშე ჩვენი გუნდის შეჩერება ურთულესი ამოცანა იყო. ბალტიისპირული გუნდები ტემპის დაგდებით ცდილობდნენ ჩვენს დამარცხებას – პოზიციურდ გვიტევდნენ, მრავალსვლიან კომბინაციებს ათამაშებდნენ. თუმცა, „დინამოსთვის“ არც პოზიციური თამაში იყო უცხო, ნებისმიერი სტილის მეტოქისთვის შეეძლო გასაღების მორგება.

ამ თავში „დინამოს“ თითქმის ყველა კალათბურთელის გვარი ჩამოვთვალე, ახალგაზრდებიც და გამოცდილებიც, მსოფლიოს კლასის მოთამაშებზეც დავწერე. არაფერი მითქვამს მხსნელსა და გამხსნელზე, ალექსანდრე კილაძეზე. იგი თამაშის გამხსნელი და „დინამოს“ მხსნელი იყო. რატომ? იმიტომ, რომ ყველა მოთამაშე უპირატესობას ფარქვეშ შესვლას ანიჭებდა, კალათის ქვეშ მიძვრებოდნენ და ქულებს ახლო მანძილიდან აგროვებდნენ.



ალექსანდრე კილაძეს კი შორი მანძილიდანაც ისევე წარმატებით შეეძლო ესროლა, როგორც ახლოდან. სწორედ ამიტომ, მას მეტოქე ძალიან ახლოს ეთამაშებოდა. 50-იან წლებში სამქულიანი არ არსებობდა, არადა პერიმეტრის რკალი რომ ყოფილიყო და შვიდი მეტრიდან ნატყორცნი სამქულიანად ჩათვლილიყო, შურა კილაძე ერთი კი არა ერთნახევარი კალათბურთელი იქნებოდა.

განსაკუთრებით მაშინ, როცა მოედანზე ოთარ ქორქია იდგა, მოწინა-აღმდგეები ფარქვეშ დაცვაზე მეტად ზრუნავდნენ, კალათთან დიდი სიმჭიდროვე იქმნებოდა. ასეთ დროს გუნდს მექულედ კილაძე ევლინებოდა – შორიდან ჩააგდებდა და მეტოქეებიც გარეთ გამოდიოდნენ. შესაბამისად, ჩვენს ცენტრებს უთავისუფლდებოდათ სივრცე.

კალათბურთს რომ ვთამაშობდი, მაშინ ოქმში მხოლოდ ქულები და ჯარი-მები იწერებოდა. მარგი ქმედების კოეფიციენტიც რომ ეანგარიშათ, ალექსანდრე კილაძე დინამოელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იქნებოდა.



საბჭოთა ნაკრების ყველაზე ტექნიკური და სწრაფი
კალაბრურთელის, ვალდის მუიუნიეკსისთვის იუმორი
და ხანდახან ასეთი „მაიმუნობაც“ უცხო არ იყო

122

ეპონიკური
მარქინი

„დინამოს“ კაპიტანი ვიყავი, სხვებისთვის მაგალითი უნდა მიმეცა და ამიცომ, რეფიშს მაქსიმალურად ვიცავდი. ექიმები ვვეუბნებოდნენ, ზედმეტი სითხე არ შეიძლება, ორგანიზმს ამძიმებს,

კალათბურთელზე თამაშისას ცუდად მოქმედებსო.

თურმე, შეცდომას ვუშვებდი, როცა წყლის დალევისგან თავს ვიყავებდი. თანამედროვე მედიცინა სპორტსმენებს სითხის მიღებას არ უკრძალავს, პირიქით - წყლის დასალევად სპეციალური ბოთლებიც კი გამოუშვეს. რა დოზით სვამენ, ყველაზე კარგად ჩოგბურთის მატჩებისას ჩანს - შესვენებისას ჩოგბურთელები სკამებზე რომ ჩამოსხდებიან, ერთ მოყუდებაზე რამდენიმე ყლუპით იგრილებენ ორგანიზმს.



საქართველოს კავშირის ნაკრების სტეპან სპანძარიანის
(პირველ რიგში მარცხნიდან მეორე) თავკაცობით.
მარჯვნიდან მეორე მე გახლავართ

11:00

„შეჯიბრება დამთავრებული გვექონდა და თითო ჭიქა თეთრი ღვინო გავ-
სინჯეთ, ჩილეს ღვინოები ხომ მსოფლიოშია ცნობილი“ – ეს ფრაზა პირ-
ველივე თავში დავწერე, 1959 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ამბებს რომ
ვიხსენებდი. სპორტი და ალკოჰოლი ბევრისთვის საინტერესო თემაა, რომე-
ლიც პროფესიონალური სპორტის დაბადებიდან იღებს სათავეს. ამ საკით-
ხისადმი საკუთარი მიდგომა გამაჩინა და თუ დაგაინტერესებთ, მზად ვარ,
მოგითხროთ.

ალკოჰოლიანი სასმელების მიღება აკრძალული გვექონდა. ამას ვინ ჩივის,
ვარჯიშებისა თუ თამაშების წინ წყალსაც არ ვსვამდით. „დინამოს“ კაპიტა-
ნი ვიყავი, სხვებისთვის მაგალითი უნდა მიმეცა და ამიტომ, რეზიმს მაქსი-
მალურად ვიცავდი. ექიმები გვეუბნებოდნენ, ზედმეტი სითხე არ შეიძლება,
ორგანიზმს ამძიმებს, კალათბურთელზე თამაშისას ცუდად მოქმედებსო.

თურმე, შეცდომას ვუშვებდი, როცა წყლის დალევისგან თავს ვიკავებდი.
თანამედროვე მედიცინა სპორტსმენებს სითხის მიღებას არ უკრძალავს, პი-
რიქით – წყლის დასალევად სპეციალური ბოთლებიც კი გამოუშვეს.

რა დოზით სვამენ, ყველაზე კარგად ჩოგბურთის მატჩებისას ჩანს – შეს-
ვენებისას ჩოგბურთელები სკამებზე რომ ჩამოსხდებიან, ერთ მოყუდებაზე
რამდენიმე ყლუპით იგრილებენ ორგანიზმს.

მხოლოდ მატჩების დასრულების შემდეგ ვიღებდი სითხეს, ოლონდ 5-6 ყლუპს... თუმცა, წყალს არა – საგანგებო წვენს, რომელსაც ჩემი საიდუმლო რეცეპტით ვამზადებდი. არც ექიმს ურჩევია და არც სადმე ამომიკითხავს, ერთხელ სამი ელემენტი გადავურიე, ძალიან გემრიელი, სასარგებლო გამოვიდა და მას მერე ყოველი ვარჯიშისას ჩემი დოზა მიმქონდა. ენერგიას მმატებდა.

გაინტერესებთ საიდუმლო ექსტრაქტის რეცეპტი? არ დაგზარდებით, გაგანდობთ, მითუმეტეს, ინგრედიენტებისთვის გრძელი სია სულაც არ არის საჭირო: ერთ ჭიქა ყურძნის წვენს ლიმონს ვამატებდი, ერთ ჭიქა წყალსაც ვასხამდი და ვიღებდი გემრიელ წვენს, რომლის მიზეზითაც ერთხელ „დინამოდანაც“ წამოვედი. თან ისე გავპრაზდი, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ აღარ დავპრუნებულიყავი.

არც ამ არასასიამოვნო ამბის მოთხოვბას დაგზარდებით: ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ გასახდელში შევედი, ჩანთა გავხსენი, ბოთლი ამოვილე და რას ვხედავ – შიგ წვენი აღარაა. მსგავსი ხუმრობები გუნდში ხდებოდა ხოლმე, მაგრამ ეს ხუმრობა არ იყო, ძალიან გავპრაზდი. ყველამ იცოდა, რას ნიშნავდა ჩემთვის ეს წვენი, თამაშებისას ზოგჯერ 4-5 კილოგრამი დამიკლია და დანაკარგის ასანაზღაურებლად ძალიან მნიშვნელოვანი იყო სითხის მიღება. ეს ყველაფერი კარგად მოეხსენებოდათ ჩემს თანაგუნდელებს და ამისდა მიუხედავად, ბოთლი მაინც დამიცალეს. ეს ჩემი უპატივ-ცემლობა იყო. ჩავალაგე ჩანთა, ჩავიცვი და წამოვედი.

...ორი კვირა ისე გავიდა, გუნდში არ გამოვცხადდი. ამ დროის განმავლობაში მწვრთნელი გიორგი ავალიშვილი ყოველდღე ჩვენი სტუმარი იყო, ხან მე მესაუბრებოდა, ხან ჩემს მშობლებს, მარწმუნებდა, გუნდში დავპრუნებულიყავი. თავიდან უარზე ვიდექი, მაგრამ ბოლოს გული მომილბა და გავყევი.

გატონ გიორგის დიდ პატივს ვცემდი და რომ არა ის, არავინ იცის სად გავაგრძელებდი კარიერას. გიორგი ავალიშვილი იშვიათი კაცი იყო, ერუდირებული, მისგან მხოლოდ კალათბურთს როდი ვსწავლობდით, სამაგალითო იყო ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

მოვინანებით, მის ხელში საბჭოთა კავშირის მასშტაბის კალათბურთელებად რომ ჩამოვყალიბდით, ერთ-ერთი გასვლითი ტურნეს დროს გადავწყვიტეთ მწვრთნელს გავხუმრებოდით. მსუბუქი ყოფაქცევის ქალს ფული გადავუხადეთ და ბატონ გიორგისთან ოთახში შევაგზავნეთ. მოხდა ის, რასაც ვეღოდით, დაუპატივებელი სტუმარი მალევე გამოვიდა ოთახიდან. მას კი გაპრაზებული მწვრთნელი გამოჰყვა, რომელიც უმაღ მიხვდა, ვინ მოუწყო ეს ოინი.

ჩემს დროს სხვადასხვა ქვეყნის ექიმები სხვადასხვა სტანდარტებს აკანონებდნენ: თუ საბჭოეთში სითხის მიღება გრამობით შეიძლებოდა, სხვაგან არც ღვინოს უშლიდნენ. ისე არ გაიგოთ, თითქოს უცხოელი სპორტსმენები ალკოჰოლს თამაშის წინ სვამდნენ. ამა თუ იმ ტურნირის შემდეგ კი, იცოცხლეთ...



იანის კრუმინში (№9) დაჯილდოებისას

უნგრელებს ქართველებს ვამსგავსებ. მათაც ჩვენსავით უყვართ ქეიფი და მოლხენა. ბევრსაც სვამენ და ცოტა რომ შეზარხოშდებიან, ჩვენსავით სიმღერის იშტაზე დგებიან. 50-იან წლებში უნგრეთში ძალიან პოპულარული იყო ნაკრების მოთამაშე იანოშ შიმონი. კალათბურთის თამაშზე არანაკლებ უყვარდა სუფრასთნ ჯდომა, სმა და ლექსები. იანოშმა შანდორ პეტეფის პოეზია თითქმის ზეპირად იცოდა.

მოკლედ, საინტერესო პიროვნება იყო და ხალხსაც ამიტომ უყვარდა. მან უნგრელებს ისტორიული გამარჯვება მოუტანა – 1955 წელს, მადიართა ნაკრების მიერ ევროპის ჩემპიონატის მოგებაში დიდი წვლილი შეიტანა. ეს იყო უნგრეთის დიდი წარმატება კალათბურთში. არადა, ბუდაპეშტში გამართულ ამ ევრობასკეტზე ოთარ ქორქია და საბჭოთა კავშირის ნაკრები უპირობო ფავორიტებად ითვლებოდნენ, მაგრამ მესამე ადგილს დასჯერდნენ.

მომდევნო ევროპის ჩემპიონატზე (1957 წელს, ბუდაპეშტში) საბჭოთა კავშირის ნაკრებში მეც მოვხვდი, უნგრელებზე შური ვიძიეთ და მეოთხედ მოვიპოვეთ ევროპის საუკეთესო ნაკრების წოდება. იგივე გავიმეორეთ 1959 წელს (თურქეთის ევრობასკეტზე).

იანოშ შიმონი სოფიიდანაც გაწილებული გავუშვით და სტამბოლიდანაც.



თუმცა, თურქეთში გამართული ჩემპიონატის შემდეგ იანოში მაინც თავაწეული ჩავიდოდა უნგრეთში. მან ხომ გოლიათი იანის კრუმინში დაამარცხა. კრუმინში 218 სმ სიმაღლისა იყო, შიმონი – 194 სმ.

ალბათ, გაინტერესებთ, რაში აჯობა უნგრელმა ლატვიელს.

ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, როგორც წესი, დიდი ბანკეტი მოეწყო, სადაც ყველა გუნდი დაპატიჟეს. შიმონი ჩვენს მაგიდასთან მოვიდა და კრუმინში სმაში გამოიწვია. გაგვიკვირდა მადიარის ასეთი სითამამე, თუმცა, უარით გასტუმრება არ შეიძლებოდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, ორი თავით დაბალ ადამიანს როგორ უნდა ეჯობნა ლატვიელი მთაკაცი კრუმინშისთვის. ის ხომ კალათბურთელობამდე მეტყველ იყო.

შეჯიბრების წინ დაიდო პირობა: ერთმანეთის პირისპირ უნდა დამსხდარიყვნენ, სადღეგრძელოები რიგრიგობით ეთქვათ და ყოველი ჭიქა ხუთი წუთის შუალედში დაელიათ. სასმელად „სლივოვიცა“ შეარჩიეს, 60-გრადუსიანი(!) ქლიავის არაყი.

პირველი მიჭახუნების შემდეგ მთელი დარბაზი კრუმინშსა და შიმონს შემოეხვია. უმეტესობა უნგრელს ქომაგობდა, რადგან გაცილებით საინტერესო იქნებოდა პატარა კაცის გოლიათთან გამარჯვება. საბჭოთა ნაკრების წევრები კი, კრუმინშს ვამხნევებდით.



ხუცესი, მეცნიერებლის გარემოცვაში

2-2 ლიტრი რომ დალიეს, მოხდა საოცრება: ლატვიელმა გულივერმა გამოაცხადა – „პოლშე ნე მოგუ“ (მეტი აღარ შემიძლია)… არ დავიჯერეთ, შევაგულიანეთ, იანის, მიდი, კიდევ შეგიძლია, შიმონმა როგორ უნდა გაჯობოსო. თუმცა, ჩვენი მცდელობა ამაო გამოდგა – კრუმინშმა მარცხი აღიარა და სკამიდან ძლივს ნამოვაყენეთ. უნგრელი კი ისე გამოიყურებოდა, იფიქრებდით, ერთ ლიტრს კიდევ დალევსო.

12:00

ევროპის 1957 და 1959 წლის ჩემპიონატებს ისე ჩავუარე, თითქოს საინტერესო ამბები მხოლოდ სუფრასთან ხდებოდა. არადა, ჩემი პირველი ოფიციალური სანაკრები მატჩი სწორედ ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში შედგა. სიტყვა „ევრობასკეტი“ აქამდე რამდენჯერმე ვახსენე. კალათბურთს რომ ვთამაშობდი, ასე არავინ უნიფრებდა, თუმცა, უცხოურიდან შემოსული ამ სიტყვის ქართულში დამკვიდრების მოწინააღმდეგ სულაც არა ვარ. მოკლეა, კონკრეტულად გვეუბნება, რა სპორტზე და რა სახის ღონისძიებაზეა ლაპარაკი.

საბჭოთა კავშირის ნაკრები ევროპის 1957 წლის ჩემპიონატისთვის რომ ემზადებოდა, სწორედ მაშინ მოვხვდი პირველად საბჭოეთის გუნდში. მნერთნელი კონკრეტულ კალათბურთელს არასოდეს ურეკავდა. მას შემდეგ, რაც ნაკრების შემადგენლობა გაცხადდებოდა, საქართველოს სპორ-

ტკომიტეტში მოსკოვიდან გამოგზავნიდნენ ოფიციალურ წერილს კანდი-დატების სიით. კომიტეტი ვალდებული იყო კალათბურთელთა მგზავრობა უზრუნველეყო, ხოლო მოსკოვში ჩასვლის შემდეგ ყველაფერს საკავშირო სპორტკომიტეტი აკეთებდა.

ათეულობით წლისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩატარებული უამ-რავი თამაშის შემდეგ, შესაძლოა ცოტა მერთალი კონტურებით ჩანდეს ნაკ-რებში გამოძახების ამბავი, მაგრამ მაშინ, 1957 წელს ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. ნებისმიერი სპორტსმენი ხომ იმიტომ შრომობს, რაც შე-იძლება მეტს მიაღწიოს. ჰოდა, საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოხვედრა იმას ნიშნავდა, რომ ევროპის მაღალ მწვერვალებამდე ერთი ხელის გაწვდენა რჩებოდა.

ნაკრებში მწვრთნელმა გიორგი ტიხონოვმა მიმიწვია. მას ვიტაუტას კუ-ლაკუსკასი ეხმარებოდა. ამა თუ იმ შეჯიბრებისთვის მზადება ფიზიკური დატვირთვებით იწყებოდა. საამისოდ კი შესანიშნავი ადგილი, სოჭი შეირჩა. შეკრების პირველივე დღეს კულაკუსკასმა სოჭიდან მაცესტამდე დაახლო-ებით 10 კილომეტრი გვარდენინა.

ეს ძალიან ბევრია, განსაკუთრებით მათთვის, ვინც დასვენების შემდეგ ვარჯიშს ახლად იწყებს. უნდა გენახათ, რა დღეში ვიყავი მომდევნო სამი დღის განმავლობაში – საწოლიდან ძლივს ვდგებოდა. ჩემმა კუნთებმა ასეთ დატვირთვას ვერ გაუძლო. არ გეგონოთ, თითქოს, მხოლოდ მე გამიჭირდა, მთელი გუნდი ჩემს მდგომარეობაში იყო და საწყის დღეებში საწვრთნელი პროცესი არასრულფასოვნად წარიმართა.

სოჭიდან პოდმოსკოვიეში გადავინაცვლეთ, საბჭოთა კავშირის ნაკრების ერთგვარი აგარაკი სერებრენი ბორში მდებარეობდა. იქიდან კი ვარჯიშებისთვის მოსკოვში ავტობუსით ჩავდიოდით. „ბორ“ რუსულიდან ქართულ თარგმანში წინვოვან ტყეს ნიშნავს. იქ განსაკუთრებული ჯიშის, მოვერცხლისფრო ნაძვები ხარობდა, შესანიშნავი საკურორტო ზონა იყო. სერებრენი ბორში პარტიული მაღალი რანგის მუშაკები ისვენებდნენ. კალათბურთელები, სპორტის ბევრი სახეობის წარმომადგენლებთან შედარებით, პრივილეგირებულები ვიყავით.

ევრობასკეტამდე, საკონტროლო მატჩებისთვის ბულგარეთში გავემ-გზავრეთ და ვერ ვიტყვი, რომ კარგი თამაშით იქაურები გავაკვირვეთ. შესაძლოა, ეს გახდა მწვრთნელთა ცვლილების მიზეზი – გიორგი ტიხონოვი ისე წავიდა გუნდიდან, რომ არც ერთ ოფიციალურ შეჯიბრებაში ნაკრებს არ გაძლიერია. მწვრთნელის ცვლილებას კალათბურთელებზე გავლენა არ უნდა მოეხდინა, რადგან ყველა ერთი მიზნისთვის ვიყავით გაერთიანებულ-ნი. საბჭოთა კავშირის ნაკრები ჩემს დროს წარმატებას იმიტომაც აღწევ-და, რომ ერთ მუშტად შეკრული და დისციპლინირებული გუნდი იყო. ასეთ კოლექტივად უშუალოდ ჩემპიონატებისა თუ ოლიმპიადების დაწყებამდე იქცეოდა ხოლმე, თორემ მოსამზადებელ ეტაპზე ერთმანეთის მტრები ვი-ყავით. ალბათ, იმიტომ, რომ კონკურენტს ვხედავდთ.

მახსოვს, ერთ-ერთი შეკრებისას იური ოზეროვმა სახეში ისეთი სიძლიე-რით ამომარტყა, სამი დღე ვერ ვჭამდი. ოფიციალური მატჩების დაწყებამდე

1957 წელი. სოფია. ევროპის ჩემპიონატის ფინალი.
ზუბკოვის ამ ტყუირცნით ჩემპიონის ბედი გადატედა



ორი დღით ადრე კი სიტუაცია საპირისპიროდ იცვლებოდა და ერთმანეთს ვეხუტებოდით, საერთო მიზნისთვის ვერთიანდებოდით. ოღონდ, ჩვენი ერთობა მოჩვენებითი ნამდვილად არ იყო.

13:00

გიორგი ტიხონოვი სტეპან სპანდარიანმა შეცვალა და სწორედ მისი ხელმძღვანელობით გავეშურეთ სოფიაში, სადაც ევროპის ჩემპიონატი გველოდა. ეს იყო 1947 წლის შემდეგ პირველი ევროპირველობა, რომელშიც საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ოთარ ქორქიას გარეშე ითამაშა.

შეჯიბრება ერთი ამოსუნთქვით ჩავატარეთ. მათანად კარგი გუნდი ჰყავდა და ბულგარეთს, რომლის რიგებში ძმები, გიორგი და ლუბომირ პანოვები თამაშობდნენ, გამოკვეთილი ლიდერი იყო ცენტრი ილია მირჩევი.

ფინალში სწორედ ბულგარელები შეგვხვდნენ. მატჩი „ლევსკის“ სტადიონზე, ლია ცის ქვეშ გაიმართა. პირველ ტამში მასპინძლები აშკარად გვჯობდნენ და დაწინაურდნენ კიდეც, თუმცა, მძიმე ბრძოლაში მაინც მოვახერხეთ პანოვებისა და სავსე ტრიბუნების დამარცხება – 60:57.

1959 წელს საბჭოთა ნაკრებში უკვე ჩემი სიტყვა მეთქმოდა. სტამბოლში, ადგილობრივებმა ჩვენდამი დიდი ყურადღება გამოიჩინეს, ქალაქის ერთერთ საუკეთესო სასტუმროში მოგვათავსეს. დაახლოებით ისეთში, ახლა ხუთვარსკვლავიანს რომ უწოდებენ.

სტამბოლში ბევრი საინტერესო ნაგებობა იყო. გასასეირნებლად საღამობით ვიცლიდით. ქალაქის ცენტრში რესტორნები უხვად იყო თავმოყრილი, ზოგის კართან წითელი ფარნები ენთო, ზოგან – არა. დავინტერესდით, სხვადასხვა რესტორნის კართან, ერთნაირი ფარანი რატომ ეკიდა? როგორც აღმოჩნდა, წითელი განათების მიღმა „ქალებით ვაჭრობდნენ“... თუმცა, ჩვენთვის ეს აკრძალული იყო და იქით ვერც ვიხედებოდით.

ასევე დამამახსოვრდა ექსკურსია ალთინის მეჩეთში. ალთინი თურქულად ოქროს ნიშნავს. ისტორიული ცნობაა: სულთანი ხალხს დაპირებია, რომ მეჩეთის ოთხ მინარეთს მთლიანად ოქროში ჩასვამდა. დაპირების შესასრულებლად საჭირო ოქრო რომ ვერ მოაგროვა, ოთხის ნაცვლად ექვსი მინარეთი ააშენა, რადგან „ალთინ“ ექვსსაც ნიშნავს. არადა, როგორც წესი, მუსულმანურ მეჩეთებს ოთხი მინარეთი აქვს.

1959 წელს საკალათბურთო კაბადონზე ახალმა ქვეყანამ გამოანათა – ევრობასკეტის ფინალში საფრანგეთს დავუპირისპირდით. მატჩი საფეხბურთო სტადიონზე იყო დაგეგმილი, თუმცა, იწვიმა და დარბაზში გადაიტანეს. ფრანგებთან განსაკუთრებულად კარგად ვითამაშეთ დაცვაში. მათ მთავარ იმედს, უან კლოდ ლეფევრს ჩვენი კალათისკენ გზა გადავუკეტეთ და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩა.

ლეფევრი კრუმინშივით ტანმაღალი იყო, ცოტა მოუხეშავი, თუმცა, გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეეძლო. მატჩის დასრულების შემდეგ თასის აღება ვიზეომეთ, გუნდური სურათიც გადავიღეთ და ერთი ისეთი

საბჭოთა დელეგაცია სოფიაში,
გორგი დიმიტროვის მავზოლეუმით



ფოტოც, მთელი ევროპული გაზეთები რომ მოიარა: ფოტოგრაფმა ორ გი-განტს, კრუმინშსა და ლეფევრს შორის დამაფიქსირა. სტანდარტული საზო-მებით დაპალი არა ვარ (186 სმ), თუმცა, მათთან ლილიპუტს ვგავდი.

ფინალის დასრულებასა და ჩვენს ზემოს, ტრიბუნებზე საპირისპირო რე-აქცია მოჰყვა – განაწყენებულმა გულშემატკივრებმა თვალის დახამხამებაში დატოვეს დარბაზი. თუ ფიქრობთ, თურქები გულშემატკივრობდნენ ფრანგებს, ცდებით. საქმე ისაა, რომ ფინალის დღეს სტამბოლში შემოვიდა ფრანგული კრეისერი, რომელიც სავსე იყო მეზღვაურებით, რომლებსაც სამფეროვანი ბე-რეტები ეხურათ. პოდა, დარბაზიც სამფეროვნებით პირთამდე გაივსო.

საკმარისად გამოცდილები ვიყავით, რომ მოწინააღმდეგის მხურვალე ქომაგობას ჩვენზე არ ემოქმედა, თუმცა, არიან კალათბურთელები, რომ-ლებზეც სავსე ტრიბუნები მაინც ახდენს ზეგავლენას. მათ რიცხვს არ მი-ვეკუთვნებოდი, პირიქით – მეტოქის ქომაგის სიუხვე ჩემზე გამაღიზია-ნებლად მოქმედებდა. სწორედ ამიტომ, გასვლით შეხვედრებში გაცილებით უკეთ გამომდიოდა თამაში, ვიდრე საკუთარი გულშემატკივრის წინაშე.

მთავარი კი ის არის, რომ ასეთ დროს არ ვიბნეოდი, მაქსიმალური კონ-ცენტრაციით ვთამაშობდი. პასუხისმგებლობა მიორმავდებოდა. მაგალით-საც მოვიხმობ: ისევე როგორც დღევანდელ კალათბურთში, ტექნიკური ჯარიმისას ტყუორცნებს ვისაც გუნდი გადაწყვეტდა, ის ისროდა. ძია მიშა კეკელიძე ასეთ დროს მე მითითებდა – საჯარიმოს ხაზზე დადექიო. მარ-თალია, ბევრი თანაგუნდელი ჩემზე უკეთ სტყორცნიდა, მაგრამ ტექნიკურ ჯარიმებს მაინც მე ვასრულებდი. არ ყოფილა შემთხვევა ამეცილებინოს. ალბათ, იმიტომ, რომ ბურთს კალათში ჩემი სულიც მიჰყვებოდა.

ყურადღებას მიაქცევდით სიტყვებს: „ბევრი თანაგუნდელი ჩემზე უკეთ სტყორცნიდა“. ნამდვილად ასე იყო. შეიძლება გაგიკვირდეთ – თუ სხვები უფრო კარგად აგდებდნენ, მაინცდამაინც გურამ მინაშვილს რატომ იწვევ-დნენ საბჭოთა კავშირის ნაკრებში?

ჯერ ერთი – ცუდად არ ვტყორცნიდი, შორი დისტანციიდანაც შემეძლო ჩაგდება და განსაკუთრებით ფარქვეშ შესვლა მიყვარდა.

და მეორე – კალათბურთი მხოლოდ შეტევა არ არის, ვურჩევ მომავალმა თაობამ გაითვალისწინოს: ნაკრებში ვერავინ მოხვდება, თუ დაცვაში საიმე-დობით არ გამოირჩევა. თამაში სწორედ დაცვიდან იწყება! საკალათბურ-თო აქსიომაა: კარგი შეტევით თამაშის მოგება შეიძლება, კარგი დაცვით – შეჯიბრებისა.

საბჭოთა კავშირის ნაკრებისა თუ თბილისის „დინამოს“ მწვრთნელე-ბი თამაშს ასე არჩევდნენ: ოქმში ითვლიდნენ კალათბურთელის ქულას და ადარებდნენ იმ მოთამაშისას, რომელსაც ის იჭერდა. თუ მოწინააღმდეგეს შენზე ნაკლები ქულა აღმოაჩნდებოდა, მწვრთნელებისგან დადებით შეფა-სებას იღებდი. შეიძლებოდა, 4-5 ქულა ჩაგეგდო, მაგრამ მაინც ყველაზე სასარგებლო ყოფილიყავი. მითუმეტეს, თუ მწვრთნელები მოწინააღმდეგეს სნაიპერის დაჭრას დაგავალებდნენ.

ქართული გუნდები შეტევაზე მეტს ფიქრობენ, ვიდრე დაცვაზე.

არადა, გადავხედოთ ახლო თუ შორეულ ისტორიას – „დინამო“ თუ ნაკრები შედეგს მხოლოდ მაშინ აღწევდა, როცა დაცვაში მტკიცედ თამაშობდა.

14:00

1959 წლის სტამბოლური ევროპასკეტიდან ჯერ გულშემატკიცრობის თემაზე გადავედი, შემდეგ დაცვაზე და მომდევნო ევროპის ჩემპიონატისკენ გზა გაგვიგრძელდა. სინამდვილეშიც ასე იყო – ოთხი წელი მომიწია მოცდამ, ვიდრე მესამედ გავემგზავრებოდი ევროპასკეტზე.

1961 წელს საევროპე ნაკრებში ვერ მოვხვდი. ვიცი, მიზეზითაც დაინტერესდებით, მაგრამ ზუსტი პასუხი არ მაქვს. უბრალოდ, მწვრთნელმა არ გამომიძახა. შესაძლოა, გარკვეული გავლენა წინა წელს რომში გამართულ ოლიმპიადაზე მომხდარმა ინციდენტმა იქონია... ამის შესახებ უფრო კონკრეტულად მაშინ დავწერ, იტალიას რომ ვესტუმრებით, მანამდე პოლონეთის ქალაქ ვროცლავში შევიაროთ, სადაც 1963 წლის ევროპასკეტი გაიმართა.

მაშინ 27 წლისა ვიყავი, საკმაოდ გამოცდილი და საბჭოთა კავშირის ნაკრების სასტარტო შემადგენლობაშიც იოლად დავბრუნდი.

ვროცლავში მოედანზე მე-4 ნომრით გამოვდი. კარიერაში სულ ორ შეჯიბრებაში მეცვა ოთხნომრიანი მაისურა: პოლონეთის ევროპასკეტზე და ბრაზილიაში 1963 წელს გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ახლაც მკაფიოდ ჩამესმის, მარაკანას მცირე მოედანზე დიქტორის ომახიანი შეძახილი – „ნუმერო კუატრო, გურამ მინაშევილი!“

მანამდე საბჭოთა კავშირის ნაკრებშიცა და „დინამოშიც“ ზურგზე 6-იანი მეწერა. „დინამოში“ რომ მიმიწვიეს, სწორედ მაშინ დაანება თავი კალაბურთს ჯუმბერ ნიუარაძემ, რომელიც მეექვსე ნომრით თამაშობდა. ცნობისთვის, იგი პაოლო იაშვილის სიძე იყო. ამჟამად რაგბის კავშირის ხელმძღვანელი რომ არის, გიორგი ნიუარაძე, სწორედ მისი მამა გახლდათ.

მოკლედ, ახალწვეულს თავისუფალი მხოლოდ ექვსი ნომერი დამხვდა და ნამდვილად არ გამჩენია პრეტენზია სხვა ნომერი მომეთხოვა. ორნიშნა რიცხვის არჩევას კი ბევრი ერიდებოდა. რატომ? კარგად დაფიქრდით და გამოიცნობთ...

აი, რატომ: 50-იან წლებში მაისურებსა და ნომრებს ცალ-ცალკე გვირიგებდნენ, რიცხვები ზურგზე ჩვენ უნდა მიგვეკერებინა. როცა შეკრებაზე ვიყავით, ოჯახის წევრებს ვერ დავიხმარებდით და საკუთარი ხელით გვიწევდა ძაფის აგება... ერთნიშნა რიცხვის მიკერება ორჯერ იოლი იყო და სწორედ ამიტომ არ მიყვარდა ორნიშნა ნომრები. თუმცა, ერთხელ მაინც მომიწია 13-ნომრიანი მაისურით თამაში – 1957 წლის ევროპის ჩემპიონატზე, სოფიაში.

ვროცლავში გამგზავრების წინ ტრადიციას არ ვუდალატეთ, შეკრების დასკვნითი ეტაპი პოდმოსკოვიეში, სერებრენი ბორში გავიარეთ.

ერთ სალამოს ოთახში მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ გომელსკი მეწვია და მკითხა:

– რა ნომრით გსურს ევროპის ჩემპიონატზე თამაში?

საბჭოთა კავშირი-რუმინეთი



- მთავარია, გუნდს გამოვადგე და ზურგზე რა ნომერი მეწერება, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, – ვუპასუხე.
- თბილისის „დინამოში“ 6 ნომერი ხარ...
- დიახ.
- არმენაკ ალაჩაჩიანი მოსკოვის ცსკა-ში ამავე ნომრად თამაშობს. ასე რომ, უნდა ავირჩიოთ, ან შენ ჩაიცვამ ექვსიანს, ან ალაჩაჩიანი.
- ალაჩაჩიანს მიეცით, მე არ მინდა.

ალექსანდრ გომელსკი ამ დიალოგის შემდეგ ოთახიდან ჩაფიქრებული გავიდა. როგორც შემდეგ შევიტყვე, პირდაპირ ალაჩაჩიანთან შესულა და მისთვისაც უკითხავს 6 ნომრიანი მაისურის შესახებ. არმენაკს უთქვამს – მინაშვილმა ჩაიცვასო.

რამდენიმე დღის შემდეგ ეს ამბავი თავად გომელსკიმ გამოაქვეყნა: „სოვეტსკი სპორტის“ უურნალისტებს ჩემი და ალაჩაჩიანის სიტყვები გაანდო და დასძინა – ეს ფაქტიც ადასტურებს ევროპის ჩემპიონატის წინ ნაკრებში რაოდენ კარგი ურთიერთობებიაო.

„სოვეტსკი სპორტში“ მთავარი მწვრთნელის სიტყვები რომ წავიკითხე, ნამდვილად არ გამკვირვებია, რადგან ალაჩაჩიანის ხასიათი კარგად ვიცოდი, იგი რეპატრირებული სომეხი იყო, ქართველივით ხელგაშლილი, ერთად სადმე რომ ვისადილებდით, ფულის გადახდას ვერ ვასწრებდი. ნიჭიერი იყო როგორც საკალათბურთო მოედანზე, ისე მის მიღმა – ხუთ ენაზე ლაპარაკობდა.

ალაჩაჩიანი ეგვიპტეში დაიბადა და სირიაში ცხოვრობდა. არაბული ენა კარგად იცოდა, სომეხი იყო და სომხურიც, რა თქმა უნდა მისი მშობლიური იყო. სირიაში, ფრანგულ კოლეჯში სწავლობდა, ხოლო ცსკა-ში გადასვლის შემდეგ რუსულიც შეისწავლა. დამატებით კი ინგლისურში მეცადინეობდა. ცსკა-მდე იგი ჯერ ერევნის „არარატში“ თამაშობდა, შემდეგ უვაის ახტაევთან ერთად – ყაზახეთში.

ალაჩაჩიანს კარგად ჰქონდა შესწავლილი ხილის დადებითი თვისებები და მას ვაშლის თუ ფორთოხლის გარეშე ვერ ნახავდით – ჩანთა ერთთავად ხილით ჰქონდა გამოტენილი.

პოლონეთში მეექვსე ნომრით ალაჩაჩიანი თამაშობდა. ევროპის ჩემპიონატზე პირველი შეხვედრა აუტსაიდერ ფინეთთან ჩავატარეთ, მეორე კი ჩვენი ჯგუფის კიდევ ერთ ფავორიტ პოლონეთთან. მე და არმენაკი ერთდროულად მოედანზე ხშირად არ ვიყავით, რადგან ორივე გამთამაშებლები გახლდით, მაგრამ ეპიზოდებში მაინც გვიჩვევდა გვერდიგვერდ თამაში. იგი სწრაფი უკანასაზელი იყო, თუმცა, შორიდან სროლით არ გამოირჩეოდა. პოლონელები ალაჩაჩიანს ახლოს არ იჭერდნენ, თუ კალათისგან მოშორებით იყო, საერთოდ არ მეურვეობდნენ, სანაცვლოდ ჩვენს სნაიპერთან ორი დამცველი გადადიოდა.

ეს ანტიკალათბურთია, მონინააღმდეგის უპატივცემულობას უსვამს ხაზს, დაახლოებით ისეთი საქციელია, მოკრივეს ქამარს ქვემოთ რომ დაარტყა. ამერიკაში ერთ შემთხვევასაც ვერ ნახავდით, მეტოქე უმეთვალყურეოდ მიეტოვებინოთ. ეს დაუწერელი კანონია. თუმცა, ჯოხს მეორე მხარეც



აქვს – NBA-ში არ მოიძებნება მოთამაშე, თავისუფალ პოზიციაში დარჩენილი სახითათო არ იყოს.

მოკლედ, პოლონეთთან არმენაკი თამაშიდან იყო გამოთიშული, რამაც ძალიან შეაწუხა, მომიახლოვდა და წამჩურჩულა:

- გურამ, მითხარი, როგორ მოვიქცე.
- შეტევას რომ წამოვიწყებთ, ფართან შეირბინე, მეტოქის ცენტრს ჩაუარე და ფლანგზე გადადი, – ვურჩიე სპონტანურად.

ასეც მოიქცა და თამაშშიც დაბრუნდა: ფარქვეშ შეჭრით ალაჩაჩიანი მოწინააღმდეგ ცენტრს აბნევდა, ფრთაზე გასულმა კი არაერთხელ მიიღო ბურთი და კალათისკენ გზაც რამდენჯერმე ცარიელი დახვდა. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ ფარისკენ დაძრულ არმენაკს მისი მეურვეც მიჰყვებოდა, რომელიც ბოლომდე თუ არ გაჰყვებოდა ფლანგზე, სადღაც სამნამიან ზონასა და არმენაკს შორის გაჩერდებოდა, შესაბამისად, საბჭოთა კავშირის უკანახაზელებს შეტევისთვის ცენტრალური ხაზი გვითავისუფლდებოდა. მატჩის დასრულებისთანავე ალაჩაჩიანი ჩემთან მოვიდა და ჩურჩულით მადლობა გადამიხადა.

პოლონელებს ჯგუფშიც ვაჯობეთ (64:54) და ფინალშიც (61:45). არადა, კარგი გუნდი ჰყავდათ და წარმატების იმედიც ჰქონდათ, თუმცა, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მეშვიდედ, მე კი მესამედ მოვიპოვე ევროპის ჩემპიონატის ოქრო.



DONO DELLA CASSA DI RISPARMIO IN BOLOGNA

V TROFEO MAIRANO

Bologna 10-14 Settembre 1958

ବିଜ୍ଞାନ ତଥା

In, InGrowth!..

ჩემპიონების დაჯილდოების შემდეგ გამოაცხადეს
საუკეთესო კალათბურთელის გვარიც, რომელიც
შვილზე მთავრდებოდა. საკუთარი გვარის მოსმენა
ძალიან გამეხარდა. მართალია, მაირანოს თასზე
შედეგიანად ვითამაშე, მაგრამ ბოლომდე მაინც
არ ველოდი საუკეთესოდ დასახელებას.



საბჭოთა კავშირის ნაკრების შეკრული სოჭში.
ზედა რიგში მარცხნილან პირველი ილარიონ
ხაზარაძე, მე – პირველი რიგში, მარჯვნიდან
ტეორე, ბოჩკარიოვსა და სემიონოვს მორის

15:00

მედლებზე დასაწყისშიც ბევრი დავწერე და შეგექმნებოდათ წარმოდგენა, რას ვფიქრობ ამა თუ იმ ჯილდოს შესახებ. სსრ კავშირისგან განსხვავებით, ევროპის პირველობებზე მედალს განაცხადში მყოფ ყველა კალათბურთელს აძლევდნენ, მნიშვნელობა არ ჰქონდა მატჩების 50 პროცენტი ჰქონდა ჩატარებული, თუ – ერთი პროცენტი. 1957 წლის ევროპასკეტზე საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად მეც გავიმარჯვე, მაგრამ არ ვთვლი, რომ მედალი მე მოვიგე. მომდევნო ევროპასკეტზე უკვე გუნდის მნიშვნელოვანი ნაწილი ვიყავი და ოქროს გამოჭედვაში ჩემი წვლილიც დიდი იყო. თუმცა, ყველაზე მეტად მაინც მაირანოს მედალი მიყვარს...

ალდო მაირანო, 1946-54 წლებში, იტალიის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი იყო. მაშინ სპორტის ეს სახეობა აპენინებზე ახალ საფეხურზე ავიდა და პრეზიდენტმა დიდი პოპულარობაც მოიპოვა. სწორედ 1954 წელს ჩაეყარა საფუძველი მაირანოს თასის გათამაშებას, რომელშიც ევროპის საუკეთესო გუნდები მონაწილეობდნენ: ევროპასკეტის საპრიზო ადგილზე გასული სამი ნაკრები და მასპინძელი იტალია. მაირანოს თასი ლუწ წლებში თამაშდებოდა, მაშინ, როცა გუნდები ევროპის ჩემპიონატისგან თავისუფალნი იყვნენ. მონაწილეთა შემადგენლობითა და მნიშვნელობით ეს შეჯიბრება ევროპის ჩემპიონატს ნამდვილად არ ჩამოუვარდებოდა.

მაირანოს თასის გათამაშება სულ ხუთჯერ ჩატარდა, აქედან სამჯერ პირველობა სსრ კავშირს დარჩა. 1956 წელს ქართველთაგან მაირანოს თასზე ალექსანდრე კილაძემ ითამაშა. 1958-ში კი ჩემი ჯერიც დადგა.

ალდო მაირანოს სამშობლო ბოლონია იყო და ტურნირიც ამ ქალაქში იმართებოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლონია იტალიის უმთავრესი საკალათბურთო ქალაქია. იტალიაში გასამგზავრებლად საგანგებოდ ვემზადებოდი, რადგან ეს უნდა ყოფილიყო ჩემი პირველი გასვლა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

იტალიური შთაბეჭდილებები 1993 წელსაც გავუზიარე მეცნიერსა და პუბლიცისტ შოთა ვადაჭკორიას, რომელმაც ეს ყველაფერი გაზეთ „მაცნეში“ დაწერა:

„სწორედ მაშინ, 1958 წელს აღმოვაჩინე ჩემში საოცარი თვისება... საოცარი და ამავე დროს იმდენად რეალური, ხელშესახები, რომ თვითონვე სახტად დავრჩი: თურმე, ნამდვილი, დაწყობილი ცხოვრება სად ყოფილა! ყველაფერი რომ ადამიანისთვის კეთდება! ადამიანი, პიროვნება ყველაზე მაღალი ღირებულება რომ არის ცხოვრებისა! ამის გაცნობიერებამ რაღაც უცნაური აღმაფრენა შემძინა არა მარტო ცხოვრების ხალისის გახსნის თვალსაზრისით, არამედ სულიერთან ერთად ფიზიკური ძალების აღმავლობის მხრივაც.“

ალბათ, ამიტომ გამომივიდა განსაკუთრებული თამაში მაირანოს თასზე.“

იტალიის სილამაზემაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. კოხტა ქუჩები, უძველესი მონასტრები, საოცარი ხალხი... ხელიდან არ ვუშვებდით შანსს, თავისუფალ დროს ბოლონია რომ არ დაგვეთვალიერებინა. ერთ-ერთი ასეთი გასვლისას გადავწყვიტეთ თან ტანისამოსი და სუვენირები შეგვეძინა. ოთხმა თანაგუნდელმა მთელი ქალაქი შემოვიარეთ და უკან დაბრუნებას ვაპირებდით, როცა დანარჩენებმა ჩემი მარტო დატოვება გადაწყვიტეს. ასეთი ხერხით გახუმრება სცადეს. გამოუვიდათ კიდეც – ისე მოეფარნენ თვალს, კვალიც ვერ შევნიშნე. ერთი კი გავიფიქრე, ნეტავ იანის კრუმინშიც წამოგვეყვანა, მისი გაბარიტების კაცი ვერსად გაქრებოდა-მეთქი...“

გავპრაზდი, მაგრამ რას ვიზამდი? – საყველპურო ინგლისური მოვიმარჯვე და ერთ გამვლელს ვკითხე:

- ხომ არ იცით, სასტუმრო...
- რომელი სასტუმრო გნებავთ?
- სასტუმრო...

...სახელი დამავიწყდა. ალარ მახსოვდა, სად ვიყავით დაბინავებულნი. არ ვიცოდი, რა მეღონა, მაგრამ ნამდვილად არ მინერვიულია – ერთი მხრივ საინტერესოც იყო უცხო, ლამაზ ქალაქში გზის გაგნება. სასტუმრომდე დიდი წვალებით მივედი. ჩემი თანაგუნდელები კი სიცილით შემომეგებნენ.

ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდა დომენიკს, სტუდენტს, რომელიც საკალათბურთო ტურნირის მსვლელობისას ჩვენს სასტუმროში მუშაობდა. სათვალიანი, გამხდარი ბიჭი იყო ღარიბი ოჯახიდან. უნივერსიტეტში არდადეგები რომ დაწყო, საზაფხულო სამუშაოდ ჩვენს სასტუმროში იპოვა საქმე.





რომის ოლიმპიადის ნინ. ამხანაგური მატჩი საფრანგეთის
ნაკრებთან. მარცხნიდან: ვალდმანისი, მუიუნიეკსი, მე,
ტრავინი, სემიონოვი, უგრებელიძე, კორნეევი, ვოლნოვი,
ზუბკოვი, ვალტინი, პეტროვი, კრუმინში



უკრაინელი გლადუნის წინააღმდეგ

დავმეგობრდით. დომენიკმა იტალია კიდევ უფრო დადებითი კუთხით გა-
მაცნო.

1958 წელს, მაირანოს თასისთვის საბრძოლველად იტალიაში ევროპის
ჩემპიონ სსრკ-სთან ერთად ვერცხლის მედალოსანი ბულგარეთი და ბრინ-
ჯაოს მფლობელი ჩეხოსლოვაკია ჩამოვიდნენ. შეჯიბრება წრიული სისტე-
მით გაიმართა და ბოლო შეხვედრაში იტალიას დავუპირისპირდით. მოგების
შემთხვევაში მაირანოს თასს ზედიზედ მეორედ მოვიგებდით...

დაძაბული და ნერვიული თამაში გამოდგა, იყო განევ-გამოწევაც. იტა-
ლიოს ნაკრებში თამაშობდა ენტონიო კალებოტა, ტანმაღალი, თუმცა, თხე-
ლი აღნაგობის ახალგაზრდა. ერთ ეპიზოდში იგი ჩვენმა წინახაზელებმა
იატაკზე დაანარცხეს და უნდა გენახათ, როგორ წამოფრინდა, რა სიტ-
ყვებით იგინებოდა, თანაც რუსულად! ამ ინციდენტის გამო შეხვედრა არ
ჩაშლილა, ჩვენ კი ტურნირის დასრულების შემდეგ შევიტყვეთ კალებოტას
ისტორია: თურმე, მამამისს უკრაინის ქალაქ ოდესაში უმუშავია და მომა-
ვალ კალათბურთელსაც პატარაობაში უკრაინაში დაუწყია თამაში. მამალი
რუსული გინებაც სწორედ ოდესაში უსწავლია. მოკლედ, მაირანოს თასი

არავის დავუთმეთ და საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი მშვენიერი მედალიც დავიმსახურე. ის ერთი უნცია (28.3495 გრამი) ოქროთია ჩამოს-ხმული, ზედ გამარჯვების ქალღმერთი ნიკეა გამოსახული.

ჩემპიონების დაჯილდოების შემდეგ გამოაცხადეს საუკეთესო კალათბურ-თელის გვარიც, რომელიც შვილზე მთავრდებოდა. საკუთარი გვარის მოსმენა ძალიან გამეხარდა. თან თანაგუნდელებს გავხედე და შევატყე, ჩემი აღიარება ყველას არ ესიამოვნა. მართალია, მაირანოს თასზე შედეგიანად ვითამაშე, მაგრამ ბოლომდე მაინც არ ველოდი საუკეთესოდ დასახელებას. ჯილდო კოსტუმში გამოწყობილმა იტალიელმა გადმომცა, მილოცავდა, რაღაცას მიხ-სნიდა, ძალიან ბევრი მელაპარაკა, მაგრამ არაფერი მესმოდა. თუმცა, ზრდი-ლობის ნიშნად თავს ვუქნევდი, ვეუბნებოდი – „სი, სინიორ, სი!“

იტალიასთან, ჩეხოსლოვაკიასთან თუ ბულგარეთთან, ჩემს შედეგებზე ყურადღება განეხებ არ გამიმახვილებია. ახლა ეს დიდად საინტერესო არც არის, რადგან მაღიარეს, ე.ი. ურიგოდ არ მითამაშია.

ახლა, ალბათ, უკეთ ხვდებით, რატომაა ბოლონიიდან ჩამოტანილი ოქ-როს მედალი ჩემი კოლექციის ყველაზე ღირებული ექსპონატი. ოლონდ, იგი მე აღარ მეტავრის – ბიძინა ივანიშვილს ვაჩუქე. მიმაჩნია, რომ სამშობ-ლოსთვის განეული ღვანლისთვის ამ ჯილდოს ჩემზე მეტად იმსახურებს. თუმცა, ვინაიდან იგი საჩუქრებს არ იღებს, მაირანოს ოქრო ისევ ჩემს სეიფშია. ბატონ ბიძინას ერთხელ შევხვდი, მაგრამ მედლის გადაცემის სა-შუალება არ მომეცა. იმედს არ ვკარგავ, რომ ადრე თუ გვიან დანაპირებს შევასრულებ. კაცის სიტყვა ჰაერში არ უნდა დარჩეს.

სხვათა შორის, იტალიიდან დაბრუნებიდან ერთ თვეში, მაშინდელ სა-გარეო საქმეთა სამინისტროში დამიპარეს, რომელიც ათონელის ქუჩაზე მდებარეობდა. როგორც ჩანს, ბოლონიურმა ამბებმა მათ ყურამდეც მიაღ-წია და საქართველო-იტალიის საზოგადოების საპატიო წევრად ამირჩიეს. სპორტსმენისთვის ასეთი მიწვევა სასიამოვნო იყო, თუმცა, ქართულ-იტა-ლიურ საზოგადოებაში ტრიალი დიდხანს არ მომიწია – არჩევის შემდეგ აღარ დავუძახივარ.

16:00

მოსკოვის ცსკა-ს ხელმძღვანელებმა ნოდარ ჯორჯიკიასა და ოთარ ქორ-ქიას მოსკოვის ცენტრში მდებარე რამდენიმე ბინის გასაღები მიუტანეს და უთხრეს – რომელიც გნებავთ, აირჩიეთო. სანაცვლოდ კი ცსკა-ში უნდა გადასულიყვნენ. ორიენტაცია უარი მიიღეს. მაშინ ქართველთათვის მხოლოდ ერთი გუნდი არსებობდა – „დინამო“, რომელიც ნაკრების მაგივრობასაც სწევდა და თითოეული ჩვენიანისთვის საამაყო იყო. ამიტომ, კალათბურთე-ლი თუ „დინამოში“ მოხვდებოდა, ეს უკვე ოცნების ასრულებას ნიშნავდა და სხვა გუნდში გადასვლაზე აღარ ფიქრობდა. ამასთან, „დინამო“ საბჭოეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გახლდათ და სულაც არ იყო ჩემპიონობის მოპოვების მიზნით სხვაგან გადასვლა აუცილებელი.



ჩემი მოყვარე და მტერია
ალექსანდრ გომელსკი
და იური თხეროვი

მეც მქონდა შეთავაზება მოსკოვის „დინამოდან“. რადგან ჩვენ და მოსკოვის „დინამოს“ ერთი ხელმძღვანელობა ჰყავდა, გაცილებით იოლად მოგვარდებოდა ყველა ნიუანსი, მაგრამ მოსკოვში წასვლაზე უარი ვთქვი.

...თუმცა, ერთხელ მაინც დავთიქრდი. თან სერიოზულად. ოლონდ არც რუსულ, არც ბალტიისპირულ და არც რომელიმე დასავლეთ ევროპულ გუნდში გადასვლაზე. წარმოიდგინეთ საკუთარი თავი ჩემს ადგილას: NBA-ს წარმომადგენლის, „ნიუ იორკ ნიკერბოკერსის“ მწვრთნელი მოდის და განვდით ფურცელს, რომელიც, არც მეტი არც ნაკლები, გამზადებული კონტრაქტია. მხოლოდ ერთი გრაფაა შესავსები – უნდა ჩავნერო ხელფასის სახით რა ოდენობის თანხა მსურს.

არ მოაწერდით ასეთ ფურცელს ხელს? მე... მოვაწერე თუ არა, ქვემოთ წაიკითხავთ, მანამდე თანმიმდევრობით უნდა გავცეთ პასუხი შეკითხვებს: სად, რა გარემოებაში შემომთავაზეს კონტრაქტი? რატომ, რამ განაპირობა ნიუიორკელთა ჩემდამი დაინტერესება?

1959 წელს ამერიკის საავიაციო სასწავლებლის გუნდმა ჩილეში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ფიასკო რომ განიცადა, უკვე მოგახსენეთ. აშშ-ში ქვეყნის პრესტიუის საქმე იყო თითოეულ საკალათბურთო შეჯიბრებაში პირველობა, ამიტომ ჩილეში განვითარებულმა ამბებმა ამერიკელები სერიოზულად დააფიქრა. ისიც იცოდნენ, რომ მთავარი კონკურენტი

საბჭოთა კავშირის ნაკრები იყო. კარსმომდგარი ოლიმპიადის წინ (1960 წელს) ხუმრობა აღარ შეიძლებოდა, აუცილებელი იყო საბჭოთა ძალის რეალურად შეფასება და იმის მიხედვით გარკვევა, რა ძალის გუნდი უნდა წასულიყო რომის ოლიმპიადაზე.

სწორედ ჩვენი შეფასების მიზნით ოკეანისგაღმელებმა შტატებში მიგვინვის და ისე მიგვიღეს, როგორც უმაღლესი რანგის სტუმრებს შეშვენოდათ. ერთი დიდი თვითმფრინავი გამოგვიყვეს, რომელიც ოცდლიანი ვიზიტისას მუდმივად ჩვენ გვემსახურებდა. რომელ ქალაქშიც გავჩერდებოდით, იმის აეროპორტში გველოდა, მხოლოდ ბორტგამცილებლები იცვლებოდნენ, ისიც იშვიათად.

ნიუ იორკში საუკეთესო სასტუმროში დაგვაბინავეს – „ვორლდ თფ ასტორიაში“, რომელშიც ჩვენს ჩასვლამდე ერთი თვით ადრე ნიკიტა ხრუშჩოვი ცხოვრობდა. სასტუმრო 48-სართულიანი იყო. ჩვენ 22-ზე ვცხოვრობდით. დერეფანში ერთ მხარეს ექვსი ლიფტი მოძრაობდა, ზოგი – ჩვეულებრივი, ზოგი ძალიან სწრაფი.

ლიფტიც კი გემოვნების მიხედვით შეგეძლო აგერჩია. კერძებზე ხომ არაფერს ვამბობ. ერთხელ ნიუ იორკის ცნობილ ჰოლანდიურ რესტორანში დაგვპატიუეს. როგორც წესი, მენიუ მოგვიტანეს. ვფურცლეთ, ვფურცლეთ და ნაცნობი ბევრი ვერაფერი აღმოვაჩინეთ. ბოლოსდაბოლოს თავად მასპინძლებმა ამოგვირჩიეს მენიუ და სუფრაზე ერთმანეთის მიყოლებით გაჩნდა საუკეთესო კერძები. ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა თითოეულ კაცს დიდი ქოთანი დაგვიდგეს. ყოველ ქოთანში თითო ქათამი იყო. მადას არ ვუჩივოდით, მაგრამ მაინც ვერ გავუმკლავდით.

ჩვენი გამგზავრება-დაბრუნების ზუსტი თარიღის გახსენება რთულია, თუმცა, კონკრეტულ რიცხვებს ახლა დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ამერიკური ვოიაჟი 1959 წლის ბოლოს შედგა, მანამდე მოვილიეთ ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატი და თურქეთის ევრობასკეტი. 25 ნოემბერს ამერიკაში შევხდით. ეს ჩემი დღეობაა, სწორედ 25-ში ვარ დაბადებული. ეს ამერიკელებმაც გაიგეს და სასტუმროს რესტორანში დიდი ტორტი მომართვეს. ასეთი წესი ჰქონიათ: ვისი დაბადების დღეცაა, ტორტი იმან უნდა დაჭრას, ხოლო ვინც იუბილარის ხელიდან ერთ ნაჭერს მაინც მიიღებს, მთელი წელი ბედნიერი იქნება.

ამ ჩვეულების შესახებ არაფერი ვიცოდი და გაოგნებული შევყურებდი, სხვადასხვა მაგიდებიდან ჩემკენ მომავალ ქალბატონებს. რიგი დადგა, ტორტის დაჭრას ვერ ავუდიოდი... კარგად გავთვალე და ყველას ვამყოფინე.

17:00

პირველი მატჩი ნიუიორკულ „ფილიპს 66-თან“ ჩავატარეთ. ეს გუნდი AAU-ს ლიგას წარმოადგენდა, რაც NBA-ს შემდეგ რიგით პირველი დივიზიონი იყო: მასში საუკეთესო არაპროფესიონალი კალათბურთელები თამაშობდნენ და სწორედ იქიდან ირჩეოდა აშშ-ის საოლიმპიადე ნაკრები.

„ფილიპს 66-ს“ „მედისონ სკვერ გარდენში“ დავუპირისპირდით. ამ დარბაზში სათამაშოდ განსაკუთრებულად ვემზადებოდით. ამაყადაც შევედით, მაგრამ რას ვხედავთ – ტრიბუნები ცარიელია. შეხვედრას მხოლოდ ამერიკის კალათბურთის ფედერაციის ხალხი ესწრებოდა.

გულშემატკივრის არყოფნის მიზეზი რომ ვკითხეთ, საოცარი პასუხი მივიღეთ: ყველა ბილეთი ერთ ადამიანს შეუძენიაო... თუ მართლა, ერთმა კაცმა გადაიხადა ყველა ბილეთის ფული, ნამდვილად საბჭოთა კავშირის მტერი უნდა ყოფილიყო. თუმცა, ვერ ვხვდები, ჩვენ რაღას გვერჩიდა – კალათბურთელები ხომ ამერიკაში მხოლოდ სათამაშოდ ვიყავით ჩასულნი.

აქამდე ვთქვი, რომ სავსე ტრიბუნების ნინაშე უფრო კარგად ვთამაშობდი. „ფილიპს 66-თან“ შეხვედრა გამონაკლისი იყო. თუმცა, წავაგეთ.

მეორე დღეს, ნიუ იორკის აეროპორტში ჩვენი ლაინერი მოვძებნეთ და გეზი კანზას სიტისკენ ავიღეთ. ბრწყინვალე ადგილი გამოდგა. მის გარეუბანში მდებარეობდა სტუდენტური ქალაქი ლოურენსი, რომლის გუნდთანაც მეორე მატჩი ჩავატარეთ.

ამჯერადაც დავმარცხდით, თუმცა, ნიუიორკული მატჩის მსგავსად, თავიდან ბოლომდე თანაბარი ბრძოლა იყო.

კანზასში ბევრი საინტერესო რამ ვნახეთ, განსაკუთრებით ხალხი და მათი ხასიათი იყო გამორჩეული. ერთი ანექდოტიც მოგვიყვნენ და დასძინეს, სწორედ ამის მიხედვით შეგექმნებათ ნათელი წარმოდგენა კანზასსა და კანზასელებზე:

„რომ მეგობარი ნიუ იორკში ჩავიდა და მანჰეტენზე გაისეირნა. ყავა მიირთვეს და ორივე ყავისა ერთმა გადაიხადა. საღამოს ავტოსალონში გაიარეს და უკანასკნელი მარკის ავტომობილები მოეწონათ. მეორე კანზასელმა უთხრა მეგობარს – ნება მომეცი, ამჯერად მე დაგპატიურ მანქანაზე და ორივეს საფასური გადავიხადოო.“

უკანასკნელი მარკის ავტომობილებზე გამახსენდა და თუ არ მიწყენთ, ლირიკულად გადავუხვევე: საქართველოში ერთი ამბავია ატეხილი, სახელმწიფო მოხელეები ერთმანეთზე უკეთეს მანქანებს ყიდულობენ, ზოგჯერ მოადგილეს უფროსზე უკეთესი ავტომობილი ჰყავს...

ერთ ტელეგადაცემას ვუყურე, რომელშიც ესპანეთის გუნდში მოასპარეზე რუს ველომრბოლს ჰქითხეს – რა მანქანა გყავსო? უბრალო მარკა დაუსახელა. უურნალისტს გაუკვირდა და დღესაც ყურში მიწივის სპორტსმენის პასუხი: უფლება არა გვაქს ჩვენი ავტომობილი შეფისაზე უკეთესი იყოსო. ეს 60-იანებში კი არა, 2014 წელს მოვისმინე.

რა თქმა უნდა, ყველა ადამიანს თავისუფალი არჩევის უფლება უნდა ჰქინდეს, მაგრამ სუბორდინაციის დაცვა აქაც აუცილებელია. რამდენიმე წლის ნინათ შევედი ჯამლეტ ხუსაშვილის კაბინეტში, რომელიც სპორტის სასახლის დირექტორის მოადგილე იყო. ოთახი ბრწყინვალედ ჰქონდა მოწყობილი. იქ ყოფნას არაფერი ჯობდა. ვუთხარი: სპორტის სასახლის დირექტორზე უკეთესად მოწყობილი კაბინეტი არ უნდა გქონდეს-მეთქი. დამეთანხმა.



მართლაც, სტუმარი ჯერ მოადგილის საოცრად მოწყობილ კაბინეტში რომ შევა, შემდეგ უფროსის უბრალო ოთახში, რას იფიქრებს?!

ქმერიკაში გამაოცა ერთმა შემთხვევამ. უფრო სწორად ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ მძღოლთა რეაქციამ. ერთმანეთს ორი ახალთახალი მანქანა შევჯახა. ჩვენში ასეთ დროს კარგად მოგეხსენებათ, რა ხდება – ურთიერთბრალდება, განევ-გამოწევა, ლანძღვა-გინება, თავის და-ვრენის ათასი ულირსი ხერხის გამოყენება... იმიტომ, რომ ჩვენი საპრალო ადამიანებისთვის ყველაფერი პრობლემურია: ავტონაწილების შეძენაც, კეთილსინდისიერი ოსტატის პოვნაც, რასაც მოსდევს უამრავი დაკარგული დრო და ტყავის გაძრობამდე დიდი ხარჯი!

ამერიკაში, აი, რა მოხდა: ორივე მანქანიდან კეთილმოსურნე, ოდნავ უხერხეულობის გამომხატველი ლიმილით გადმოვიდნენ მძღოლები, თავაზიანი სიტყვები და სავიზიტო ბარათები გაცვალეს, თავაზიანადვე დაემშვიდობნენ და მორჩა – ამოინურა მთელი კონფლიქტი!

შემდეგ ამიხსნეს: იქ ავტომობილები ისეა დაზღვეული, მათი შეკეთება კი არა, სრული გაახლებაც კი არავითარ უხერხეულობასთან და ხარჯებთან არ არის დაკავშირებული.

კანზასის შემდეგ ვითამაშეთ კლივლენდში; მერე – სასოფლო სამეურნეო ცენტრ პეირიაში; ამას მოჰყვა ოქროს მაძიებელთა ქალაქი დენვერი და თვითმფრინავების მწარმოებელი ქალაქი სიეტლი.

როგორც აღნიშნე, ამერიკაში 20 დღე დავყავით, 6 თამაში ჩავატარეთ, 2 მოვიგეთ... საერთო ანგარიში 3:2 იყო, ჩვენი საელჩის წარმომადგენელი რომ მოვიდა და გვითხრა – ამერიკულ ტურნეს ფრედ, 3:3 თუ დაამთავრებთ, კიდევ 60-60 დოლარს დაგიმატებთო.

საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტიდან 20 დღეში 60 დოლარი მივიღეთ. დღევანდელი საზომებით, ეს ძალიან ცოტაა, არც მაშინ იყო თვალისმომჭრელი თანხა, თუმცა, ორი, ძვირფასი, ნეილონის ქურქის შეძენა შეიძლებოდა, რომელიც ჩვენთან ძალიან ძვირი ღირდა.

მოკლედ, ჩვენი ბიუჯეტი 60-დან 120 დოლარამდე რომ გაგვეზარდა, სიეტლური მატჩის მოგება იყო საჭირო. კარგადაც დავიწყეთ, მეტოქეს გავასწარით, თუმცა, ამერიკელმა მწვრთნელმა უმაღ შეცვლები განახორციელა და მოედანზე გამოსულმა ორმა კალათბურთელმა სიეტლელთა ჩამორჩენა უმაღ გააბათილა. ამის შემდეგ მშვიდად დასხდნენ სკამზე. ისევ გავასწარით, ისევ გამოვიდნენ და ისევ დაგვეწივნენ. სწორედ ამ ორი კალათბურთელის დამსახურებით მასპინძლებმა მცირე სხვაობით დაგვამარცხეს, ამერიკული ტურნე 2:4 დავასრულეთ და დამატებითი 60 დოლარიც ფიქრებში გაქრა.

როგორც შემდეგ გაირკვა, შეცვლაზე შემოსული კალათბურთელები, მატჩის ბედი რომ გადაწყვიტეს, NBA-ში „სიეტლის“ ღირსებას იცავდნენ. უთუოდ გუნდის ვარსკვლავები იქნებოდნენ.



ნაკრების მორიგი შეხვედრა

18:00

რამდენიმე ამბავი გავიხსენე ნიუიორკულ, კანზასურ, სიეტლურ მატჩებზე, თუმცა, არაფერი მითქვამს დენვერულსა და კლივლენდურზე. არადა, სწორედ ამ ორ შეხვედრაში გავიმარჯვეთ. გგონიათ, სათქმელი არაფერია? სალაპარაკო რომ არის, კოლორადოული მოვლენები გემრიელი ლუკმასავით ბოლოსთვის იმიტომ მოვიტოვე.

1959 წელს, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ 10 დეკემბრის ნომერში „დენვერი“-საბჭოთა კავშირის მატჩის შესახებ მწვრთნელები, სტეპან სპანდარიანი და ალექსანდრ გომელსკი მონილოგის სახით მოგვითხრობენ. სათაური ასეთია: „მატჩის გმირები – სემიონოვი და მინაშვილი“.

მოდი, ჩვენც მოვკალათდეთ სავარძელში, მოვიმარჯვოთ „სოვეტსკი სპორტი“ და ერთად გავეცნოთ მწვრთნელების მონაყოლს:

„ამერიკაში ჩასვლის შემდეგ თვითმფრინავი ჩვენთვის ტაქსივითაა, ბევრს ვმოგზაურობთ. თან დაგვყვება ამერიკის ქალთა ნაკრების შვიდი კალათბურთელი.



50-იანების დენვერი

დენვერი 1600 მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონიდან. ეს ქალაქი ახალგაზრდაა, ოქროს მაძიებლებმა დააარსეს. სულ რამდენიმე წლის წინათ ქალაქის მთავარი ტრანსპორტი ცხენი იყო, ახლა კი დენვერი შესანიშნავი ტრასებითაა დაქსელილი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ტრამვაის შეხვდებით.

„დენვერ ტრეკერსი“ NBA-ში თეთრი ფორმით თამამობს, ნარმატებულადაც. ჩვენთან მოგებაც ამ გუნდის გეგმის რიგითი პუნქტი იყო. გაზეთებმა დაწერეს კიდეც: საბჭოთა კავშირის ნაკრებმა წააგო „ფილიპსთან“, „კატერპილერთან“, „ვიკერსთან“, ახლა კი „დენვერთან“ დამარცხების დროა.

ზოგიერთ დენვერელ კალათბურთელს 1959 წლის ჩემპიონატიდან უკვე ვიცნობდით, მათ შორის უაიდს, რომელიც ჩილეში გამართულ მუნდიალზე აშშ-ის ლირსებას იცავდა. თამაშზე კინაღამ დავაგვიანეთ – ქუჩები გადატვირთული იყო და ჩვენს აცტობუსს ბევრი ბარიერის გადალახვა მოუწია, ვიდრე არენა „კოლოსეუმს“ მივადგებოდით. დარბაზში 11 ათასი გულშემატკივარი თბილად შეგვხვდა.

ჯერ ქალთა ნაკრებმა ითამაშა აიოვას კოლეჯთან, რომელსაც სხვა ვარსკვლავები ჰყავდა დამატებული 52:46 მოვიგეთ.

ამას მოჰყვა ვაჟთა ნაკრების მატჩი. მართალია, მეტოქე ძალიან ძლიერი იყო, მაგრამ ჩვენი გუნდი საათის მექანიზმივით მოქმედებდა და ინიციატივასაც მალევე დაეუფლა. ხუთეული: მინაშვილი, ვალდმანისი, კორნევი, სემიონოვი, ზუბკოვი. მჭიდრო პრესინგით შევბოჭეთ მასპინძლები, ხოლო

შეტევაში მაღალმა ტემპმა ანგარიშშიც დაგვაწინაურა. საოცრად თამაშობ-დნენ სემიონოვი და მინაშვილი. საბოლოოდ სწორედ ისინი გახდნენ მატჩის გმირები. პირველმა 21 ქულა ჩაგდო, მეორემ – 19. პირველი ტაიმი 49:37 მოვიგეთ.

მეორე ნახევრის დასაწყისში სასტარტო ხუთეულის სამ წევრს დასვე-ნების საშუალება მივეცით, მხოლოდ მინაშვილი და კორნეევი დავტოვეთ მოედანზე. გამოვიდნენ მუჟნიეკსი, სტუდენტეცი და კრუმინში. ამ უკანას-კნელის გამოჩენამ ამერიკელები აიძულა ზონური დაცვა აეგოთ. ნაბიჯმა გაამართლა, მასპინძლები თამაშში დაბრუნდნენ და ბოლო წამებზე ანგა-რიშიც გაათანაბრეს – 82:82.

კანადელმა და მექსიკელმა არბიტრებმა დამატებითი დრო დანიშნეს. მესამე ტაიმი განსაკუთრებით ცხარე ბრძოლაში წარიმართა. 94:93-ზე ამე-რიკელებმა ორი საჯარიმოს ტყორცნის უფლება მოიპოვეს. დარბაზმა ჩა-ისუნთქა, მაგრამ შვებით ვერ ამოისუნთქა – ვერც ერთმა ნატყორცნმა მი-ზანს ვერ მიაღწია. მატჩის დასრულებამდე 11 წამი რჩებოდა... 10 წამი... 9... ბურთი მინაშვილს ჰქონდა – დრიბლინგი მთელს მოედანზე და ტაბლოზე 96:93 აენთო. გამარჯვება! ეს იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების საუკეთესო მატჩი არსებობის ისტორიაში.

თამაშის შემდეგ ჩვენთან მოვიდა **NBA**-ს გუნდ „ნიკერ ბაკერის“ მთავარი მწვრთნელი ბულერი და გვითხრა: ახლავე სიამოვნებით ავიყვან ზუბკოვსა და მინაშვილს. რა თქმა უნდა, ჩვენგან ზრდილობიანი უარი მიიღო...“


ჩემი მხრიდან დავაზუსტებ: ოვერტაიმში ჩაგდებული 14-დან 10 ქულა მე მეუთვნოდა. მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ გომელსკიმ „ზრდი-ლობიანი უარი“ ახსენა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან საბჭოთა მმართვე-ლობისას ამერიკაში თუნდაც სათამაშოდ კალათბურთელის გადასვლა, მის მოღალატედ გამოცხადებას ნიშნავდა. ასეთი დრო იყო...

ალექსანდრ გომელსკიმ მხოლოდ გაკვრით დაწერა **NBA**-ს გუნდის შე-თავაზებაზე. აი, ზუსტად რა მოხდა: „ნიკერ ბაკერსის“ ხელმძღვანელობა ჩვენთან რომ მოვიდა, თან გამზადებული კონტრაქტი მოიტანა. ყველაფერი კონკრეტულად ეწერა, მხოლოდ ერთი გრაფა იყო თავისუფალი – სახელ-ფასო თანხისა. გვითხრეს, რა ოდენობაც გინდათ, ის ჩაწერეთო. ხელშეკ-რულება სამწლიანი იყო.

კარიერის დასრულების შემდეგ კალათბურთელს პენსიას იმ შემთხვევა-ში უნიშნავდნენ, თუ **NBA**-ში 3 წელზე მეტს ითამაშებდა. ამიტომ, თავიდან ყველა გუნდი ცდილობდა ხელშეკრულება 3 წელს არ გადასცილებულიყო, ვაითუ მოთამაშეს ვერ გაემართლებინა.

საუბარს მეც ვესწრებოდი. გომელსკიმ კონტრაქტს რომ დახედა, ნიუი-ორკელებს მიუბრუნდა – კიდევ ვინმეს ხომ არ აიყვანდითო? არადა, ხელ-შეკრულება მხოლოდ ჩემთვის იყო შედგენილი. ამერიკელებმა ალექსანდრ ზუბკოვი დაასახელეს. „სოვეტსკი სპორტის“ ტექსტს თუ დააკვირდით, როცა ორი კალათბურთელია ნახსენები, ჩემი გვარი ყოველთვის მეორედ წერია: სემიონოვი და მინაშვილი, ზუბკოვი და მინაშვილი, არადა მატჩის

ლატვიუდუ ტეგომრებთან.
მცურნიერები და კრიუმინი



შემდეგ თანაგუნდელებმა სწორედ მე ამაგდეს ჰაერში. არ ვამტკიცებ, რომ ამერიკიდან ინფორმაციის გადაცემისას მწვრთნელი მასახელებდა რუსი კალათბურთელების შემდეგ. შესაძლოა, სულაც უურნალისტს სურდა ქართულ გვარზე წინ რუსული დაეწერა. საბოლოოდ მთლად ობიექტური არ გამოვიდა...

დავუბრუნდეთ ამერიკელებთან საკონტრაქტო საუბარს: მათ თვალწინ ალექსანდრ გომელსკიმ მკითხა – თანახმა ხარო? რა თქმა უნდა, ამერიკაში თამაში ძალიან მინდოდა, თუმცა, მთლად კონკრეტული პასუხი ვერ გავეცი. გომელსკი კი ნიუიორკელებს მიუბრუნდა და აუხსნა: ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლება არა გვაქვს, მოსკოვში ჩავალთ, სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს დაველაპარაკებით და კონტრაქტიც მერე გავაფორმოთო...

FBI-დან ერთი პიროვნება გვყავდა მომაგრებული, სახელად ფომა. რუსულ-ინგლისური ლექსიკონი ვაჩუქე და დავუმეგობრდი. „ნიკერ ბაკერსი-დან“ წინადადების მიღების დღეს იგი ჩემთან მოვიდა და ლიმილით მითხრა:

– ასეთი შანსი ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ ეძლევა. გირჩევ უარი არ თქვა.

– მესმის, მაგრამ საბჭოეთში ამას ვერ გაიგებენ, სპორტსა და პოლიტიკას ვერ გამიჯნავენ.


– თუ საბჭოელების გეშინია, ისეთ ადგილას დაგმალავ, ამერიკელებიც



შეტყობინება...

კი ვერ გიპოვნიან. მოაწერე ხელი და ცხოვრებასაც საგრძნობლად გაიუმჯობესებ.

ერთ მომენტში ვიფიქრე, ეს კაცი მოსკოვის სპეცსამსახურებმა ხომ არ მომიგზავნეს მეთქი, თუმცა, მალე დავრწმუნდი, რომ ასე არ იყო. ფომაც უარით გავისტუმრე, რადგან ვიცოდი, ამერიკაში დარჩენა და ჩემი ოჯახის წევრების დაჭერა ერთი იქნებოდა...



ერისმართ
სახელმწიფო
„ერისმართ“

ვიქტორ ვასილევი:
„ამბობენ, ხელოვნებაში ყველა უანრი კარგია,
გარდა მოსაწყენისაო. ამ გამოთქმით თუ
ვიხელმძღვანელებთ, შეიძლება ითქვას, რომ
თბილისის საკალათბურთო გუნდი „დინამო“ ამ
სფეროში ა კლასია, ერთ-ერთი ყველაზე საინცერესო
უანრი. ყოველ შემთხვევაში, თბილისელთა მატჩებზე
პუბლიკა არასოდეს იწყენს.“

19:00

საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად საერთაშორისო არენაზე წარმატებები, რა თქმა უნდა, სასიხარულოა. თუმცა ძალიან მინდოდა, თბილისის „დინამოც“ ასეთივე შედეგიანი ყოფილიყო საკლუბო მასშტაბით. ქართველი ხალხი ისევე გაგვეხარებინა, როგორც რამდენიმე წლის წინათ, ოთარ ქორქიასა და ნოდარ ჯორჯიკიას დროს. ეს იოლი სულაც არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშით არაერთი დინამოელი ვიღებდით საერთაშორისო გამოცდილებას.

1954 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონ „დინამოს“ შემადგენლობიდან 60-იან წლებამდე მხოლოდ ორი კალათბურთელი თამაშობდა – ალექსანდრე კილაძე და ლევან ინწკირველი. ეს იმაზე მეტყველებდა, რომ გუნდში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობდა. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც საკავშირო პირველობაზე ოქროს მედლების მოპოვება გაგვიჭირდა.

მეორე მიზეზი საბჭოების მასშტაბით ახალი „მანქანის“ გამოჩენა იყო, რასაც მოგვიანებით შევეხებით. მანამდე თანმიმდევრობით მივყეთ მოვლენებს...

ოთარ ქორქიას „დინამოდან“ წასვლის შემდეგ (1957 წელს) ცენტრის პოზიცია ახალგაზრდა ანზორ ლეჟავამ დაიკავა. მის შემცვლელად კი შედარებით მოძრავი ილარიონ ხაზარაძე თამაშობდა. ჩვენი მწვრთნელი, გიორგი ავალიშვილი წინა ხაზში ცვლილებებს მეტოქეთა მიხედვით ახორციელებდა. ზოგჯერ, როცა მოედანზე ანზორ ლეჟავა იყო, მოწინააღმდეგები ტანდაბალ ხუთეულს გვიპირისპირებდნენ, სწრაფად გადადიოდნენ შეტევაში, რომ ანზორს ვერ ჩაესწრო. ამ დროს მწვრთნელი ან ლეჟავას ცვლიდა, ან დანარჩენ ოთხ კალათბურთელს გვავალებდა განსაკუთრებული ყურადღებით ყოფნას – სწრაფად უნდა დავბრუნებულიყოვით დაცვაში, მეტოქისთვის პირველი შეტევის შედეგიანად დასრულების საშუალება რომ არ მიგვეცა.

მალე გუნდში ამირან სხიველი გამოჩნდა, ლონიერი, თანაც მოძრავი წინახაზელი. „წინა ცენტრის“ (დღევანდელ საკალათბურთო ენაზე – მძიმე ფორვარდის) ფუნქციებს ზოგჯერ ილარიონ ხაზარაძე ასრულებდა, სწრაფი თამაშისას კი, ძირითადად – ლევან მოსეშვილი, რომელიც ფარქვეშაც შედეგიანად ირჯებოდა და ფრთიდან შეტევაც შეეძლო. ასეთივე ტიპის ფორვარდი გახლდათ რევაზ გოგელია. არ უნდა დაგვავინყდეს „პტიცა“, ვლადიმერ უგრეხელიძე, რომელთან ერთადაც რომის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოვიპოვე.

უკანა ხაზში, გავიმეორებ, ჩემპიონი გუნდიდან ლევან ინწკირველი და ალექსანდრე კილაძე დარჩნენ. ლევანი გამთამაშებელი იყო, შურა – უზადო მსროლელი. შორიდან ასევე კარგად სტყორცნიდა ვალერი ლომაძე. სასტარტო ფლეიმეიქერი კი, მე გახლდით. ბათუმიდან ნიჭიერი და სხარტი კალათბურთელები შემოგვიერთდნენ – ვალერი ალთაბაევი და ანტონ კაზანჯიანი.

როცა წარმატებაზე ფიქრობ, არ შეიძლება, ერთ თანაგუნდელთან კარგი ურთიერთობა გქონდეს, მეორესთან – ცუდი. თუმცა, „დინამოში“ იყო

დინამიადის გამარჯვებული
თბილისის „დინამო“



კალათბურთელი, რომელთანაც ყველაზე ახლოს ვიყავი. ილარიონ ხაზარაძე ჩემი უახლოესი მეგობარი გახლდათ და ბოლომდე ასეთ მეგობრებად დავრჩით. დიდი ხანი არ არის, რაც რთული ოპერაცია გავიკეთე. საავადმყოფოდან გამოწერის დრო რომ დადგა, ლარიკამ საბოლოოდ მომჯობინებამდე თავისთან ცხოვრება შემომთავაზა. თურმე საგანგებოდ თეთრეულიც უყიდია, სკამ-სანოლიც... ასეთი პატივისცემა როგორ უნდა დაივიწყო?! თუმცა მისი წინადადება არ მივიღე, შინ გამოვშუშდი.

ჩვენი მეგობრობის ამბავი რომ იცოდნენ, გასვლითი ტურებისას მწვრთნელები მე და ლარიკას ერთ ნომერში გვათავსებდნენ. ერთ სეზონში მას „დინამოში“ კარგი თამაში დაუფასდა და საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიიწვიეს. ერთად ვიყავით შეკრებაზე, მონდომებითაც ვარჯიშობდა, მაგრამ ოფიციალური შეჯიბრების წინ განაცხადს მიღმა დატოვეს. მაშინ ვერც მე მოვახერხე მწვრთნელებზე სათანადო ზემოქმედება.

ქრ მეგულება ამ ავტობიოგრაფიის მკითხველი, რომელსაც ახსნა სჭირდებოდეს, რას ნიშნავს სიტყვა „პტიცა“. ვლადიმერ უგრეხელიძეს მართლაც შეეძლო ჩიტივით ჰაერში ასვლა და იქ წამიერად შეჩერება. უგრეხელიძის მეტსახელს თავისი ახსნა აქვს, მე კი რატომ მეძახდნენ „კაპუსტას“, ბევრმა არ იცის. ეს სახელი კონსტანტინე გამსახურდიამ რომ გაიგო, გადააქართულა – „კომბოსტო“. შეიძლება ვინმეს ეგონოს, „კაპუსტა“ იმიტომ შემერქვა, რომ ბევრის ჩაცმა მიყვარდა. ასე ნამდვილად არ ყოფილა. „კაპუსტა“ მეექვსე-მეშვიდე კლასში მომავალმა მეურნემ, ანზორ მენთეშაშვილმა შემარქვა. მას ოდნავ წვრილი თვალები ჰქონდა და „კიტაის“ ვეძახდი. ბრაზდებოდა. ერთხელაც სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა,



საფრანგეთის ტურისტის დროს

ოლონდ ფანტაზიის უნარი არ ეყო და თავისი მეგობრის, გამა ლომაიას მეტ-სახელი დამარქვა. გამას „კაჩან კაპუსტას“ ეძახდნენ.
ეს სახელი პირველად რომ გავიგე, მეც გავბრაზდი. თანაკლასელებსაც მეტი რა უნდოდათ – უმაღლ აიტაცეს ანზორ მენთეშაშვილის იდეა და „კაპუსტა“ შემარქვეს.

20:00

1958 წელს „დინამოში“ კაპიტნის არჩევის საკითხი დადგა. ოთარ ქორქიას შემდეგ კაპიტანი ალექსანდრე კილაძე იყო. ერთ-ერთ კრებაზე მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ავალიშვილმა წინადადება – კაპიტნად გურამ მინაშვილი ავირჩიოთო. კალათბურთელებს შეეძლოთ, დათანხმებოდნენ ან არ მიეღოთ მწვრთნელის წინადადება.

იმ კრების შემდეგ „დინამოს“ კაპიტანი გავხდი, რაც, ვფიქრობ, არც გუნდისთვის იყო ცუდი. საერთოდ, მომხრე ვარ, კაპიტანი გამთამაშებელი იყოს, რადგან მას თამაშისასაც დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. სწორედ მან უნდა წარმართოს შესვედრის მსვლელობა და უხელმძღვანელოს თანა-გუნდელებს.

ერთი მხრივ, კაპიტნის სტატუსი კარგია, მაგრამ მას დიდი პასუხისმგებლობაც ახლავს. კაპიტანი გუნდისთვის სამაგალითო არა მხოლოდ მოედანზე, მის გარეთაც უნდა იყოს.

50-იანი წლების ბოლოს „დინამოში“ საინტერესო შემადგენლობა შეიკრიბა, გუნდი თანაბრად იყო დაბალანსებული, გამოცდილებაც გვემატებოდა, თუმცა, როგორც მკვიდრი სახლი ვერ აშენდება ერთ წელიწადში, ძლიერი გუნდის შენებასაც დრო სჭირდებოდა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში აუტსაიდერები სულაც არ ვიყავით, მუდმივად საპრიზო პოზიციებისთვის ვიპრძოდით, არც ცსკა-ს ძლევა იყო ჩვენთვის უცხო და არც რიგელების. საკავშირო პირველობა ტურების სისტემით მიმდინარეობდა: მონაწილე გუნდები ხან ერთ ქალაქში იკრიბებოდნენ, ხან მეორეში და ხუთ-ხუთ მატჩს მართავდნენ.

ეს კარგ ფიზიკურ მომზადებას მოითხოვდა. არსებობს მოსაზრება, თითქოს ქართველები ფიზიკურად ყოველთვის მოვიკოჭლებთ, ჩემი აზრით კი, ეს ასე არ არის – თუ გინდა, სხვას არაფერში ჩამორჩე, მასზე ღონიერი და გამძლე იყო, სათანადოდ უნდა იშრომო. გიორგი ავალიშვილის ხელმძღვანელობით „დინამოელები“ სამაგალითოდ ვშრომობდით, ვერ ვიტყვი, ფიზიკური კონდიციებით, ვთქვათ, ლატვიელებს ვჯობდით, მაგრამ არც ჩამოვაკარდებოდით.

თუმცა, ისევე, როგორც მეტოქეები, ტურის ბოლოს ჩვენც გამოფიტულები ვიყავით, პირველ მატჩებს კი ყოველთვის უმაღლეს დონეზე ვატარებდით... კალათბურთის ქართველ გულშემატკივარს უნდა ახსოვდეს გრიგოლ რობაქიძის სიტყვები, რომელიც მან „დინამო“ – „რეალის“ შეხვედრის შემდეგ დაწერა: ქართველები, საკუთარი ხასიათიდან გამომდინარე, ომების დროს მთელს ძალას პირველ შეტაკებას შევალევდით და თუ დასაწყისში ვერ გადავწყვეტდით ბრძოლის ბედს, შემდეგ გვიჭირდა, მეშინოდა, თბილისის „დინამოს“ მადრიდის „რეალთან“ მატჩისას ასე არ დამართნოდაო.

სხვათა შორის, ვაკვირდები, რომ საქართველოს დღევანდელი ნაკრებიც სწორედ ქართული ხასიათის გუნდია. ევროპის ჩემპიონატებზე პირველი შეხვედრები ისე ჩაატარა, მთელი ევროპა აალაპარაკა, 2011 წელს ლიტვაში ბელგიას სძლია დიდი სხვაობით, 2013 წლის ევროპასკეტზე – პოლონეთს. ბოლო შეხვედრებში გაუჭირდა...

ეროვნულ გუნდს ძველი „დინამოს“ კიდევ ერთი თვისება გადმოჰყვა: საშინაო მატჩებში სულ სხვა ნაპერწელით თამაშობს. ქართველებით გავსებული ტრიბუნები განსაკუთრებულ გავლენას ახდენენ ნაკრებზე და ახდენდნენ „დინამოზე“.

1950-იან და 60-იან წლებში დარბაზი ბოლომდე ივსებოდა, ტევა არ იყო და ბილეთის შოვნა წარმოუდგენელი გახლდათ. ახლობლები კალათბურთელებს ბილეთების შოვნაში დახმარებას გვთხოვდნენ. რა თქმა უნდა, ვეხმარებოდით, მაგრამ ქართველი გულშემატკივრის პრეტენზიულობის ამბავიც მოგეხსენებათ – ყველა მატჩზე საუკეთესო ადგილზე სურს იჯდეს. მოთამაშეთა ოჯახის წევრებისთვის სპორტის სასახლეში მეხუთე და მეთერთმე-

ტე სექტორები იყო განკუთვნილი. მე-5 სათადარიგოთა სკამთან ახლოს იყო, მე-11 კი, სამთავრობო ლოფის ზემოთ, მეორე იარუსზე.

ასე რომ, თბილისში გამართული ყოველი მატჩი 20-25 მანეთი მიჯდებოდა. როცა ბილეთი მანეთი ან მანეთნახევარი ღირს, ახლობელს მასში ფულს ხომ არ გამოართმევ?! მაშინ ეს თანხა სულაც არ იყო სახუმარო: „დინამოში“ თავიდან ხელფასად 80 მანეთი მქონდა, შემდეგ – 180. საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგის გუნდებში ძირითადად ასეთი ხელფასები იყო. მხოლოდ ცსკა-ს კალათბურთელები იღებდნენ ცოტა მეტს – ოფიცირობისას.

რას ნიშნავს „ოფიცირობისას“? საქმე ის არის, რომ მოსკოვის არმიელთა გუნდში თითქმის ყველას ერიჭებოდა ოფიცირის წოდება, ზოგი ლეიტენანტი იყო, ზოგი კაპიტანი, ზოგიც მაიორი... არც მე მიხდიდნენ ხელფასს, როგორც კალათბურთელს – სპორტსაზოგადება „დინამოში“ ვიყავი გაფორმებული, თუ არ ვცდები, მწვრთნელად...

თბილისში, სავსე ტრიბუნების წინ თამაში ყველა მეტოქეს აფიქრებდა. შინ ხშირადაც ვიმარჯვებდით. ისევე, როგორც მომდევნო წლებში, სამი ძირითადი კონკურენტი გვყავდა: მოსკოვის ცსკა, რიგის ასკ და კაუნასის „უალგირისი“.

ლიტვური გუნდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი 1951 წელს გახდა, მაშინ, როცა თბილისის „დინამოს“ ოქროს ხანა ედგა. „უალგირისის“ შემადგენლობაში მაღალი დონის კალათბურთელები გამოდიოდნენ – კაზის პეტკიავიჩუსი, იუსტინას ლაგუნავიჩუსი, სტიაპას ბუტაუტასი... ისინი ოთარ ქორქიასა და ნოდარ ჯორჯიკიას თაობის კალათბურთელები იყვნენ და 50-იანი წლების შუა პერიოდში კარიერაც დაასრულეს. შესაბამისად, „უალგირისიც“ ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორშიც თბილისის „დინამო“ – იქაც თაობათა ცვლის პროცესი დაიწყო. ალბათ, ამიტომაც, კაუნასელებსაც დიდხანს მოუნიათ მოცდა საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედლებამდე.

თუმცა, ეს სულაც არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან 50-იანი წლების ბოლომდე თვით საბჭოთა კავშირის საუკეთესო კალათბურთელთა კრებულს – ცსკა-საც მოუწია პოზიციების დათმობა. ვის დაუთმო? ნუ ავჩქარდებით, ხომ შევთანხმდით, რომ მოვლენებს თანმიმდევრობით მივყვებით.


21:00

უნდა გენახათ, 1958 წელს გაზეთები როგორ ელოდნენ თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის ცსკა-ს დაპირისპირებას. ლატვიელი უურნალისტები გვაქეზებდნენ, წერდნენ, რომ ქართველებს შეგვეძლო არმიელების დამარცხება. მოსკოველები კი მორიგი ტიტულის მოგებას გეგმავდნენ.

ახლაც თვალწინ მიდგას საგაზეთო ფურცლები, სადაც ჩემპიონატის სატურნირო მდგომარეობა იყო დაბეჭდილი: რიგის ოფიცირთა სახლის გუნდი ერთი ქულით ჩამორჩებოდა ცსკა-ს. დარჩენილი გვქონდა თითო შეხვედრა – ჩვენ არმიელებს უნდა დავპირისპირებოდით და თუ დავმარცხდებოდით, ცსკა-ს კალათბურთელები ოქროს მედლებს მოიპოვებდნენ.



მწვრთნელი მიხეილ კეკელიძე
დინამოელებთან



დაურიგონ ხაზარაძეს მოახენა

თბილისის „დინამოს“ გამარჯვების შემთხვევაში კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის გამოსავლენად დამატებითი მატჩი უნდა გამართულიყო – ასკ-ცსკა.

ჩემპიონის ამ შეხვედრას სატურნირო თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუმცა, როგორც ყოველთვის, ბოლომდე უნდა დავხარჯულიყოვით. პირველ რიგში, პრესტიულის საქმე იყო ცსკა-ს მოსკოვში დამარცხება. მეორეც, ჩემს მეგობრებს, ლატვიელებს გავუმართავდით ხელს. ქართველებს ლატვიელებთან, ესტონელებთან და ლიტველებთან განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა გვქონდა, ბევრ ბალტიისპირელთან ვმეგობრობდი. გავიხსენოთ თუნდაც რომის ოლიმპიადა, იტალიასთან მატჩში როგორ მოითხოვეს ლატვიელებმა მოედანზე ჩემი დაბრუნება... არმიელებთან გადამწყვეტი შეხვედრის წინ რიგელები დაგვპირდნენ – ოლონდ თქვენ მოიგეთ და მაღარიჩი ჩვენზე იყოს.

ურთულესი „ამოცანა ამოქსენით“ – ცსკა მისსავე მოედანზე დავამარცხეთ, პარალელურად, რიგელებმა ბოლო ტურში თავისი მატჩი მოიგეს და ცსკას ქულებით გაუთანაბრდნენ. დაინიშნა დამატებითი შეხვედრა, რომელსაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონი უნდა გამოევლინა. იმარჯვეს ლატვიელებმა და ზედიზედ მეოთხედ დაეუფლნენ ოქროს მედლებს.

მიუხედავად იმისა, რომ ცსკა-„დინამოს“ შეხვედრა რუსებს ჩემპიონობის დაკარგვად დაუჯდათ, იქაურ ჟურნალისტებს მაინც არ დაუკარგავთ ობიექტურობის გრძნობა და ბევრისთვის მოულოდნელად, ჩემს თამაშზე აღფრთვანებით წერდნენ. მასხოვს „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნებული მიმოხილვის სათაური: „ხაზარაძე კვანძს ჭრის“. ის გაზეთი ახლაც ჩემს არქივშია...

აი, ისიც – „ხაზარაძე კვანძს ჭრის“. მიმოხილვაში იმდენად საინტერესოდაა დახასიათებული ქართული კალათბურთი, რომ რამდენიმე ამონარიდი აუცილებლად უნდა გაგაცნოთ.

შესავალში ვკითხულობთ, პირველი ტაიმი არმიელებმა მოიგეს (36:34), თუმცა საბოლოო გამარჯვება თბილისელებს დაგვრჩა – 78:74.

აი, რას მოგვითხრობს პუბლიკაციის ავტორ ვიქტორ ვასილევი:

„ამბობენ, ხელოვნებაში ყველა უანრი კარგია, გარდა მოსაწყენისაო. ამ გამოთქმით თუ ვიხელმძღვანელებთ, შეიძლება ითქვას, რომ თბილისის საკალათბურთო გუნდი „დინამო“ ამ სფეროში ა კლასია, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო უანრი. ყოველ შემთხვევაში, თბილისელთა მატჩებზე პუბლიკა არასოდეს იწყენს.“

სტაროსტინის თქმით, ტემპერამენტი ფეხბურთის დენთია, კიდევ უფრო დინამიკურ თამაშში, კალათბურთში ტემპერამენტი ნამდვილი დინამიტია. იმდენად, რამდენადაც თითოეული დინამოელი ასეთი „დინამიტით“ ბუნებისგან უხვადაა დაჯილდოებული, მათი მონაწილეობით გამართული მატჩები თავბრუდამხვევ ტემპში მიმდინარეობს.

არც „დინამო“-ცსკა იყო გამონაკლისი. თუმცა, სტუმრებმა თავიდანვე ვერ ჩართეს მეოთხე სიჩქარე. შესაძლოა, სასტარტო მღელვარების გამო, მინაშვი-

ПАВА НА ПЪРВИЯ СВЕТОВЕН ЛЕТЕЦ-КОСМОНАВТ ЮРИЙ ГАГАРИН!



лнис, сащаарандиса и да абашидис Шефчевеки Чукасти тунерене бити зеер сръулдие бомда. Амит исааргебелес армийелебома и да карпопвиса, борбакариновиса и да симоненовиса сащяален тунерене бити бутичеве лаини упиника тунесомба моникопвес.

18:13-ти ческа-с мечуртене лома альеъсъевма саами бампугаани галяататбурутей-ли шециваля, маати мегоре таимиситви с гамончонгва гааничона. Ес шецидома алмомирнда - атамащебулома динамоелебома юеер ангаарини гаатана боргес, шемдег ки дадинца юрднене кицдег. Ес юмтаврежсаад мондашвилис, иненкиорвег-лиса и да сащаарандиса иамса бургеба иуом. Гурумади и да леевана мегтоги с на-бъеваартие кромбонца приведис исе атамащебулднене, фиктубитиа и да монулонднегли гафлаце мегебити гаомгнебулома армийелебома ар ицомднене, ри еломната.

Амасондаси буртоти таандаля сащаарандемдя мидондада, ромбелици ертоти дадратумити күетеца и да борбакариновл саанис.

Ертоти монскуонвегли ииненкиорвеглискуен гаикрар... ортата бордомла! Уфед ческа-мондранома монцебенов, монтизъубулома мегтоге бамоирарад борбакарини леевана и да гъба галяатискуен сеннилиса. Абтия и да... буртоти мондашвилис гафлаа бордада. Гу-римма сащаарандес и да ютмом и да тааблонтие табилисе лата саасааргебулонд 6-къ-лиана и сеннилиса и да тоги сиордада.

Динамоелата гаан монулонд сащааранде ромдоти агдебада. Мана 22 кълла монити-валя, мондашвилис и иненкиорвеглима - 17-17.

Ческа-с монгебиси сенниси монцебенов шеерхя. Амис мончютие яртвеглатиа юааромеди иуом. Мондада и юеер абашидем и да кропваса, шемдег - шеесаанисенаваад монтамаши са-



ილარიონ ხაზარაძესა და
კალათბურთის სერბ ვარსკვლავთან
ვლადე დივაცთან ერთად

ზარაძემ. თუმცა, არმიელთა სამწუხაროდ, დინამოელებს ძირითადზე არა-
ნაკლები რეზერვი აღმოაჩნდათ. ხაზარაძის გასვლით განცდილი სიხარული
ცსკა-ს კალათბურთელებს მალევე ჩაუხშო უგრეხელიძემ, რომელსაც გუნ-
დში „პტიცას“ ეძახიან ერთი თვისების გამო – ჰაერში ძალიან მსუბუქად და
სწრაფად შეუძლია აფრენა.

4-4-ჯარიმიანი ინწკირველისა და მინაშვილის წინააღმდეგ არმიელები
დდიდი მონდომებით თამაშობდნენ, ფარქვეშ შეჭრას ცდილობდნენ, მაგრამ
ვერც ამ ორ კალათბურთელს მიაღებინეს მეხუთე ფოლი და ვერც თამაში
გადაარჩინეს. „დინამომ“ ცსკა 78:74 დაამარცხა“.

ლატვიელებმა დანაპირები შეასრულეს და თბილისელებს მოსკოვის ცს-
კა-ს ძლევის სანაცვლოდ საჩუქარი გვიძლვნეს – ერთი ყუთი უნგრული,
ტოკაის ჯიშის ლვინო. ყუთში 750 გრამიანი ბოთლები ეწყო და ლვინო მხო-
ლოდ მადის გასახსნელად აღმოჩნდა საკმარისი...

რიგის ასკ-ში მართლაც საოცარი თაობა შეიკრიბა: იანის კრუმინში, მა-
იგონის ვალდმანისი, ოლგერტ ხეხტსი, აივარს ლიონჩიკი, ვალდის მუიუნი-
ეკსი...

აი, სწორედ ლატვიური „მანქანის“ გამოჩენა იყო ერთ-ერთი მთავარი მი-
ზეზი 1950-იანი წლების ბოლოს თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის ცსკა-
ს პოზიციების დათმობისა. ფარქვეშ კრუმინშის, ფლანგებზე კი სწრაფი
და კარგი მსროლელი რიგელი კალათბურთელების შეჩერება საბჭოეთშიც
ბევრს უჭირდა და მის ფარგლებს გარეთაც.



სამი ურთიერთობის კულტურული ხელო

ენით აუწერელი სიხარული იყო. ემოციები
დუღდა და გადმოდუღდა. რასაკვირველია,
„მცირე არენაზე“ ქართველი გულშემატკივრებიც
იყვნენ, რომლებიც შეხვედრის დასრულებისთანავე
მოედანზე აღმოჩნდნენ, არადა, ფიცარნაგი
ფრიბუნებიდან ორი მეტრის სიღრმეში, მიწაში იყო
ამოჭრილი. ამას დავუმატოთ მოაჯირის
სიმაღლე და გამოძის, რომ გულშემატკივარი
2.5 მეტრის სიმაღლიდან დაუთიქრებლად ხდებოდა,
ჩვენთან ერთად რომ გაეზიარებინა დიდი სიხარული.

22:00

1959, 1960 და 1961 წლებში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ვერცხლის მედლები მოვიგეთ. ვერ ვიტყვი, ამა თუ იმ შეჯიბრების საბოლოო შედეგზე მსაჯობამ დიდი გავლენა მოახდინა-მეთქი, მაგრამ ეს ის თემაა, გვერდს ვერ აუკვლით. ალბათ, ბევრს აინტერესებს, როგორი იყო მსაჯობა თუნდაც თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის ცსკა-ს შორის.

ჩვენს თამაშზე, ცხადია, ქართველს მსაჯად არ დანიშნავდა, ცსკა-ს მატჩებს კი რუსები სჯიდნენ. რომ ვიკითხავდით – რატომ ნიშნავთ რუსებს, გვპასუხობდნენ – მოსკოვის გუნდი თამაშობს, არბიტრი კი ლენინგრადელიათ. თუმცა ხშირ შემთხვევაში ისევ რუსი მსაჯი გვერჩივნა, რადგან ნამუსზე ბოლომდე არ აიღებდა ხელს. ვთქვათ, შუაზიელი არბიტრი ყველა ღონეს ხმარობდა, ზოგიერთებისთვის ესიამოვნებინა, ჩვენ კი ვიჭყლიტებოდით. იყო ესტონელი მსაჯი, გვარად კიაბი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ აშკარად არ მოვუდიოდით თვალში – სისხლს გვიშრობდა.

გაინტერესებთ, თბილისის „დინამო“ თუ ცდილობდა მსაჯების გადაბირებას? მოგახსენებთ: ჩვენი „ჩამწყობების“ მთავარი ამოცანა იყო, მსაჯი იმაზე დაეთანხმებინათ, რომ მეტოქეს არ მიმხრობოდა. „დინამოსადმი“ სიმპათიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ნამდვილად არ მახსენდება შემთხვევა, ჩვენს მეტოქეს მსაჯობისადმი უკმაყოფილება გამოეხატოს.

რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას არბიტრებთან, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ემოციური გახლდით, მოედანზე ზედმეტობებს არ ვაკეთებდი. კარიერაში ერთხელაც არ გავუძევებივართ. მოედნის მიღმა ყველა მსაჯთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა.

ქართველებსაც გაყავდა კარგი არბიტრები: უმაღლესი ლიგის მატჩებს ლევან ფალავანდიშვილი მსაჯობდა, თუმცა უმეტესად კომისრის ფუნქცია ჰქონდა. მაღალი დონის არბიტრები იყვნენ ვახტანგ ჯაფარიძე, მურმან ქურიძე, როლანდ ხომერიკი, გოგი ავალიშვილი...

23:00

1959 წელს ჩვენი და ლატვიელების დაპირისპირება დღეს უკვე ლეგენდის ხარისხშია აყვანილი. არაერთხელ დაწერილა სამი ქართველის მიერ ხუთი რიგელის ძლევის ამბავზე. როგორც აღვნიშნე, ამ ბალტიისპირული ქვეყნის გუნდი 1955-1958 წლებში სამჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. მოსკოვში გამართულ ხალხთა სპარტაკიადაზეც მოქმედი ჩემპიონის სტატუსით ჩამოვიდა. ფინალურ ჯგუფში ვითამაშეთ საქართველოს, ლატვიის, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებებმა. ვიდრე უშუალოდ მოვლენებზე გადავიდოდე, გეტყვით, რომ სასჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა საბჭოეთის დიდი საკალათბურთო ჩემპიონატი იყო. ყველაზე მეტად სწორედ 1959-ში მივუახლოვდი ამ ტიტულს...



ბოლოსწინა ტურში ჩვენი მეტოქე ლატვია იყო. შეხვედრა „ლუჟნიკების“ „მალაია არენაზე“ გაიმართა. საქართველოს ნაკრებს გიორგი ავალიშვილი და მიხეილ კეკელიძე წვრთნიდნენ. ფავორიტად ჩვენი მეტოქე ითვლებოდა, თუმცა თავიდანვე არაფერი დავუთმეთ და შეხვედრა ბოლომდე თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. იანის კრუმინშისა და მისი მეგობრების წინააღმდეგ თამაშისას ხშირად გვიწევდა წესის დარღვევა და საჯარიმოებით მეტისმეტად დავიტვირთეთ.

მალე სათადარიგოთა რესურსი ამოიწურა და ხუთნი დავრჩით. დამატებით დროში ვლადიმერ უგრეხელიძეც ვერ გადაურჩა მეხუთე ჯარიმას... ლევან მოსეშვილმაც იგივე ბედი გაიზიარა და ხუთკაციან ლატვიასთან მატჩის დასრულება სამ ჩვენიანს მოუწია – გურამ აბაშიძეს, ვალერი ალთაბაევს და თამაზ კაკაურიძეს.

სიტუაცია, ცხადია, ძალიან დაიძაბა, თუმცა ქართველები მაინც არაფერს უთმობდნენ რიცხვმეტ მოწინააღმდეგეს. სწორედ ამ დროს „ლუჟნიკების“ მთავარ მოედანზე საფეხბურთო მატჩი დასრულდა და მაყურებლებში უმაღ გავრცელდა ხმა გვერდით, „მალაია არენაზე“ მიმდინარე უთანასწორო ბრძოლის შესახებ. ფეხბურთიდან კალათბურთზე იმდენი გულშემატკივარი მოვიდა, „მალაია არენა“ პირთამდე გაივსო, რამაც შეხვედრას ხიბლი და ინტერესი შემატა. თავიდან, რა თქმა უნდა, ყველა ჩვენ გვქომაგობდა, სურდათ ენახათ, მოუგებდა თუ არა სამკაციანი გუნდი ხუთკაციანს.

ცხვათა შორის, „მალაია არენა“ ნამდვილად არ მქონდა კარგად დაცდილი. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად მნარე მარცხი ვინვნიე უნგრელებისგან. არადა, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის მოგების ფავორიტები ვიყავით. უნგრეთთან მატჩის ბოლო ხუთზე მინიმალური სხვაობით ვიგებდით. უკანასკნელი შეტევა მეტოქეს უნდა განეხორციელებინა. მათი კაპიტანი ინოშ გრემინგერი სისწავით გამოირჩეოდა.



გამარჯვების სიხარული
„მალაია არენაზე“

ბოლო შეტევის ნინ ჩემს თანაგუნდელ კუტუზოვთან სპეციალურად მივედი და კუთხარი – კუტია, სხვა არაფერზე იფიქრო, მხოლოდ გრემინგერს უყურე, არ გაგეპაროს-მეთქი.

…კუტუზოვი არასწორად დადგა, უნგრელთა კაპიტანმა სწრაფი გარღვევით ორი ქულა ჩააგდო და ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მეორე ადგილი მიგვიჩინა.

1959 წელს, ლატვიელებთან მატჩის შემდეგ „მალაია არენა“ ჩემს მეხსიერებაში საპირისპიროდ, დადებითი კუთხით ჩაეწერა. როგორც აღვნიშნე, ტრიბუნები ქართველებს გვქომაგობდნენ, თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა – ერთმა ეპიზოდმა გულშემატკივარი ლატვიელებისკენ შეატრიალა.

მაშინ, როცა სათადარიგოთა სკამზე შემცვლელი აღარ დაგვრჩა, ლევან ინწკირველი მეტოქესთან შეჯახების შემდეგ მოცელილივით დაეცა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს სერიოზული ტრავმა მიიღო და მედპერსონალი ძალიან შეწუხდა. დიდი აუთოტაუის შემდეგ ლევანი ფეხზე წამოდგა და ჩვეულებრივად გაირბინა. მაყურებელი უმაღ მიხვდა, რომ ინწკირველმა ისიმულანტა და პოზიცია შეიცვალა – დარჩენილ დროში ლატვიელებს ქომაგობდა.

მატჩის შემდეგ ლევანს ვკითხე – ასე რატომ მოიქცი-მეთქი. მიპასუხა: შემცვლელები აღარ გვყავდა, ლატვიელებთან შედარებით საგრძნობლად დაღლილები ვიყავით, იმიტომ გავაფორმე, რომ დრო გამეყვანა და თანაგუნდელებისთვის ამოსუნთქვის საშუალება მომეცაო.

სწორი იყო თუ არა სიმულაცია, ახლა რთული განსასაზღვრია, თუმცა პაუზა მე და ვალერი ალთაბაევს ძალიან წაგვადგა. ყველაზე ნაკლები ფოლი ვალერის ჰქონდა და ვევდებოდი – მოედანზე ბოლო წუთამდე დარჩენის სხვებზე უკეთესი შანსი ჰქონდა. ამიტომ, ვიდრე თამაში განახლდებოდა,



საქართველოს ნაკრების სათადარიგოთა
სკამი ლატვიულებთან მატჩისას

გვერდით მდებარე მცირე, მიწიან მოედანზე გავიყვანე და ჯარიმების რეპეტიცია გავატარე.


სწორადაც გავთვალე: მესამე დამატებითი დროის ბოლო წამებზე, 2 ქულის სხვაობით რომ ვიგებდით, ალთაბაევის წინააღმდეგ ლატვიელებმა წესები დაარღვიეს. ისიც საჯარიმოს ხაზზე თამამად დადგა, ორივე ტყორცნა მიზანში მოარტყა და ჩვენს გუნდს ლეგენდარული გამარჯვება მოუტანა.

ალთაბაევმა საჯარიმო ტყორცნებით ტაბლოზე 88:84 დააფიქსირა, თუმცა ეს არ იყო საბოლოო ანგარიში. ბალტიისპირელებმა ორი ქულა მაინც ჩააგდეს, მეტის გაკეთება ველარ მოასწრეს და მოგება ჩვენ დაგვრჩა – 88:86.

ენით აუწერელი სიხარული იყო. ემოციები დუღდა და გადმოდუღდა. რასაკვირველია, „მცირე არენაზე“ ქართველი გულშემატკივრებიც იყვნენ, რომლებიც შესვედრის დასრულებისთანავე მოედანზე აღმოჩნდნენ, არადა, ფიცარნაგი ტრიბუნებიდან ორი მეტრის სილრმეში, მიწაში იყო ამოჭრილი. ამას დაუუმატოთ მოაჯირის სიმაღლე და გამოდის, რომ გულშემატკივარი 2.5 მეტრის სიმაღლიდან დაუფიქრებლად ხტებოდა, რათა ჩვენთან ერთად გაეზიარებინა დიდი სიხარული. ქართველებს ხომ პარსვა გვეზარება, ჰოდა, საერთო სიხარულისას იმდენი გვეოცნეს, მოედნიდან გასულებს ლოყები დაწითლებული გვქონდა. ჩვენი ამბავი რომ გაიგო, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარებ გიორგი სიხარულიძემ საკუთარი ხარჯით რესტორან „არაგვში“ დაგვპატიუა. იმ პერიოდში ქართული რესტორანი „არაგვი“ მოსკოვში პირველი იყო. ყუათიანად ვისადილეთ, თუმცა ალკოჰოლური არაფერი მიგვირთმევია, მთავარი მატჩი ხომ წინ იყო.

მეორე დღეს დავისვენეთ, მესამეს კი მოსკოვის ნაკრებს „დავეჭიდეთ“. დავმარცხდით და შეჯიბრება მეორე ადგილზე დავასრულეთ. ალბათ, ლატვიასთან საოცარი მოგების შემდეგ ემოციურად გამოვიფიტეთ.

ცსკა-ს კალათბურთელების,
ალაჩაჩიანისა (№6)
და ზუბკოვის გარემოცვაში



„ქონგომ“:

ქართული ცეკვობრივი
ჩემი მონაცემი ას 187

ალექსანდრ გომელსკი:

„ჩემპიონთა თასის გათამაშების დაწყებამდეც ვიცოდით,
რომ ფინალში თბილისის „დინამო“ შეგვხვდებოდა. იგი დღეს
სამართლიანად ითვლება ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო
კლუბად. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ლატვიელებს
ქართველებთან დაპირისპირებში უარყოფითი ბალანსი გვაქვს.
შარშან „დინამოსთან“ ორჯერ ვითამაშეთ და ორჯერვე
დავმარცხდით. ერთი მატჩი წელსაც წავაგეთ, ამიცომ ვეცდებით
რევანშის აღებას, თუმცა წინასწარ ვგრძნობ, რომ ეს ურთულესი
საქმე იქნება. „დინამო“ ის გუნდია, რომელსაც კრიფიკულ მომენტში
ძალების არააღამიანური მოზიდვისგან შეუძლია.“

1960 წელს, რომის ოლიმპიადამდე სამიოდე თვით ადრე, მთელი საკალათბურთო ევროპის ყურადღება თბილისისკენ იყო მოპყრობილი. 10 მაისს ხომ ჩვენს დედაქალაქს ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელი რიგის ასკ სტუმრობდა.

მართალია, ზედიზედ სამი წლის განმავლობაში სსრ კავშირის ჩემპიონატში რიგელებს გავასწარით და მეორე ადგილი დავიკავეთ, მაგრამ ისინი გაცილებით წარმატებულები იყვნენ საერთაშორისო არენაზე. სწორედ იანის კრუმინშის ასკ-ში გამოჩენას დაემთხვა ევროპის ჩემპიონთა თასის დაარსება, რომლის იდეა ფრანგულ გამოცემა „ეკიპს“ ეკუთვნის.

პირველი გათამაშება 1958 წელს ჩატარდა და ლატვიელებმა ჩემპიონობა არავის დაუთმეს, არც მომდევნო სეზონში ჰყავდათ ბადალი ევროპის უპირველეს საკლუბო შეჯიბრებაში. 1960 წელს კი ჩემპიონთა თასზე თბილისის „დინამოც“ გამოჩნდა...

სპეციალურად ასკ-სთან მატჩისთვის ვერის ბალში (მაშინდელ კიროვის პარკში) მდებარე მიხეილ კეკელიძის სახელობის დარბაზი ლამაზად გადახურეს. ეს იყო პირველი თაღოვანი გადახურვა საქართველოში და რაც ყველაზე მთავარია – მთლიანად შუშებით იყო დაფარული. მას მერე ვერის ბალის დარბაზი რამდენჯერმე შერემონტდა და ახლა უკვე ლითონის თაღითაა გადახურული.

ისევე, როგორც სხვა კალათბურთელებს, ღია ცის ქვეშ თამაში მეც გარკვეულ დისკომფორტს მიქმნიდა. როცა საქმე ეხება სპორტის იმ სახელბას, სადაც სანტიმეტრები ბევრს წყვეტს, პატარა ნიავსაც კი შეუძლია მთელი თამაში გააფუჭოს. კალათბურთელი მოედანზე გასვლისას არ უნდა ფიქრობდეს, ქარი საიდან უბერავს და ტყორცნისას დამატებითი გამოთვლები არ უნდა სჭირდებოდეს.

თუმცა, ნამდვილად ვერ დავიჩივლებ, რომ მუდმივად ღია ცის ქვეშ გვიწევდა თამაში. თბილისში იყო ორი არენა, სადაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის შეხვედრებს ვმასპინძლობდით – მაშინდელი ლენინის სახელობის და ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს დარბაზები. „დინამოს“ სტადიონზეც იყო დახურული მოედანი, მაგრამ იქ მხოლოდ სავარჯიშოდ მივდიოდით, ოფიციალური შეხვედრების ჩატარება გამორიცხული იყო, რადგან სტანდარტებს არ შეესაბამებოდა – სიგანეში იყო პატარა.

„ლენინის დარბაზში“ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებსაც კი ვუმასპინძლეთ. რადგან თბილისის „დინამო“ სსრ კავშირსა თუ ევროპაში ძლიერ გუნდად ითვლებოდა, ჩეხოსლოვაკებმა ჩვენთან ამხანაგური მატჩისთვის ჩამოსვლა გადაწყვიტეს. შეხვედრის პერიპეტიებზე უფრო საინტერესო ერთი დეტალი იყო. თქვენ დეტალი ეძახეთ და, დიდი ოფლისლვრა მოუწიათ მშენებლებს, რომ მატჩამდე საქმე დროულად დაესრულებინათ.

მოკლედ, „დინამო“-ჩეხოსლოვაკიის მატჩის სანახავად მოსვლა ცეკას პირველმა მდივანმა ვასილ მუავანაძემ ისურვა. დარბაზს სპეციალური

ღლარიონ ხაზაძესა და გიზმ გაბესვირიასთან
(მომავალში „დათა თუთაშიას“ მეორე
რეჟისორი) ერთად გადასძი





ლოჟა არ გააჩნდა, არადა, მჟავანაძეს გულშემატკიცრებში ვერ ჩასვამდნენ. ვერც მეორე სართულზე მიუჩენდნენ ადგილს. მოიყვანეს არქიტექტორები და ბევრი თაობირის შემდეგ გადაწყვიტეს, მოედანთან ახლოს კედელი გა-ეჭრათ და საპატიო სტუმართა ლოჟა იქ მოეწყოთ.

ვასილ მჟავანაძე, ფაქტობრივად, გვერდითი ხაზიდან ადევნებდა თვალს მატჩის მიმდინარეობას, კალათბურთელებს დიდი სიფრთხილე გვმართებ-



და, რომ საქართველოს პირველი პირისთვის ბურთი არ მოგვერტყა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ის მატჩი მოვიგეთ. კარგად ჩაიარა გუნდისთვის, თორემ, ვერ დავიტრაბახეს, რომ მოედანზე ყველაფერი ისე გამომივიდა, როგორც მსურდა. კალათბურთში ასეა, მუდმივად ერთ დონეზე ვერ ითამაშებ. არადა, სწორედ იმ მატჩზე დასწრება ისურვა დედაქემმა, მითხრა, მაინტერესებს, როგორ თამაშობ, ჩეხოსლოვაკიასთან მატჩზე წამიყვანეო.

დარბაზში ხუთასამდე კაცი ეტეოდა და ამ დაპირისპირების წინ ბილე-თების შოვნა გართულდა. მხოლოდ ერთი ბილეთი მომცეს, ისიც მეორე სართულზე, ქომაგთა შორის. მოგეხსენებათ, რაოდენ დაუოკებლები არიან ქართველი გულშემატკივრები, ემოციების მოთოკვა არ უყვართ. ერთ ეპი-ზოდში ჩემი მოქმედება არ მოეწონა დედაჩემის მეზობლად მყოფ ახალგაზ-რდას და დედა შემაგინა.

დედამ მთელი ტაიმი ითმინა და შესვენება რომ დაიწყო, ახალგაზრდას მიუბრუნდა – შვილო, წელან რომ შეგაინე, იმ კალათბურთელის დედა მე გახლავარო. თურმე, ამ სიტყვების შემდეგ ის ახალგაზრდა დარბაზში აღარ გამოჩენილა.

25:00

ქართველ გულშემატკივრებში განსაკუთრებული სიხარული გამოიწვია „დინამოს“ საერთაშორისო სარბიელზე გასვლამ. ჩვენი გუნდი 1959-60 წლე-ბის სეზონში პირველად ჩაერთო ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, რომელ-შიც ჩვენთან ერთად რიგის ასკ მონაწილეობდა. როგორც წესი, ამ შეჯიბ-რებაში ქვეყნის ჩემპიონი ერთვებოდა, დინამოელებს ზამთრის პირველობა გვქონდა მოგებული, ჩემპიონთა თასის გათამაშება კი გაზაფხულზე დაიწ-ყო... რაც შეეხება რიგის ასკ-ს, ეს გუნდი გათამაშებაში მოქმედი ჩემპიონის სტატუსით მონაწილეობდა.

ლატვიელები ჩემპიონთა თასზე მესამე რაუნდიდან ჩაერთნენ, ჩვენ – მე-ორიდან. ახლა რომ ვუყურებ მატჩების შედეგებს, კარგად მახსენდება თი-თოეული დაპირისპირება, თუმცა, რომელშიც განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, იმ მატჩის მიმდინარეობაზე წერით თავს არ შეგანყენთ.

მოკლედ, მერვედფინალში ბუქარესტის „სტიაუა“ შეგვხვდა, რომელთან პირველი მატჩი ოთხი ქულის სხვაობით დავთმეთ. ეს არც უნდა გაგვიკ-ვირდეს, რადგან თბილისის „დინამო“ საერთაშორისო ასპარეზზე პირველ შეხვედრას ატარებდა. განმეორებით მატჩში, შინ უკვე თავისუფლად ვითა-მაშეთ და დიდი სხვაობითაც გავიმარჯვეთ.

მეოთხედფინალში გაცილებით სერიოზული მეტოქე გვყავდა – ბულგა-რეთის „აკადემიკი“, რომელიც საჩემპიონოდ შემართულიყო. საიდან ასეთი ამბიცია? „აკადემიკოსებმა“ წინა ორ სეზონში ჩემპიონთა თასის ფინალში ითამაშეს და ორჯერვე ლატვიელებთან დამარცხედნენ. მესამედ კი „აკადემი-კი“ რიგის ასკ-მდე ჩვენ არ მივუშვით. თუმცა, მახსოვს, თანაბარი თამაშები გამოვიდა. ძმები პანოვები და მირჩევი სწორედ ამ გუნდში თამაშობდნენ...

შემდეგ იყო კიდევ ერთი სოციალისტური ქვეყანა – პოლონეთი, რომლის „პოლონიასაც“ მადა გასჩენოდა, რადგან წინა ეტაპზე ესპანური „ბარსელო-ნა“ ჰყავდა დამარცხებული. თუმცა, შეიძლება ითქვას, პირველივე მატჩში გადავწყვიტეთ ფინალისტის ბედი. ნამდვილად არ ვაპირებდით არავისთვის არაფრის დათმობას. ფინალშიც კი, ფავორიტის სტატუსით შევაბიჯეთ.

„დინამო“-ასკ.
მარცხენიდან –
მუიუნიეკისი,
ლომაძე, მე (№6)
და ვალდემანისი



„დაინამო“ გარეფიშისას



თუ არ გჯერათ, ლატვიელთა მთავარ მწვრთნელ ალექსანდრ გომელსკის მოვუსმინოთ. ამას რომ ვწერ, გაზეთი „ლელო“ მაქვს გადაშლილი, რომელ-შიც ქართველი უურნალისტის, ვაჟა დანელიას საინტერესო სტატიაა 1960 წლის ამბებზე. აი, რას ამბობდა უშუალოდ ფინალის დაწყებამდე გომელსკი:

“ჩემპიონთა თასის გათამაშების დაწყებამდეც ვიცოდით, რომ ფინალში თბილისის „დინამო“ შეგვხვდებოდა. იგი დღეს სამართლიანად ითვლება ევ-როპაში ერთ-ერთ საუკეთესო კლუბად. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ლატვიელებს ქართველებთან დაპირისპირებებში უარყოფითი ბალანსი გვაქვს. შარშან „დინამოსთან“ ორჯერ ვითამაშეთ და ორჯერვე დავმარცხდით. ერთი მატჩი წელსაც წავაგეთ, ამიტომ ვეცდებით რევანშის აღებას, თუმცა, წინასწარ ვგრძნობ, რომ ეს ურთულესი საქმე იქნება. „დინამო“ ის გუნდია, რომელსაც კრიტიკულ მომენტში ძალების არაადამიანური მოპილიზება შეუძლია. საბჭოთა კალათბურთის ისტორიაში სამუდამოდ შევიდა 1959 წლის ლეგენდარული მატჩი, სადაც სამმა ქართველმა უთანასწორო ბრძოლაში დაამარცხა საათივით აწყობილი ლატვიელთა გუნდი. ეს ფაქტი კომენტირებას არ საჭიროებს.“

ლატვიელებს სწრაფ თამაშში ვჯობდით, თუმცა, უკვე დავწერე, რომ მუდმივად ცდილობდნენ ტემპის დაგდებას, რათა ბოლომდე გამოეყენებინათ კრუმინშით მიღებული უპირატესობა. მასზე სპეციალური კომბინაციები

ეწყობოდა, ბურთს რომ მიიღებდა, ჩაგდება არ უჭირდა. ამასთან, ლონიერი იყო, დაცვაშიც მყარად იდგა და მეტოქისთვის ფარქვეშიდან ბურთის ჩაგდება დიდი თავსატეხი იყო.

კრუმინშის წინააღმდეგ ძირითადად ანზორ ლეჟავა თამაშობდა, მაგრამ იგი ლატვიელ გიგანტს სიმაღლეშიც ჩამოუვარდებოდა და გაბარიტებშიც. როცა ფარქვეშ საქმე აწყობილი გაქვს, უკანახაზელებსაც ეხსნებათ ხელფეხი. უფრო თავისუფლადაც სტყორცნიან და უფრო ზუსტადაც. მით უმეტეს, რომ ლატვიელებს არასოდეს დაეწუნებოდათ სროლის სიზუსტე.

„ტემპის შენელება! ეს იყო ჩვენი პირველი და მთავარი ამოცანა, – გომელსკიმ ეს უკვე პირველი ფინალის შემდეგ, ახლადგადახურულ ვერის ბალის დარბაზში უთხრა ქართველ უურნალისტებს, – არავითარი გარღვევა, არავითარი სისწრაფე, თუნდაც ამისი საშუალება ბევრი გვქონდა. კარგად ვიცოდით, რაოდენ დამღუპველია დინამოელთა რიტმის აყოლა – ამან წლეულს უკვე წაგვაგებინა ერთი თამაში საკავშირო პირველობაზე და დაგვაკარგვინა ვერცხლის მედალი.

ჩვენი მიზანი იყო ლეჟავას მაქსიმალურად განეიტრალება და ამით კრუმინშისთვის მოქმედების ფართო დიაპაზონის მიცემა. ამის განხორციელებაში თბილისელებიც დაგვეხმარნენ. მათ თავად გამოთიშეს ლეჟავა, რომელსაც, როგორც კრუმინშის, უბურთოდ მცირე სარგებლის მოტანა შეუძლია.“

გაზეთ „ლელოში“ ამ შეხვედრას „შეცდომათა მატჩი“ ეწოდა. ერთ შეცდომაზე მიგვითითა ნამატჩევს მაიგონის ვალდმანისმა: „დაცვაში დინამოელებს ყველაფერი სწორად არ ჰქონდათ გადაწყვეტილი. ჩვენი ყველაზე ტექნიკური და სწრაფი კალათბურთელის, ვალდის მუიუნიეკსისთვის უნდა მიეჩინათ ყველაზე საიმედო მცველი გურამ მინაშვილი. დიდხანს და თავისუფლად გადიოდა მუიუნიეკსი დინამოელთა ფარის ქვეშ და ერთი და იგივე ხერხით უშეცდომოდ იღებდა კალათს. მისთვის ხელის შეშლას კი არავინ ცდილობდა. მუიუნიეკსის მხოლოდ მაშინ მიაქციეს ყურადღება, როცა თამაშის ბედი გადაწყდა.“

1960 წლის „ლელოში“ ჩემი მეგობრის, ვალდის მუიუნიეკსის კომენტარიცაა: „შეხვედრის დაწყებამდე მორალურად ვიყავი მომზადებული მინაშვილის წინააღმდეგ სათამაშოდ და, მართალი გთხრათ, შვება ვიგრძენი, როცა მცველად უგრეხელიძე დამიყენეს. აღნიშნულ შეხვედრაში დიდი მინიშვნელობა ჰქონდა ფსიქოლოგიურ ფაქტორს. ამ მხრივ ჩრდილოელები უკეთ მომზადებულნი აღმოვჩნდით.“

ვალდმანისის სიტყვებს ათწლეულების შემდეგ რომ ვკითხულობ, ჩემს დანაშაულსაც ვგრძნობ. მართალია, კაპიტნობის მხოლოდ ორნლიანი გამოცდილება მქონდა, მაგრამ, ალბათ, აქტიურად უნდა ჩავრეულიყავი ტაქტიკური სქემის შეცვლაში. შემეძლო, მწვრთნელთან მივსულიყავი და მუიუნიეკსის მეურვეობა საკუთარ თავზე ამეღო. თუმცა, სიმართლე ითქვას, მისი დაჭრა არც ჩემთვის იყო სახალისო საქმე.

მომავალში ხშირად ვერთვებოდი სათამაშო სქემის შეცვლასა თუ შერჩევაში. არსებობს გამოთქმა – მატჩს მწვრთნელი აგებს და კალათბურთელები

იგებენო. არ ვეთანხმები, მიმაჩნია, რომ თამაშს იგებს და აგებს გუნდის თო-თოეული წევრი, სათადარიგოთი დაწყებული, მთავარი მწვრთნელით დამთავ-რებული. ამიტომ, როგორც გამთამაშებელი და როგორც კაპიტანი, დიდ პა-სუხისმგებლობას ვგრძნობდი. ვისაც კალათბურთი უთამაშია, დამეთანხმება, რომ ზოგჯერ მოედანზე უცებ გადაწყვეტილი მცდარი აზრი სჯობს დღეო-ბით ნაფიქრ ტაქტიკურ ვარიანტს.

შშირად ვცვლიდით ზონურ დაცვას პერსონალურით, ან – პირიქით. ასე-ვე, ვანანილებდით ადგილებს შეტევისას, ვინ სად უნდა დამდგარიყო, სად უნდა ამოსულიყო „ნინა ცენტრი“ და ა.შ.

შეიძლება, გაგიჩნდათ შეკითხვა – მწვრთნელები როგორი თვალით უყუ-რებდნენ მოთამაშეთა „თვითნებობას“? არ მახსოვს, რომელიმე მწვრთნელს ჩემი გადაწყვეტილება შეეცვალოს. ალბათ, იმიტომ, რომ ჭეშმარიტებასთან ახლოს იყო, ან სულაც მეორე მიზეზი არსებობდა – არ სურდათ კაპიტან-თან დაპირისპირება...

მიმაჩნია, რომ გუნდი, რომელშიც კალათბურთელებიც აზროვნებენ, გა-ცილებით მეტს მიაღწევს, ვიდრე მხოლოდ მწვრთნელზე ჩამოკიდებული გუნდი.

ჩემპიონთა თასის პირველ ფინალში ლატვიელებთან 10 ქულის სხვაობით დაგმარცხდით (51:61). ეს გულდასაწყვეტი იყო, მაგრამ ტრაგედია სულაც არ გახლდათ – არაერთხელ დაგვიმარცხებია თუნდაც ცსკა მისსავე მოე-დანზე.

განმეორებითი მატჩისთვის მოსამზადებლად ერთ კვირაზე ნაკლები გვქონდა. შედარებით უკეთესადაც შევხვდით ლატვიურ დაპირისპირებას, მაგრამ ვერც მეორე შემთხვევაში მოვახერხეთ ჩვენი პლუსების გამოყენე-ბა, რაშიც დიდი წვლილი ლატვიელთა მწვრთნელს მიუძღვის. მარცხს მაინც ვერ გადავურჩით, თუმცა ნაკლები სხვაობით – 62:69. ამ შეხვედრაში 15 ქულა ჩავაგდე.

საერთოდ, ფინალში წაგება ყოველთვის მნარეა, რადგან ხვდები, რომ ერთი ნაბიჯი გაკლდა ტრიუმფამდე, ერთი რამ სხვანაირად რომ გაგეკე-თებინა, შეიძლება ოქრო შენ დაგრჩენოდა... თუმცა, სწორედ მნარე გაკ-ვეთილები ყველაზე უკეთ გმატებს გამოცდილებას და შეცდომებსაც აღარ იმეორებ.

თბილისის დინამოელებმა ჩემპიონთა თასზე სადებიუტო სეზონში დავი-ნახეთ, რომ ტიტული ერთი ხელის გაწვდენაზე იყო და ყველას გვჯეროდა, როცა მეორედ მოგვეცემოდა ჩემპიონთა თასზე თამაშის საშუალება, შანსს ხელიდან არ გავუშვებდით.





რომის ოლიმპიადიდან დაბრუნებულების
ვლადიმერ უგრეხელიძე, მოჭიდავე ვახტანგ
ქორიძე და მე. ეს ქუდი აშშ-ს ნაკრების
კალათბურთელმა ბელამიჩ მაჩუქა

ზეგუვა
მოძიება

მეტად სიკეთები

სახით ახლაც ცხადად მახსოვს ჩემი მოწინააღმდეგე,
თუმცა გვარს ვერ ვიხსენებ. სხვათა შორის, არც
მაშინ გამჩენია გვარის დამახსოვრების სურვილი.
მისი მოქმედება საკალათბურთო წესებს სცდებოდა,
ხელებით მიჭერდა, უხეშობდა...
ერთ მომენტში სახე ძალიან ახლოს რომ მომიტანა,
ბურთი ორივე ხელით გვერდზე გავწიე და იდაყვი
პირდაპირ ცხვირში ჩავუშვი! უმაღ სისხლი წასკდა,
ერთი ამჩავი ატყდა და თამაშიც დროებით შეწყდა.

თუ ყურადღებით წაიკითხეთ თავი ევროპის ჩემპიონატების შესახებ, და-აკვირდებოდით, რომ ერთი პასუხგაუცემელი შეკითხვა მაინც დაგვრჩა. ევ-რობასკეტებზე 1957, 1959 და 1963 წლებში ვითამაშე. 1961 წლის ევროპა გამოვტოვე. მიზეზი, შესაძლოა, რომის ოლიმპიადა იყოს-მეთქი, დავწერე. რა მოხდა რომში? აი, შეკითხვა, რომელზე პასუხის დროც დადგა.

როგორ ჩავედით იტალიაში, რა შთაბეჭდილება მოახდინა რომმა და მსგავს დეტალებზე ქვემოთ ვისაუბროთ, აქ კონკრეტულ შემთხვევაზე მოვ-ყვები, რომელმაც პირდაპირი თუ არა, ირიბი გავლენა მაინც მოახდინა ევ-როპის 1961 წლის ჩემპიონატზე ჩემს ნაკრებსმილმა დარჩენაზე.

რომში გადამწყვეტი მატჩი იტალიასთან ვითამაშეთ, რის შემდეგაც სტე-პან სპანდარიანს საბჭოელი უურნალისტების კრიტიკა დაატყდა თავს, „სო-ვეტსკი სპორტმა“ ისიც დაწერა, მთავარ მწვრთნელს გურამ მინაშვილიც არ ემორჩილებაო. „სკუადრა ამურასთან“ მატჩისას იყო მომენტი, მართლაც არ მინდოდა მოედნის დატოვება, ცოტა შევეწინააღმდეგე კიდეც, თუმცა დღეს ვთვლი, რომ მწვრთნელმა ჩემი შეცვლა რომ გადაწყვიტა, სწორად მოიქცა.

ახლა უფრო კონკრეტულად განვიხილოთ ზემოთ ნახსენები მომენტი: იტალია-სსრკ-ის შეხვედრისას სტეპან სპანდარიანმა, ტრადიციისამებრ, სასტარტო ხუთეულში დამაყენა და მასპინძელთა მთავარი ბომბარდირის, მე-9 ნომრის, მარიო ალეზინის მეურვეობა დამავალა. მატჩი გეგმიურად დაიწყო, მოწინააღმდეგეს თამაშის საშუალებას არ ვაძლევდით, ჩვენ კი ქუ-ლას ქულაზე ვაგროვებდით და ანგარიშში სხვაობაც ჩვენს სასარგებლოდ იზრდებოდა.

იტალიელები იძულებულნი გახდნენ, ტაქტიკა შეეცვალათ, ძალიან მჭიდ-რო პრესინგი დაგვიპირისპირეს, გვახრიობდნენ. ჩემს ვიზავის იმდენად ახ-ლოს მოჰქონდა ჩემთან სახე, მეგონა, შექმას მიპირებდა. ასეთი მეურვეობა, ერთი მხრივ, უსიამოვნოა, მაგრამ, როცა კარგ ტექნიკას ფლობ, შენს სასარგებლოდაც შეგიძლია გამოიყენო. მე მსგავს შემთხვევებში სტიმული მემატებოდა, რაც უფრო ახლოდან მიჭერდა მეურვე, მით იოლად შემეძლო მისი მოტყუება.

სახით ახლაც ცხადად მახსოვს ჩემი მოწინააღმდეგე, თუმცა გვარს ვერ ვიხსენებ. სხვათა შორის, არც მაშინ გამჩენია გვარის დამახსოვრების სურ-ვილი. მისი მოქმედება საკალათბურთო წესებს სცილდებოდა, ხელებით მი-ჭერდა, უხემობდა...

ერთ მომენტში სახე ძალიან ახლოს რომ მომიტანა, ბურთი ორივე ხელით გვერდზე გავწიე და იდაყვი პირდაპირ ცხვირში ჩავუშვი! უმალ სისხლი წას-კდა, ერთი ამბავი ატყდა და თამაშიც დროებით შეწყდა.

მატჩი „პალაცესტონდა“ საგანგებოდ „პალაცოში“ გადაიტანეს. იტალიე-ლებმა იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირთან „ვერცხლის მატჩისთვის“ 5-ათა-სიანი დარბაზი მაყურებელს არ დაიტევდა და 12-ათასიან „პალაცოში“ ამი-ტომაც გვათამაშეს. ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა, ადგილობრივებს

რომი, 1960 წელი. ოლიმპიური სოფელი.
ნეალბურთელ გივი ჩიქვანაიასა და ვლადიმერ
უგრებელიძესთან ერთად



ვერცხლის მოგების შანსი ჰქონდათ და ყველას სჯეროდა, რომ ჩვენი და-მარცხება რეალური იყო.

იტალიელი კალათბურთელის სისხლი და მოედანზე 100-ლირიანი ხურდა ფულის სეტყვა ერთი იყო. წარმოუდგენელი რამ ხდებოდა, ვიდრე ჯიბეებში ხურდის მარაგი არ ამონურეს, იტალიელები არ გაჩერდნენ. ჩვენს სათადა-რიგოთა სკამთან ფული რამდენიმე ფენად „იდო“.

სკამს მივუაღლოვდი და იქ მჯდომ ვლადიმერ უგრეხელიძეს ქართუ-ლად წავჩრებულე – „პტიცა“, ფული მოაგროვე, ხვალ დაგვჭირდება-მეთქი. დარბაზის ადმინისტრაციას ხურდებისგან მოედნის გასუფთავებაში ჩვენც მივეხმარეთ და მეორე დღეს მე და უგრეხელიძემ ნასეტყვი ფულით ძვირ-ფასი „პლასტინკები“ შევიძინეთ.

ჯიბედაცარიელებული გულშემატკივარი მაინც არ ცხრებოდა, ყურის-წამლებად სტვენდა, სპანდარიანმა მდგომარეობის განმუხტვის მიზნით შეც-ვლა ითხოვა და სათადარიგოთა სკამისკენ მიხმო. იმ მომენტში მეც აღელ-ვებული ვიყავი და ნამდვილად არ მინდოდა მოედნიდან გასვლა, თუმცა მალევე დავვეექი.

სწორედ ეს ეპიზოდი დაიხვიეს ხელზე უურნალისტებმა, ჩემსა და მწვრთ-ნელს შორის გაუგებრობაზე ალაპარაკდნენ. თან იმას ამტკიცებდნენ, სპან-დარიანს გუნდში გავლენა აღარ აქვსო. რეალურად არანაირი კონფლიქტი არ მომხდარა, ჩვენი ურთიერთობა იმ ეპიზოდს ნამდვილად არ შეუცვლია. თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ ამბის გაბუქების გამო მოერიდა სპეტან სპანდარიანი ევროპის 1961 წლის ჩემპიონატზე ჩემს წაყ-ვანას.

„პალაცოში“ დავპრუნდეთ. ჩემი შეცვლით ქომაგი ჩაცხრა, თამაში გაგ-რძელდა, მაგრამ სულ სხვა სცენარით: ალეზინიმ აიწყვიტა და მისი ქულე-ბის წყალობით იტალია არა მხოლოდ დაგვენია, გაგვასწრო კიდეც. დაიწყო მეორე ტამი და სიტუაცია არ შეცვლილა, არადა, აშკარაა, ვერცხლის მო-გება თუ გვინდა, ტაქტიკური ცვლილებაა საჭირო.

სათადარიგოთა სკამის ბოლოში ვიჯეექი და გაბრაზებული შევცეკეროდი მოედანზე მიმდინარე მოვლენებს. მეორე ტამის დასაწყისში ჩემს გვერ-დით, თადარიგში აღმოჩნდნენ ლატვიელები: ოზერსი, კრუმინში, ვალდმა-ნისი და მუიუნიეკისი. მოულოდნელად ერთმანეთში ლატვიურად დაიწყეს ლაპარაკი. მათი ენა არ მესმოდა, თუმცა ყური მოვკარი, რომ რამდენჯერმე ჩემი გვარი ახსენეს. მინაშვილი ხომ ლატვიურადაც მინაშვილია და ურდუს ენაზეც. მაინტერესებდა, მაგრამ ვერ ვხვდებოდი მათი საუბრის შინაარსს. თან ისე ვიჯეექი, თითქოს არაფერი მესმოდა.

ბოლოს ერთი-ერთი რიგელი მთავარ მწვრთნელთან მივიდა და „მინაშ-ვილთან“ ერთად რუსული სიტყვაც შეურია – „ნა პოლე“ (მოედანზე). რო-გორც ჩანს, სტეპან სპანდარიანს ჩემი არსებობა დაავიწყდა და ლატვიელთა შეხსენება დროული აღმოჩნდა. მწვრთნელმა დამიძახა, მოედანზე დამაბრუ-ნა და მატჩის ბოლომდე აღარ გამოუცვლივარ. ისევ მარიო აღეზინის ავე-ნებე და მეორე ტამი ქულამნირი გამოუვიდა. იტალია 78:70 დავამარცხეთ,

რომის ოლიმპიადა კი, მეორე ადგილზე დავასრულეთ.

27:00


რას ნიშნავს მეორე ადგილისთვის მატ-ჩი? – იკითხავთ. როგორც წესი, საერთა-შორისო ტურნირებში იმართება ფინალი, რომლის გამარჯვებული ოქროს მედალს იღებს, მეორე – ვერცხლს. რომის ოლიმპიადაზე საკალათბურთო შეჯიბრება კლასიკური სისტემით არ ჩატარებულა, სამი ჯგუფური ეტაპი ვითამაშეთ.

პირველ ეტაპზე ამერიკულ გარემოც-ვაში მოვხვდით: ბრაზილიასთან, მექსიკასთან და პუერტო რიკოსთან. მექსიკასა და პუერტო რიკოს იოლად გავუსწორდით, თუმცა, მტვრევა-მსხვრევას მაინც ვერ ავცდით. ამ საქმეშიც იყო ქართული კვალი...

თუმცა, ყველაზე მეტად ჩემი თანაგუნდელი, ალბერტ ვალტინი დაზარალდა, სისხლიანი ფეხით სათადარიგოთა სკამთან მოირბინა და ექიმს დახმარება სთხოვა. იმ მომენტისთვის მეც სკამზე ვიჯექი, მწვრთნელს ისიც ჰქონდა ნათქვამი, ვისაც გსურთ, შეგიძლიათ გასახდელში წახვიდეთო, რადგან პუერტო რიკოსთან დიდი სხვაობით ვიგებდით და მატჩის დასრულებას თითქმის ალარაფერი უკლდა.

პუერტორიკოელებთან მატჩში მომხდარი ამბავი ოლიმპიადის გამორჩეულ მომენტთა შორის მოხვდა: ერთ-ერთი ბოლო შეტევისას საბჭოელებმა ბურთი პუერტორიკოელთა კალათისკენ სტყორცენეს, თუმცა იგი რგოლში არ ჩაეშვა და უკან გადმოვარდა. ბურთის დაუფლებისთვის ვლადიმერ უგრეხელიძე და ალექსანდრ პეტროვი ახტნენ. პეტროვი მარჯვნიდან იყო შესული და ბურთი რომ ვერ დაიჭირა, კალათს ჩამოეკიდა, გაქანდა, ფარი კი იატაკზე იმდენად მყარად არ იდგა, რომ პეტროვის მკვეთრი მოძრაობისთვის გაეძლო, ისიც შეტორტმანდა, მარცხნივ გადაყირავდა და ფარის სქელი შუშის მსხვრევის ხმამ დარბაზი წამიერად გააყრუა.

ვლადიმერ უგრეხელიძე სწორედ იმ მხარეს დახტა, საითაც ფარი გადავარდა, თუმცა ზურგით იყო და ეს პროცესი არ დაუნახავს. ღვთის წყალობით, ფარი სანტიმეტრებით ასცდა ჩვენს „პტიკას“. ოდნავ შიგნით რომ დამხტარიყო, ესოდენ დიდი წონის კონსტრუქცია თავზე დაემხობოდა. როგორც გითხარით, ყველაზე მეტად ვალტინი დაზარალდა, უგრეხელიძე კი



მცირე ნაკანწით გადარჩა. სხვათა შორის, დამსხვრეული ფარის ერთ-ერთი ნატეხი რელიგიის სახით თბილისში წამოვიდე.

იტალიელებს სათადარიგო ფარი არ აღმოაჩნდათ და მატჩიც შეწყდა. არ ვიცი, პუერტორიკოელებს რისი იმედი ჰქონდათ, მაგრამ ჯიუტად ითხოვდნენ გადათამაშებას, რაც ფიბას მაშინდელმა ხელმძღვანელმა უილიამ ჯონსმა არ დაუშვა. მატჩის საბოლოო შედეგად ის ანგარიში დაფიქსირდა, რაც ფარის წაქცევამდე ტაბლოზე ეწერა (100:63).

28:00

რაც შეეხება ბრაზილიასთან დაპირისპირებას, ტრადიციულად, თანაბარი გამოდგა, ბოლო წუთებზე დავმარცხდით (54:58). სამხრეთამერიკელებს ორი ლიდერი ჰყავდათ, ამაური და ბუტკაუსკასი. ეს უკანასკნელი ლიტველი იყო. მისი მშობლები ბრაზილიაში ჩასულიყვნენ სამუშაოდ და ბუტკაუსკასიც იქ გაიზარდა. სამწუხაროდ, იგი ავტოავარიაში ახალგაზრდა დაიღუპა.

ამაურისთან დაკავშირებით კი, ფიასკო მახსენდება. ოღონდ რომის ოლიმპიადიდან სამი წლის შემდეგ, მსოფლიოს ჩემპიონატზე. ბრაზილიასთან მატჩის წინ მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ გომელსკიმ იკითხა: ამაურის ვინ დაიჭერსო? თანაგუნდელებს გადავხედე და ვთქვი – მე დავუდგები-მეთქი.


ამაური ჩემზე მაღალი იყო, 195 სმ სიმაღლისა. იგი ბევრს მოძრაობდა და ცენტრის პოზიციასაც ხშირად იკავებდა. ბოლომდე დავყვებოდი, თუმცა წესების დარღვევაც მიწევდა. ნამდვილად არ მეგონა, ურუგვაელი მსაჯი საბოლოოდ ასე თუ გამიმეტებდა. მას ვეძმაკაცებოდი და კარგი ურთიერთობაც ჩამომიყალიბდა. თუმცა ბრაზილიელმა სნაიპერმა იმდენი ქნა, ათ წუთში ხუთი ჯარიმა მივიღე და მოედანი წაადრევად დავტოვე.

დაცვაში თამაშისას სხვა ასეთი ფიასკო ნამდვილად არასოდეს მომსვლია, მიუხედავად იმისა, რომ 1960 წლის ოლიმპიადაზე ოსკარ რობერტსონსა და ჯერი ვესტი ვეთამაშებოდით.

რომში აშშ-ის ნაკრებთან მეორე ჯგუფურ ეტაპზე ვითამაშეთ. ჩვენთან ერთად იყო იუგოსლავია და ურუგვაი. ამ ორ გუნდს ვაჯობეთ, ამერიკელებთან კი ვერაფერი გავანებულ და, ფაქტობრივად, ამ ეტაპზევე გაირკვა ოლიმპიური ჩემპიონის ბედი – ფინალურ ოთხეულში აშშ-ს ჩვენთან მოგება გადაჰყვა, იტალიისა და ბრაზილიის ძლევა კი არ გასჭირვებია...

წინა წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი წარუმატებლობის შემდეგ ამერიკელებმა რომში ძალიან ძლიერი გუნდი ჩამოიყვანეს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, შემადგენლობაში ჰყავდათ ჯერი ვესტი და ოსკარ რობერტსონი, რომლებმაც 1960 წელსვე ითამაშეს NBA-ში.

ამერიკელთა მთელი დელეგაცია ოლიმპიურ სოფელში ცხოვრობდა, მხოლოდ რობერტსონი დააბინავეს ცალკე, მდიდრულ სასტუმროში, თან მეგობარი გოგონა ახლდა. ეს ყველაფერი ხილულად ხდებოდა, არავინ არაფერს



მაღავდა. ოსკარი ასეთი შეღავათებით იმიტომ სარგებლობდა, რომ იტალიაში გამომგზავრებამდე გადაწყვეტილი იყო – ამერიკაში დაბრუნებულს NBA-ში უნდა ეთამაშა.

რობერტსონი თითქმის ორი მეტრის სიმაღლისა იყო და მის წინააღმდეგ არ მითამაშა, ჩვენი ფორვარდები მეურვეობდნენ. ვესტის განეიტრალება კი მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მეტ-ნაკლებად თანაბარი გამოვიდა, თუმცა მეორეში ამერიკელებმა ტემპს უმატეს და მათი შეკავება მთელ გუნდს ძალიან გაუჭირდა.

თამაშისას ჩემი შემცვლელი, ვალდის მუიუნიექსი მომიახლოვდა და შემომჩივლა: გურამ, როგორ დავიჭირო, შეხედე, დაფრინავს – რომ ახტება, მისი ტრუსის ბოლო ცხვირთან მიფრიალებსო. მაღალ ნახტომში ტყუორცნა ნებისმიერი კალათბურთელისთვის დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობაა. ასეთ დროს იცი, ვერავინ დაგიფარებს და სროლის სიზუსტე კიდევ უფრო მატულობს. ვესტის შეჩერება ჩვენ კი არა, NBA-ს სუპერმოთამაშეებსაც უჭირდათ. ის ხომ 1960 წელსვე მოხვდა „ოლ სტარში“...

ისიც გეცოდინებათ, NBA-ს საქვეყნოდ ცნობილი ლოგოს შექმნისას სწორედ ჯერი ვესტის ფიგურა გამოიყენეს.

ალბათ, დააკვირდით, რომ რომაული ამბების თხრობისას დიდი ყურადღება დავუთმე უშუალოდ მოედანზე მიმდინარე მოვლენებს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან იტალიაში ჩაფრენისთანავე ისეთი რეჟიმი დაგვიწესეს, ქალაქის დასათვალიერებლად გასვლას ვერ ვახერხებდით. არადა, იოლი წარმოსადგენია, როგორ გვაინტერესებდა რომაული ქუჩების, მუზეუმების, კოლიზეუმის ნახვა.

ვაცნობიერებდით, რომ იტალიაში, პირველ რიგში, სათამაშოდ ვიყავით ჩასულნი, ყველა შეხვედრას მაქსიმალურად მობილიზებულნი უნდა შევხვედროდით, რომ მიზნისთვის მიგველნია. მიზანი კი ამერიკელების შემდეგ მეორე ადგილის დაკავება იყო. მედლის მოგებისთვის დამატებითი სტიმულიც გვქონდა: საპრიზო ადგილზე გასული საბჭოთა სპორტსმენები მათი შეჯიბრების დასრულების შემდეგ რომში ოლიმპიადის დახურვამდე რჩებოდნენ. ვისაც სურვილი ჰქონდა, შეეძლო არც დარჩენილიყო, თუმცა, ვინ იტყოდა იტალიაში კიდევ რამდენიმე დღით ცხოვრებაზე უარს?

„ვერცხლის მატჩიდან“ დახურვის ცერემონიალამდე სამი დღე იყო. ამ დროში გაცილებით მეტი ვნახე, ვიდრე მანამდე.

ტურნირის დასრულების მერე თავს განტვირთვის უფლებასაც ვაძლევ-დით: მე და იური კორნეევი ოლიმპიური სოფლის რამდენიმე მზარეულს და-ვუმეგობრდით, რომლებსაც წითელი ღვინო ჰქონდათ შენახული. ამ ამბის გამოაშკარავება და მათი სამსახურიდან დათხოვნა ერთი იქნებოდა, ამიტომ მე და კორნეევი შეფარულად, ყავის ფინჯნებით მივდიოდით მზარეულებ-თან, ისინი კი ყავის ნაცვლად წითელ ღვინოს გვისხამდნენ. სადილისას ყა-ვისთვის სამი-ოთხჯერ ვდგებოდით სუფრიდან, რაც ბევრს აკვირვებდა – როდის აქეთ დაინტე ამდენი ყავის სმაო...
სხვათა შორის, ფრანგი კალათბურთელების მაგიდებზე მატჩის დღესაც კი იდგა ოთხი ლიტრიანი ბოთლი წითელი ღვინით. თითო ჭიქის დალევას ექიმები და მწვრთნელები არ უკრძალავდნენ. პირიქით, გამოკვლეული ჰქონდათ, რომ მცირე დოზით სუფთა ღვინის მიღება სასარგებლო იყო. ფრანგების მიბაძვით ექსპერიმენტი საბჭოელებმაც ჩაატარეს, სუფრასთან მათაც ოთხი ლიტრი ღვინო მოჰქონდათ, თუმცა ექსპერიმენტმა არ გაამართლა: რუსმა კალათბურთელებმა ხრიყს მიმართეს – მოილაპარაკეს და ერთ დღეს ორი კალათბურთელი სვამდა ყველას წილს, მეორე დღეს – მეორე დუეტი, სხვები ალარ ეცილებოდნენ. ასე რომ, სასტუმროში ყოველდღე ორი კარგად გამობრუული მოთამაშე ადიოდა. ცხადია, არასათამაშო დღეებში...

ალბათ, მიხვდით, საბჭოთა ექსპერიმენტი რომის ოლიმპიადაზე არ ჩატარებულა. თუმცა, საბჭოთა ხრიკები რომშიც ვიხილეთ. შორი გზით მოვუაროთ: იტალიელები ოლიმპიადას საოცრად მომზადებულები შეხვდნენ. ოლიმპიურ სოფელში ოთხი სხვადასხვა მხარის სასადილო მოაწყვეს. შესასვლელში შუმის დიდი სფეროები იდგა, ონკანს მოუშვებდი და ფორთოხლის წვენით დაწყებული, ეგზოტიკური წვენებით დამთავრებული, რასაც მოისურვებდი, იმას დალევდი.

სასადილოში ხარჩოსა და საცივს ვერ შეხვდებოდით, თუმცა ნებისმიერი გემოვნების ადამიანისთვის იყო უგემრიელესი კერძები. მას-სოვს, ყველაზე მეტად თევზი მომენტისა, ისე გემრიელად მომზადებული თევზი არც მანამდე გამესინჯა და არც მას მერე. ნებადართული იყო საკვების ოთახებში შეტანაც. საინტერესო სანახავი იყო შინისკენ მიმავალი არაერთი სპორტსმენი, რომლებსაც ჯიბები ბანანებით ჰქონდა გამოტენილი და უბეებიც ხილით გაევსოთ.

საბჭოთა დელეგაციას რომში ბევრი ტურისტი ჩამოჰყვა, რომლებიც ხშირად სტუმრობდნენ ოლიმპიურ სოფელს. თუმცა ესეც აკრძალური იყო, ოლიმპიელები სოფელში საგანგებო საშვებით შევდიოდით. აი, სწორედ ეს საშვები გაჰქონდათ ტურისტებისთვის და ისინიც ოლიმპიელების სტატუსით შემოდიოდნენ. იოლი მისახვედრია, რომ ძირითადად სასადილოს სტუმრობდნენ. მასპინძლები იმდენად გულუხვები აღმოჩნდნენ, კერძები სპორტსმენებისთვისაც საკმარისი იყო და ტურისტებისთვისაც.

გემრიელმა საკვებმა იმდენად გაგვიტაცა, წონაში საგრძნობლად მოვიმატეთ, თუმცა კალათბურთელებს არც დაკლების პრობლემა შეგვქმნია და არც თამაშს დასტყობია კარგი სასადილოს კვალი.

სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლები, ისინი, ვისაც შეჯიბრების წინ სასწორზე უწევთ შედგომა, ძირითადად კი მოჭიდავეები. ოლიმპიადა დაწყებული არ იყო, საბჭოთა ბანაკში საგანგებო მდგომარეობა რომ გამოცხადდა. მკაცრად დადგინდა: ყოველი დღის ბოლოს თითოეული ოლიმპიელი უნდა ახონილიყო და თუ დადგენილ წონას გადააჭარბებდა, იმავე ღამეს ვარჯიშით უნდა დაეგდო ზედმეტი „კილოგრამები“.



ვლადიმერ
უგრეხელიძის
ჩატენვა



მოჭიდავეები სითხეს აღარ იღებდნენ, რაც ერთობ რთული გასაძლები იყო. ამაში თავად დავრწმუნდი, როცა აპაზანაში საოცარი სცენა ვნახე: როგორც ჩანს, დიდი ხანი ითმინა ერთმა რუსმა მოჭიდავემ, მაგრამ ბოლომდე ველარ გაძლო – საკუთარი თვალით ვნახე, როგორ ჩაჰურ თავი ქაფიან წყალში და მადიანად დაეწაფა.

რომის ოლიმპიადაში 16 ქართველი სპორტსმენი მონაწილეობდა, რომელთაგან შინ მედლით ათზე მეტი დავბრუნდით. მძლეოსანმა რობერტ შავლაყაძემ და კლასიკურად მოჭიდავე ავთანდილ ქორიძემ პირველობა არავის დაუთმეს.

ძალიან მაინტერესებდა ჩვენიანების გამოსვლის ხილვა, მაგრამ საგანგებო გრაფიკი არც ამის საშუალებას მაძლევდა. ამა თუ იმ სპორტსმენის წარმატების შესახებ სალამოს ვიგებდით. რამდენადაც გამიხარდა, იმდენად გამიკვირდა, როცა ოლიმპიურ სოფელში თქვეს – შავლაყაძემ ოქრო მოიგო. გაკვირვების მიზეზს კი მასთან დილის საუბარში იპოვნით:

– რობერტ, როდის გადიხარ საასპარეზოდ? – ვკითხე თლიმპიურ სასადილოში.

– დღეს. ჯერ კვალიფიკაცია მიწევს...

– სამწუხაროდ, ვერ მოვალ, რეჟიმს ვერ დავარღვევ. წარმატებას გისურვებ, აბა, შენ იცი!

– მადლობა გურამ, მაგრამ არაფრის იმედი არ მაქვს.

– რატომ?

— ღამით თითქმის არ მძინებია... არა მგონია, მაღალი ნახტომისთვის ენერგია მეყოს.

...საღამოს სულ სხვა ხასიათზე მყოფი რობერტ შავლაყაძე ვნახე. იგი ოლიმპიურ სოფელში გმირის სტატუსით დაბრუნდა.

მოსკოვში ჩამოსულ რობერტს, როგორც განსაკუთრებული დამსახურების სპორტსმენს, ლენინის ორდენი გადაეცა, ხოლო მე, როგორც ვერცხლის მედალოსანს – „საპატიო ნიშნის“ ორდენი. ცხოვრებაში სულ ორი ორდენი მაქვს მიღებული. პირველზე უკვე მოგახსენეთ, მეორე – „ლირსების ორდენი“ ედუარდ შევარდნაძის დროს გადმომცეს.

ომ არა არასასიამოვნო შემთხვევა, ამ წიგნს კიდევ ერთი ვრცელი თავი დაემატებოდა, რომელშიც ტოკიოს (1964) ოლიმპიადაზე მოგითხობდით.

როგორც წესი, ოლიმპიადისთვის მზადება წინა ოლიმპიადის დასრულებისთანავე იწყება. რომის თამაშების შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარ მწვრთნელად ალექსანდრ გომელსკი დაინიშნა. იგი თავიდანვე მომიაზრებდა გუნდის სასტარტო გამთამაშებლად და ერთ შეკრებასაც არ გამოვკლებივარ. ჩემთან ერთად გუნდში ლევან მოსეშვილს იწვევდნენ, რომელიც შემდეგ ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი გახდა.

იაპონიაში გაფრენამდე ორი თვით ადრე ალექსანდრ გომელსკი სიკვდილს სასწაულით გადაურჩა: მოსკოვის მეტროპოლიტენის სადგურზე მდგომს ხელი ჰკრეს და მატარებელმა რამდენიმე მეტრზე ათრია. გრძნობადაკარგულს ჯიბები გაუსინჯეს და დოლარები აღმოაჩნდა, რაც იმხანად დაუშველი იყო. საკავშირო კომიტეტის ხელმძღვანელობამ ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლა. როგორც შემდეგ გაირკვა, დროებით, რადგან მის შემცვლელ ოზეროვს ოლიმპიადაზე გუნდი მაინც ვერ ანდეს და ტოკიოში გაფრენის წინ გომელსკი მთავარ მწვრთნელად დააბრუნეს. მის არყოფნაში ოზეროვმა ჩემი გუნდიდან დათხოვნა მოასწრო, ხოლო ბოლო მომენტში ნაკრებში ვეღარ შემიყვანეს.

საბჭოთა გუნდმა ტოკიოშიც მეორე ადგილი დაიკავა და იაპონიიდან დაბრუნების შემდეგ ლევან მოსეშვილმა საკუთარი აზრი გამანდო: ფინალში, ამერიკის ნაკრებთან გამთამაშებლის პრობლემა გვქონდა, შენ რომ გუნდში ყოფილიყვავი, შეიძლება ოქროც მოგვეგოო. დღეს ძნელი სათქმელია, ლევანმა ეს გულის გაკეთების მიზნით მითხრა, თუ მართლაც ასე მოხდებოდა...



ცაკა-ს საჯარიმოში

კუმუნისტი კომუნიზმი

იტალიელებს კარგად ვყავდით შესწავლილები და
ისიც მოეხსენებოდათ, რომ სწორედ კილაძეზე გადავი-
ცანდით აქცენტს. ამიტომ, დიდი ძალები მიმართეს შურას
წინააღმდეგ. გვერდიდან შემოტანილი ბურთი მე მივიღე,
მოედანზე კალათბურთელთა განლაგებას თვალი მოვაწ-
ლე, მივხვდი, რომ კილაძეს ბურთს ვერ გადავაწვდიდი,
ვერც ფარქვეშ შევიდოდი, რადგან იქ მეტოქეთა სიუხვე
იყო და არც საამისო დრო რჩებოდა. ამასობაში ჩემთვის
არასასურველ პოზიციაზე აღმოვჩნდი, დრო კი არ ითმენ-
და, საფინალო სირენამდე 5 წამით ადრე ავიწიე, შორი-
დან ვტყორცნე და ბურთი კალათში ჩაეშვა - 74:68!

იტალიაში ორი წლის შემდეგაც მომინია თამაშმა, ოლონდ ამჯერად ჩრდილოეთის დედაქალაქ მილანში: 1963 წელს ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში „სიმენტალს“ შევეჭიდეთ. მართალია, ეს გახლდათ ევროსარბიელზე მესამე გამოსვლა და ყველაზე მნიშვნელოვან, 1962 წლის ამბებზე ჯერ არაფერი გვითქვამს, მაგრამ ზოგჯერ სიუჟეტი ქრონოლოგის დარღვევას გვპატიობს. არა მხოლოდ ქართული კალათბურთის, ქართული სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ნათელ, 1962 წელზე წიგნის ბოლოს ვისაუბროთ.

1962-63 წლებში კვლავ ორი საბჭოური გუნდი გავიდა ჩემპიონთა თასზე – თბილისის „დინამო“ და მოსკოვის ცსკა. ეს ის პერიოდი იყო, შიდა ასპარეზზე მოსკოვის არმიელები პირველობას არავის რომ ანებებდნენ. ლატვიური ასკ და ჩვენ ლირსეულ კონკურენციას ვუწევდით, მაგრამ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობის მოპოვებას ვერ ვახერხებდით.

ცსკა-ს ერთ მატჩში დამარცხება შესაძლებელი იყო, მაგრამ პროცესში ისინი გვჯობნიდნენ. ამიტომ მოუწია თბილისის „დინამოს“ დიდხანს მოცდა, ვიდრე 1954 წლის შემდეგ მეოთხედ მოიპოვებდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობას. დინამოელებმა ეს 1967 წელს მოახერხეს, თუმცა, იმ დროს გუნდში აღარ ვიყავი.

მოსკოვის ცსკა 1962-63 წლების სეზონის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მეორე წრიდან ჩაერთო, ჩვენ – მესამიდან, რაც პირდაპირ მიუთითებდა, რომ საერთაშორისო საზომებით არმიელებზე წინ ვიყავით.

მესამე წრეში შეჯიბრების ერთ-ერთი ფავორიტი მილანის „სიმენტალი“ დაგვიპირისპირდა. მასში საუკეთესო იტალიელი კალათბურთელები იყვნენ თავმოყრილი და შესაფერისადაც თამაშობდნენ. რატომძაც, ყველა დარწმუნებული იყო, რომ „სიმენტალთან“ წავაგებდით – ეს განსაკუთრებით მოსკოვის ცსკა-ს კალათბურთელებს სურდათ, რადგან მომდევნო ეტაპზე სწორედ ჩვენს წყვილში გამარჯვებულს ხვდებოდნენ და თბილისში სტუმრობას მილანში გამგზავრება ერთჩივნათ.

მართლაც წავაგეთ. ოლონდ პირველი შეხვედრა, თბილისში. თავიდან ბოლომდე თანაბარი თამაში იყო და გადამწყვეტ წუთებში მილანელებმა 7 ქულით გაგვასწრეს. ბოლო შეტევის უფლება ჩვენ დაგვრჩა, თუმცა, დრო ძალიან ცოტა იყო. მატჩი სპორტის სასახლეში იმართებოდა, რომლის ტრიბუნები ქართველი გულშემატკიცვრით იყო სავსე და იოლი წარმოსადგენია, რას განიცდიდა თითოეული ჩვენი ქომაგი საშინაო მატჩში დამარცხების გამო.

შეხვედრის უკანასკნელ წამებზე გულშემატკიცვარს ხალისი ოდნავ დავუპრუნე: ბურთი სწრაფად გადმოვიტანე მეტოქის ნახევარზე, მოედნის ცენტრს გადავაბიჯე თუ არა, „სიმენტალის“ კალათისკენ ვტყორცნე და ჩემი გაოცება ქომაგის მქუჩარე შეძახილში ჩაიკარგა – ბურთი კალათში ჩაეშვა და ხუთი ქულის სხვაობით დავმარცხდით. ზუსტი ანგარიში რომც არ გახსოვდეს, ინტერნეტს ისეთი მეხსიერება აქვს, არაფერს გამოგაპარებს – 65:70.

„დინამო“-„სტიაუა“





თითქოს, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო – შინ ხუთი ქულით დამარცხებულ გუნდს სტუმრად, თანაც მილანში, წარმატების შანსი არ უნდა ჰქონოდა. ასე ფიქრობდნენ მოსკოვის ცსკა-ს, თუ იტალიის „სიმენტალის“ კალათბურთელები, ბევრი გარეშე პირი, მაგრამ არა თბილისის „დინამო“, რომელსაც გომელსკის თქმისა არ იყოს, კონკრეტული მატჩისთვის ძალების არაადამიანური მობილიზება შეეძლო.

ვერ ვიტყვი, მილანელებს თავდაჯერებამ გაუწია დათვური სამსახური მეთქი. ასე რომ ყოფილიყო, დიდი სხვაობით წააგებდნენ. როგორც თბილისური შეხვედრა, მილანური მატჩიც ქულა-ქულაში წარიმართა და გულშემატკივარი თავიდანვე შეეგუა, რომ გამარჯვებულის ბედი ბოლო წამებზე უნდა გადაწყვეტილიყო.

„სიმენტალს“ უპირატესობა ჰქონდა – ოთხი ქულით წაგებაც ხელს აძლევდა. მოკლედ, ყველაფერი „მილიმეტრებში“ იყო გათვლილი და მატჩის დასრულებამდე 13 წამით ადრე იტალიელები სათავისო სხვაობით აგებდნენ – 68:72. ბოლო შეტევის უფლება ამჯერადაც „დინამოს“ დარჩა. ჩვენმა მწვრთნელმა, ოთარ ქორქიამ წუთშესვენება აიღო და გამარჯვების კომბინაცია შეგვასენა: ყველას უნდა გვემუშავა ალექსანდრე კილაძის გამოთავისუფლებაზე, რომელიც ჩვეულ სტილში სტყორცნიდა, თუ ჩააგდებდა, ექვსი ქულით დავწინაურდებოდით და საშინაო, ხუთქულიან მარცხს გავაბათილებდით. იტალიელებს კარგად ვყავდით შესწავლილები და ისიც მოეხსენებოდათ, სწორედ კილაძეზე გადავიტანდით აქცენტს. ამიტომ, დიდი




სტანისლავ ერომენი, მე, მიხეილ
ახვლედანი (კალათბურთელთა კავშირის
ხელმძღვანელი) და ივან ედეშკო

ძალები მიმართეს შურას წინააღმდეგ. გვერდიდან შემოტანილი ბურთი მე მივიღე, მოედანზე კალათბურთელთა განლაგებას თვალი მოვავლე, მივ-ხვდი, რომ კილაძეს ბურთს ვერ გადავაწვდიდი, ვერც ფარქვეშ შევიდოდი, რადგან იქ მეტოქეთა სიუხვე იყო და არც საამისო დრო რჩებოდა. ამასობაში ჩემთვის არასასურველ პოზიციაზე აღმოვჩნდი, დრო კი არ ითმენდა, საფინალო სირენამდე 5 წამით ადრე ავინიე, შორიდან ვტყორცნე და ბურთი კალათში ჩაეშვა – 74:68!

იტალიელები გადაირივნენ, „ფორტუნა, ფორტუნაო“, გაიძახოდნენ.

კალათბურთი ამიტომაცაა დიდებული, რომ ერთმა ტყორცნამ, წამის ერთმა მეასედმა, დიდი წუხილი შეიძლება საოცარ სიხარულად გიქციოს. მილანში მართლაც ქართულად, გულით გავიხარეთ. საოცარი სანახავი იყო ანტონ კაზანჯიანი, რომელიც მატჩის დასრულებისთანავე „სიმენტალის“ კალათისკენ გაფრინდა და ისე ჩამოეკიდა, ფეხებით კინალამ შიგ ჩატა.

მილანიდან „დინამო“ საქართველოში გამოეშურა, მე – მოსკოვში გადავ-ფრინდი, რადგან საბჭოთა კავშირის ნაკრების მატჩი მელოდა. ნაკრების წევრი არმიელები ცხვირჩამოშვებულები დამხვდნენ, ერთი კვირა არ მელაპარაკებოდნენ. მიზეზი ნათელი იყო: სწორედ ჩემმა ერთმა ტყორცნამ მოუსპო მათ მილანში გამგზავრების საშუალება. არადა, როგორც შემდეგ მითხრეს, „სიმენტალთან“ „დინამოს“ თბილისში დამარცხების შემდეგ იტალიური ვოიაჟისთვის დიდ გეგმებს სახავდნენ. მე კი შეკრებაზე მამლაყინ-წასავით თავანეული დავდიოდი.



საბჭოთა კავშირის ნაკრების შეკრებისა და მატჩების შემდეგ ისევ „დინამოს“ დავუბრუნდი, რომელთან ერთად ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში მოსკოვის ცსკა-ს წინააღმდეგ უნდა მეთამაშა.

რადგან, წინა წლის საერთაშორისო შედეგების გათვალისწინებით ფავორიტი „დინამო“ იყო, განმეორებითი შეხვედრა თბილისში უნდა ჩაგვეტარებინა, თუმცა, მოსკოვში ისეთი სხვაობით დავმარცხდით, ფაქტობრივად, პირველივე მატჩის შემდეგ დავკარგეთ ფინალში გასვლის შანსი (59:76). კარგად მახსოვს, მოსკოვური შეხვედრა პოკეის მოედანზე გაიმართა. ერთ ეპიზოდში არმენაკ ალაჩაჩიანი ბურთის გადასარჩენად პირითი ხაზისკენ გადახტა, თავი ვერ შეიმაგრა და ფიცარნაგიდან გადასული ყინულზე გაცურდა. იმდენად ცუდად დაცა, შეგვეშინდა, სერიოზული ტრავმა არ მიეღო, თუმცა, ყველაფერი კარგად დასრულდა.

განმეორებით თამაშში, რისკზე წავედით, ან უნდა დიდი სხვაობით მოგვევო, ან ასევე დავმარცხებულიყავით. არც არმიელებმა დაგვითმეს რამე და საბოლოოდ ანგარიშში მინიმალური სხვაობა დაფიქსირდა (79:78 ცსკა-ს სასარგებლოდ). რომ არა მოსკოვში არასახარბიელოდ ჩატარებული 40 წუთი, ჩემპიონთა თასის ფინალში ისევ მადრიდის „რეალი“ გველოდა, რომელ-საც ცსკა-მ სამმატჩიან დაძაბულ ბრძოლაში აჯობა.

მოვლენებს რეალურად რომ შევხედოთ, ცსკა არათუ საბჭოთა კავშირში, ევროპაშიც საუკეთესო გუნდი იყო. მასში ხომ საბჭოეთის საუკეთესო კალათბურთელები იყვნენ თავმოყრილნი. სსრკ-ის კალათბურთის ფედერაცია სწორედ არმიული კლუბის გაძლიერებაზე მუშაობდა. თუ სადმე მაღალი დონის მოთამაშე გამოჩნდებოდა, უმაღ ცსკა-ში მიჰყავდათ.

ასე გადაიყვანეს არკადი ბოჩქარიოვი „სპარტაკიდან“, მიხაილ სემიონოვი და ვიქტორ ზუბკოვი – როსტოვიდან, არმენაკ ალაჩაჩიანი და უვაის ახტაევი ყაზახეთიდან... სხვათა შორის, უვაისი ჩრდილოკავკასიელი იყო, რომლის მშობლები შუა აზიაში გადაასახლეს და მანაც ჯერ ყარაგანდაში დაიწყო თამაში, შემდეგ ალმა-ატაში გადავიდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ცსკა-დან შეთავაზებები ქართველებსაც გვქონდა და ბალტიისპირელებსაც, თუმცა, ყოველი წინადადების შემდეგ მოსკოველებს უარით ვისტუმრებდით, რადგან ჩვენს რესპუბლიკებშიც გვყავდა ძლიერი გუნდები („დინამო“, „უალგირისი“, ასკ) და ნამდვილად არ გვჭირდებოდა მაღალი მიზნების მისაღწევად ცსკა-ში თამაში. იმასაც ვითვალისწინებდით, რომ წამყვანი კალათბურთელის მოსკოვში წასვლა დიდად დაეტყობოდა ჩვენს მშობლიურ კლუბებს. ბალტიისპირეთიდან ცსკა-ში პირველები ესტონელები გადავიდნენ, მათ შორის გამორჩეული იაკ ლიპსო გახლდათ.

31:00

მას მერე, რაც კარიერა დავასრულე, ბევრმა წაიარა, საბჭოთა კავშირიც დაიშალა, მაგრამ ცსკა კვლავ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. მასში უკვე ქართველიც გამოჩნდა – მანუჩარ მარკოიშვილი, რაც ჩემი აზრით ხაზს უსვამს მანუჩარის მაღალ კლასს.

საერთოდ, უკეთესი იქნებოდა, ქართველი კალათბურთელების ერთ კლუბში თავმოყრა, რომელიც ძველი „დინამოს“ დარად ევროსარბიელზე მაღალი მიზნებისთვის იძრძოლებდა. მერწმუნეთ, ამჯერადაც მაღალი შედეგი გვექნებოდა, მაგრამ მას შემდეგ რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და საზღვრები გაიხსნა, გაჩნდა საშუალება ევროპის საუკეთესო კლუბებში კვალიფიკირებისა და მაღლებისა, ჩვენი მოთამაშე რაც უფრო ძლიერ გუნდში მოხვდება, მით უკეთესია.

სამწუხაროდ, ახალმა ცხოვრებამ ისიც მოიტანა, რომ ქართულ კლუბებს არა აქვთ საშუალება მაღალი კლასის კალათბურთელებს ფული უხადონ. სწორედ ამიტომ, გვიხარია ჩვენი მოთამაშეების NBA-სა თუ ევროპის გუნდების წამყვან პოზიციებზე ხილვა. მარკოიშვილმა ხომ პირველივე მატჩების შემდეგ დაიმკვიდრა ადგილი ცსკა-ს შემადგენლობაში. მას უკანახაზელისთვის საჭირო ყველა თვისება აქვს, დაცვაშიც მეტად საიმედოა და როგორც ლიდერს შეჰვერის, შეუძლია ინიციატივის საკუთარ თავზე აღება და თამაშის მოგება.

საქართველოს ნაკრების ყველა მატჩს ვადევნებ თვალს. ეროვნული გუნდის ყოველ გამარჯვებას ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი „დინამოს“ წარმატებად აღვიქვამ. როგორც წებისმიერ ქართველს, მინდა, გუნდმა რაც შეიძლება მეტს მიაღწიოს, ამიტომ ნურავინ დამძრახავს თუ ვიტყვი – საქართველოს ნაკრებში დადებითთან ერთად ბევრ უარყოფითსაც ვხედავ.



რა არ მომწონს? მთავარი მწვრთნელი, იგორ კოკოშკოვი, რომელთან პიროვნულად არაფერი მაქვს სანინაალმდეგო. არ მომწონს, რომ ეროვნულ გუნდს არაქართველი დამრიგებელი ჰყავს. მეორეც, მაქვს პრეტენზიები მის მიერ თამაშის წარმართვასთან დაკავშირებით.

მაგალითად: ძალიან ერიდება ექსპერიმენტებს, არადა, ნებისმიერი მწვრთნელი მუდმივად ახლის ძეგაში უნდა იყოს. როცა მეტოქე გაშიფრავს, მწვრთნელს უკვე ახალი რამ უნდა ჰქონდეს მოფიქრებული. იგორ კოკოშკოვი საქართველოს ნაკრებს 2008 წლიდან ხელმძღვანელობს და მას მერე მხოლოდ ერთ მატჩში გამოიყვანა ერთდროულად ზაზა ფაჩულია და გიორგი შერმადინი, ისიც დაახლოებით ხუთი წუთით. ეს იყო ჰოლანდიაში, რის შემდეგაც მწვრთნელმა თქვა – სიახლემ გაამართლაო. თუ გაამართლა, მას მერე რატომ არ მიუმართავს ასეთი ტაქტიკისთვის? როცა ორი ასეთი ტანმაღალი, მობილური ცენტრი გყავს, შენი ტაქტიკა უნდა მოახვიო მეტოქეს და არა პირიქით – მის შემოთავაზებულ სტრატეგიას აჰყვე.

არც დაცვითი ტაქტიკა გამოირჩევა მრავალფეროვნებით. გუნდი ძირითადად ზონურ დაცვაში დგას. არის შერეული ზონაც, მაგრამ მიმაჩნია, გაცილებით მეტს მივაღწევდით, მეტოქეს დაცვისას ხშირად თუ შევთავაზებდით მოულოდნელობებს. მართალია, 50-იანი წლების შემდეგ საკალათბურთო ტაქტიკა ძალიან დაიხვენა, მაგრამ მაშინ ჩვენი მწვრთნელები არაერთი სტრატეგიული სიახლის შემოქმედნი იყვნენ. უნდა გენახათ, როგორ უჭირდათ მეტქოებს ჩვენი დაცვის გარღვევა, „ქართულ ზონას“ რომ ვთამაშობდით – ზონაში ვიდექით და ამავე დროს ბურთიან კაცს პერსონალურად ვეთამაშებოდით. ასეთ დროს, მონინაალმდეგებს, პირველ რიგში ფსიქოლოგიურად უჭირდათ გადაწყობა.

ისე არ გაიგოთ, თითქოს ნაკრების დღევანდელ მწვრთნელს რამეს ვასწავლიდე, უბრალოდ მინდა, სწორედ კოკოშკოვის ფორმაციის ნაკრების მაგალითზე განვაზოგადო საკუთარი მოსაზრება – საქართველოს ნაკრებმა „ქართულად უნდა ითამაშოს“, მისგან მეტოქე ყოველ წამს სიახლეს უნდა

ელოდეს, მაღალ ტემპში მოთამაშე ქართველების დაწევა უჭირდეს...

ყველაზე დიდ შეცდომად ტემპის დაგდება მიმაჩნია. მართალია, თანამედროვე კალათბურთში პირველ შეტევას ისე ხმირად აღარ იყენებენ როგორც უწინ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენც უნდა დავივიწყოთ სწრაფი შეტევები. ეს ხომ ქართულ ხასიათშია, ჩვენს თამაშზე ყოველთვის დიდ გავლენას ახდენდა ემოციურობა, რაც ფეთქებადობას განაპირობებდა. არ ვამპობ, 40 წელი გუნდმა თავქუდმოგლეჯილი უნდა ირბინოს, მაგრამ შესაძლებლობისთანავე შეიძლება პირველ სწრაფ იერიშზე გადასვლა. საამისოდ დღესაც შესანიშნავი კონტინგენტი გვყავს – ფორვარდები ვიქტორ სანიკიძე და თორნიკე შენგელია. მათ ხომ თვალის დახამხამებაში შეუძლიათ მოედნის მთელს სიგრძეზე გადაკვეთა, არც ბურთის ტარება უჭირთ. გვყავს ასევე მოძრავი ცენტრები, გიორგი შერმადინი და ზაზა ფაჩულია, რომლებსაც მოხსნის შემდეგ გარღვევაზე გასული თანაგუნდელისთვის ზუსტი პასის გაცემა ეხერხებათ.

საქართველოს ნაკრების პლუსად კი შემართება მიმაჩნია, რაც კალათბურთელებს ჯერაც არ დაუკარგავთ. მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, დიდი ხანი მოგვინია სანაკრებო წარმატებების ლოდინი. 2011 წლის ევროპის ჩემპიონატზე გასულ ჩვენს გუნდს უკვე ეტყობოდა თავდაჯერება, რის გარეშეც გრანდებთან შედეგის მიღწევა წარმოუდგენელია.

1962 წელს თბილისის „დინამომ“ ბაქოდან დაიმატა „ლეგიონერი“ ალექსანდრ პეტროვი. მაშინ სიტყვა ლეგიონერს ბრჭყალები ნამდვილად სჭირდებოდა, დღეს – არა: როგორც ვიცი, ნებისმიერ ნაკრებს ერთი ლეგიონერის დამატების უფლება აქვს. ისევე როგორც პეტროვი გამოგვადგა, ასევე გვადგებიან სანაკრებოდ ჩამოყანილი ამერიკელი კალათბურთელები.


ერთი უცხოელის დამატების წინააღმდეგი არა ვარ. პირიქით, შეიძლება გუნდი ძლიერი იყოს, მაგრამ ერთ რგოლში ჰქონდეს პრობლემა. ლეგიონერსაც სწორედ ისეთს აარჩევ, როგორიც გჭირდება.

ძალიან მომწოდა შემონდ უილიამსი, რომელსაც ზურგს NBA-ს გამოცდილება უმაგრებდა. მართალია, მას კლასით ვერ გაეჯიბრებოდა, მაგრამ საქართველოს ნაკრებს დიდი სარგებელი მოუტანა ტაირონ ელისმა. მას მერე ყოველ წელს ახალი ამერიკელი ჩამოგვყავს. არც ეს მიმაჩნია გამართლებულად – გუნდთან მოსარგებად ამერიკელს უფრო სჭირდება დრო. მისთვის ერთთვიანი ვარჯიშ-თამაში საკმარისი არ არის.

მეოცე საუკუნის 60-იანი წლებისა და ამჟამინდელ ცსკა-ზე მსჯელობამ თემიდან ნაწილობრივ გადაგვახვევინა: ჩემი დროის „დინამოზე“ ვლაპარაკობდი და მოულოდნელად თანამედროვე ეპოქაში, საქართველოს ნაკრებთან აღმოგჩინდი. ალბათ, არც ეს იყო შემთხვევითი, აკი აღვნიშნე – დღევანდელ ნაკრებში ძველ „დინამოს“ ვხედავ-მეთქი.

რა შედეგები აქვს ეროვნულ გუნდს, მკითხველს კარგად მოეხსენება. 60-იანების „დინამოს“ მიღწევაზე კი წიგნის ბოლოს ნაიკითხავთ, მანამდე გუნდში ერთი კალათბურთელის შემოსვლაზე მოგითხრობთ, რომელიც მალე იქცა ევროპული კალათბურთის ვარსკვლავად – ზურაბ საკანდელიძე.

მფრინავი
ზურაბ
საკანდელიძე



ქუჩა თორთ

მეტონია წერ

ზურაბ საკანდელიძის ძმა, ანზორი შედარებით უფროსი
იყო და პირველივე შეხვედრისთანავე რესტორანში
სასადილოდ დამპაციუა. ვისაუბრეთ „დინამოზე“
სხვადასხვა საკალათბურთო თემაზე და, რა თქმა უნდა,
ზურაზე - ანზორმა მითხრა, ჩემს ძმას შენ გაბარებო.
ან თქმა რად მინდოდა? - პირველივე ვარჯიშზე
დავრწმუნდი მის შესაძლებლობებში და თვალნათლივ
წამომიდგა ზურას მომავალი, ბრწყინვალე კარიერა.
ასეთი ნიჭის ადამიანს კი ახალგაზრდულ ასაკში
განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.

1962 წელს ევროპულ არენაზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო შეგვემატა გამოცდილება, თავდაჯერება, მაგრამ უფრო გაძლიერდნენ ჩვენი მეტოქეები. სხვადასხვა გარემოებები ერთ ჯაჭვად აიკინძა და სამი წელი ისე გავიდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მედლების გარეშე დაგრჩით. ამას ვერც ენთუზიაზმის განელებას დაგაბრალებ...

1964-65 წლების სეზონში კვლავ დავბრუნდით საპრიზო სამეულში, თუმცა, ყველაზე დაბალი სინჯის, ბრინჯაოს მედლები მოვიპოვეთ. მოსკოვის ცსკა პირველობას აღარავის უთმობდა, წამოინია უკრაინულმა კალათბურთმაც და 1965 წელს მეორე ადგილზე სწორედ კიეველები გავიდნენ.

ამასობაში, „დინამოს“ სამწვრთნელო შტაბშიც განხორციელდა ცვლილება – ოთარ ქორქია ლევან ინწკირველმა შეცვალა. გუნდში ნიჭიერი ახალწვეულებიც გამოჩნდნენ...

ვიდრე „დინამოში“ ჩაირიცხებოდა, ვიცოდით, რომ ქუთაისში თამაშობდა პერსპექტიული ახალგაზრდა ზურაბ საკანდელიძე. ასეთი კალათბურთელების სარბიელზე გამოსვლა ყოველთვის „დინამოში“ მოხვედრით მთავრდებოდა და ერთ დღესაც ზურიკო ჩვენს ვარჯიშზე გამოცხადდა.


მისი ძმა, ანზორი შედარებით უფროსი იყო და პირველივე შეხვედრის-თანავე რესტორანში სასადილოდ დამპატიუა. ვისაუბრეთ „დინამოზე“ სხვადასხვა საკალათბურთო თემაზე და, რა თქმა უნდა, ზურაბ საკანდელიძეზე – ანზორმა მითხრა, ჩემს ძმას შენ გაბარებო. ან თქმა რად მინდოდა? – პირველივე ვარჯიშზე დავრწმუნდი მის შესაძლებლობებში და თვალნათლივ წამომიდგა ზურას მომავალი, ბრწყინვალე კარიერა. ასეთი ნიჭის ადამიანს კი ახალგაზრდულ ასაკში განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. ზურიკოს ჩემი კეთილგანწყობა მუდამ თან სდევდა. ცხრა წლით უფროსი ვიყავი და, შეიძლება ითქვას, „დინამოში“ ჩემს „ფრთხებქვეშ“ გაიზარდა.

ზურაბ საკანდელიძე მოედანზე რას წარმოადგენდა, ქართველ გულშემატკივარს კარგად მოეხსენება. კარიერის დასაწყისშივე იოლად დაიმკვიდრა ადგილი „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში. უკანა ხაზში მე და ზურავთამაშობდით. მის მონაცემებს საუკეთესოდ ვიყენებდი:

მოგეხსენებათ, თბილისელები საბჭოთა კავშირში ყოველთვის ელვისებური იერიშებით გამოვირჩეოდით. მატჩიში, საერთო ქულების 20-30 პროცენტი პირველ შეტევაზე მოდიოდა. ჩვენს გუნდში რეაქტიული საკანდელიძის გამოჩენის შემდეგ მოწინააღმდეგებს საქმე კიდევ უფრო გაურთულდათ. თუ სხვა თანაგუნდელს საკუთარი ნახევრიდან პასა პირდაპირ ხელში ვაძლევდი, ზურიკოს ორი მეტრით წინ ვაწვდიდი, რადგან მისი სისწრაფე გარანტია იყო იმისა, რომ ბურთს აუცილებლად დაიჭერდა. თამამად შემიძლია ვთქვა, საკანდელიძე იყო ყველაზე სწრაფი კალათბურთელი, რომელსაც ჩემს გვერდით უთამაშია.

მიხარია ისიც, რომ ჩემი მისდამი ყურადღებას უკვალოდ არ ჩაუვლია. როცა ზურა ვარსკვლავი გახდა, საბჭოთა კავშირის, მსოფლიოს ჩემპიონა-

სამწვრთნელო
საქმიანობისას



ტები და ოლიმპიადა მოიგო, ყოველ ინტერვიუში მახსენებდა: რომ შეეკითხებოდნენ, ვინ იყო საუკეთესო პარტნიორი, ჩემზე მიუთითებდა. შეიძლება ეს ჩემი მხრიდან ზედმეტად ამაყად უღერდეს, არც უნდა იწერებოდეს, მაგრამ მიხარია, რომ ზურაბ საკანდელიძის მწვერვალისკენ სვლაში მოკრძალებული წვლილი მეც მიმიძღვის.

ზურიკოს გამოჩენიდან მომდევნო წელს „დინამოში“ ქუთაისიდან კიდევ ერთი მომავალი ვარსვლავი ჩაირიცხა – მიხეილ ქორქია. იგი თავიდან სათადარიგო იყო. ჩემი სიმპათია მიშამაც პირველივე შეხვედრიდან დაიმსახურა.

მას კარგად ესმოდა კალათბურთის არსი და იცოდა, დაცვაში საიმედო თამაშის გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევდა. ამიტომ, ხშირად მოდიოდა და მეკითხებოდა – ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში როგორ მოვიქცე, რა გავაკეთოო. გამოცდილებას ხალისით ვუზიარებდი და მისმა მონდომებამ სასიკეთო შედეგი გამოიღო – მიშა ძლიერ დამცველად ჩამოყალიბდა.

არც შეტევაში თამაში უჭირდა და ლოგიკურია, რომ მისი და საკანდელიძის გარჯა მხედველობიდან არ გამორჩენიათ საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელებს. თითქმის ათწლეულის განმავლობაში საბჭოთის ნაკრების უცვლელი წევრები იყვნენ და ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვების მთავარ შემოქმედებად იქცნენ: 1972 წლის ოლიმპიადის ფინალში საბჭოთა კავშირმა აშშ რომ დაამარცხა მიშა და ზურა სასტარტო ხუთეულში თამაშობდნენ.

33:00

28 წელი რომ შემისრულდა, კარიერის დასრულებაზე პირველად მაშინ დაგვიქრდი. სიმართლე გითხრათ, რას ვფიქრობდი ზედმიწევნით აღარ მახსოვს, თუმცა, იმ დროინდელი სურათის აღდგენაში 1965 წლის გერმანული გაზეთი „დოიჩერ სპორტეხო“ დაგვეხმარება, რომელშიც ჩემი ინტერვიუ გამოქვეყნდა:


„ბუქარესტის დინამიადაზე გამარჯვების შემდეგ კალათბურთიდან წასვლაზე სერიოზულად დავფიქრდი. თუმცა, თბილისში დაბრუნების შემდეგ შევიტყვე, რომ „დინამოს“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მოწვევა მოუვიდა, დაიგეგმა რამდენიმეატჩიანი ტურნე. სწორედ ამ ამბავმა შემაცვლევინა გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ გერმანელ კალათბურთელთან მეგობრული ურთიერთობა მქონდა, გერმანიას არ ვიცნობდი, რადგან ჩემს მეგობრებს ძირითადად საბჭოთა კავშირში ვხვდებოდი. გრდ-ში ჩასვლა კი არ მიწევდა.“

„დოიჩერ შპორტეხოს“ უურნალისტი გვახსენებს, რომ გერმანიაში ჩასულს პირველი მატჩის გამოტოვება მომიხდა – მაღალი სიცხეების გამო დასუსტებული ვიყავი. იგი იქვე დაინტერესდა: – რატომ გადაწყვიტეთ კარიერის 28 წლის ასაკში დასრულება, საქართველოში ამ ასაკშის სპორტსმენები უკვე ხანდაზმულებად ითვლებიან?



მეულეოსთან თამარ
გამსახურდიასთან

— ასაკი მთავარი არ არის, — მიუუგე, — გადამწყვეტია შესაძლებლობები. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებში პირველად 1957 წელს გამომიძახეს. თავიდან მე-14 კაცი ვიყავი, ხუთეულში მოსახვედრად სამწლიანმა შრომამ მომიწია. შანსი მომეცა თუ არა, მწვრთნელებს დაუმტკიცე, რომ ხუთეულში ადგილს ვიმსახურებდი. იმ პერიოდში სსრკ-ში კარგ გამთამაშებლად ვითვლებოდი. ეს შედეგებზეც აისახა, ევროპის 1959 და 1963 წლების ჩემპიონატებზე დიდი წელი შევიტანე გამარჯვებაში, ხოლო 1958 წელს მაირანის თასის საუკეთესო კალათბურთელად დამასახელეს. 1963 წელს კი ნაკრებში კარგი ახალგაზრდა გამთამაშებლები გამოჩნდნენ.



და გზა მათ დავუთმე. გავიდა კიდევ ორი წელი და „დინამოშიც“ მოიყარა თავი ნიჭიერმა თაობამ. დროა ჩემი ადგილი იმათ სასარგებლოდ გავათავი-სუფლო.

გერმანულ გაზეთს ისიც ვუთხარი, რომ კალათბურთის მოედანთან დამ-შვიდობება მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი და ამას, ალბათ საქართველო-ში დაბრუნების შემდეგ გავაკეთებდი.

ადრე თუ გვიან, ნებისმიერი სპორტსმენის კარიერაში დგება მომენტი, როცა გვერდზე უნდა გადგეს და ადგილი ახალგაზრდებს დაუთმოს. ეს მო-მენტი ჩემს კარიერაში შედარებით ადრე დადგა, რაც დიდნილად ჩემი და-ოჯახებით იყო განპორობებული. ვიქორწინე თამარ გამსახურდიაზე. ჩვენ დიდი სიყვარული გვაერთიანებდა, რაც თუნდაც იმაში გამოიხატა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მეორედ აღარ დავოჯახებულვარ. არადა, ძა-ლიან ახალგაზრდამ დამტოვა.

თანამედროვე ავტობიოგრაფიულ წიგნებში ბევრი უცხოელი ვარსკვლავი ლაპარაკობს საკუთარ გრძნობებზე, მეუღლებზე, მათთან პირველ შეხვედ-რაზე, ურთიერთობებზე. უამრავ დაფარულს გვიმხელს... მე კი მიმაჩნია: ღმერთისგან ისეა მოაწყობილი ორთა სიყვარული, რომ მისი გაზიარება ახლო მეგობართანაც კი არ შეგიძლია და იფარგლები ზოგადი ფრაზებით. შეიძლება, მყითხველს გურამ მინაშვილის პირად ცხოვრებაზე უფრო მეტის წაკითხვა სურდეს, მაგრამ იმედი მაქვს, გამიგებს – ჩემი სიყვარული ჩემს გულის კუნჭულშია და მის საჯაროდ გამოტანას ნამდვილად ვერ შევძლებ.

კალათბურთისთვის თავის დანებების ერთ-ერთ მიზეზად მგზავრობით გადაღლის ფაქტორიც შეიძლება დავასახელო. პილოტებს საათებს უთვლი-ან, რამდენი აქვთ გატარებული ჰაერში. მეც ასე ვიყავი, ხშირი მგზავრობა მიწევდა და ვერ ვიტანდი თვითმფრონავის ბენზინის სუნს, ერთი შემთხვე-ვის გამო შიშის გრძნობაც გამიჩნდა...

ზემოთთქმულის გარდა კარიერის დასრულებას ხელი შეუწყო მოტი-ვაციის კლებამ. რაც საბჭოთა კავშირში მოთამაშე სპორტსმენს შეეძლო, ყველაფერი მოგებული მქონდა – ჩემპიონატი, ჩემპიონთა თასი, ევროპის პირველობა, მსოფლიო ჩემპიონატი (არაოფიციალურად)... რაც შეეხება ოლიმპიადას, 60-იან წლებში ოლიმპიურ შეჯიბრებაში ამერიკელების და-მარცხება ნარმოუდგენელი იყო. თუმცა, კალათბურთი ჩემი ცხოვრების ნა-წილად იქცა და იოლი სულაც არ იყო ერთი ხელის მოსმით დამშვიდობება. „დინამოდან“ წასვლის შემდეგ ორ სხვადასხვა გუნდში ვითამაშე და გარკვე-ული პერიოდის შემდეგ ჩემს გუნდს ისევ დავუბრუნდი. ოღონდ დროებით.

კარიერის დასრულების შემდეგ სამწვრთნელო საქმიანობას შევუდექი. ბავშვებს 55-ე სკოლაში ვავარჯიშებდი, თუმცა დიდხანს არ მიშუშავია... მწვრთნელის პოსტს მოგვიანებით კიდევ დავუბრუნდი: ტექნიკურ უნივერ-სიტეტში ფიზკულტურის კათედრის გამგეობას ამავე სასწავლებლის გუნ-დის მწვრთნელობას ვუთავსებდი, მაგრამ ამჯერადაც მალევე დავასრულე სამწვრთნელო კარიერა. მწვრთველობა არ აღმოჩნდა ის საქმე, რომელსაც ცხოვრების ბოლომდე მივყვებოდი.



„დინამი“ ტრაქთაან

ჩავნერე – ფრენის შიში გამიჩნდა-მეთქი. ეს ერთმა შემთხვევამ განაპირობა: მოსკოვიდან თბილისში ვპრუნდებოდი. კავკასიონს რომ მიუჟახლოვდით, საპარო ორმოში ჩავარდნა... „ორმოში ჩავარდნა“, თანაც საპაროში შეიძლება მარტივად უღერდეს, მაგრამ რეალურად საქმე სხვაგვარად იყო, ფრენის დასრულების შემდეგ მფრინავებმა გადარჩენა მოგვილოცეს, ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათად ხდება და ყოველთვის კარგად არ სრულდება.

განსაკუთრებით მძიმედ განვიცადეთ ეს ამბავი უკანა სალონში, ღვედების გარეშე მსხდომებმა. თვითმფრინავმა კუდი ისე მოიქნია, რომ სხვადასხვა სკამებში გადავვარდით. ჩემი ადგილიდან რამდენიმე სავარძლით უკან, ერთი ქალბატონის გვერდით აღმოვჩნდი. ჯერ ჩემკენ გამოიხედა, შემდეგ დაბლა დაიხედა და მიმითითა – აგერ, ჩემი ფეხსაცმელი გდია და თუ არ შენუხდებით, მომანოდეთო...

გაოცებულმა შევხედე, ფეხსაცმლის დრო იყო?! – ჯერაც არ ვიცოდით, რა ბედი გვენია, გადავრჩით თუ დავილუპეთ...





მუსიკის და მუსიკის

ამბობენ, გიორგი გეგეშიძემ საბჭოთა კავშირის
პირველ პირს, ნიკიტა ხრუშჩოვს სპორტის სასახლის
რეალური პროექტი დაუმატა, რაღაც იცოდა,
მოკოვი პერიოდიაში ასეთი მასშტაბური დარბაზის
გშენებლობას არ მოიწონებდა...

კარიერის ბოლოს მადლობა საქმით გადავუხადე ჩემს მწვრთნელ მიხე-ილ კეკელიძეს, რომელიც პოლიტექნიკური ინსტიტუტის „ბურევესტნიკს“ წვრთნიდა. ეს გუნდი უმაღლესი ლიგის კარიბჭესთან იყო მიმდგარი და თუ ბოლო ტურმშიც წარმატებით იასპარეზებდა, მომავალ სეზონში თბილისის „დინამოსთან“ ერთად უმაღლეს ეშელონში თამაშის უფლებას მოიპოვებდა.

გადამწყვეტი ტური ბაქოში გაიმართა. მე და ანზორ ლეუავა „ბურევესტნიკთან“ ერთად აზერბაიჯანში გავემგზავრეთ და დიდი ბრძოლის გა-დატანა მოგვიწია ვიდრე მიზანს მივაღწევდით. რთული შეხვედრები რომ გვქონდა მახსოვს, მაგრამ პერიპეტიებზე ვერაფერს მოგითხოვთ. მთავარი მატჩი სვერდლოვსკის გუნდთან ჩავატარეთ, რომელიც „ბურევესტნიკს“ უშუალო კონკურენტი იყო.

გავიმარჯვეთ, ჩვენი ინსტიტუტის გუნდი უმაღლეს ლიგაში გადავიყვა-ნეთ და ისევ „დინამოს“ დავუბრუნდით.

1967 წლიდან „დინამოში“ აღარ ვთამაშობდი, მცირე ხნით ტტუ-ში გა-მოვდიოდი. არ დავმალავ – ჯამაგირისთვის, რადგან იგი ოსტატების გუნდი არ იყო, ძირითადად თავისი პროფილის საწარმოების გუნდების საკავშირო სპარტაკიადებზე მონაწილეობდა.

ტტუ-ს საკალათბურთო გუნდი სპორტსაზოგადოება „სპარტაკს“: ეკუთ-ვნოდა და ერთ ზაფხულს სწორედ სპარტაკიადაზე გავეშურეთ მაშინდელ სტალინგრადში, რომელსაც ახლა ვოლგოგრადი ჰქვია. რა შედეგით დავ-ბრუნდით თბილისში ამას ახლა დიდი მნიშვნელობა არა აქვს, იმ ვოიაჟიდან ერთი შემთხვევა მახსენდება:

სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ თბილისური განყოფილება მაშინ იმ-დენად სუსტი იყო, რომ რუსეთში გასამგზავრებლად ახალი ეკიპირების ნაცვლად ძეველი დაგვირიგეს. არ გეგონოთ, ნახმარი იყო, უბრალოდ ნაც-რისფერი კოსტუმები ზამთრისთვის გახლდათ შეკერილი – ძალიან თბილი იყო, ზაფხულში ვერ ჩაიცვამდი. ჩვენ კი გაგანია ზაფხულში ვიყავით სტა-ლინგრადში.


1968 წელს თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა რომ მოიპოვა, გუნდში აღარ ვიყავი. თუმცა, მომდევნო წელს საქართველოს ნაკ-რებში დავბრუნდი და სპარტაკიადაზე ვიასპარეზე.

ამ შეჯიბრების წინ მაშინდელმა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ამავე დროს ვაჭრობის მინისტრმა თოხაძემ თავის კაბინეტში დამიბარა და მითხრა: გვჭირდები, გვინდა სპარტაკიადაზე ნაკრებმა მაღალი შედეგი უჩვენოს და იქნებ დაეხმაროთ. თან დაამატა – რომ ჩამოხვალ „ვოლგას“ დაგახვედრებო. სიტყვის შესრულების სანაცვლოდ ვაჭარი პარტნიორს ულ-ვაშს რომ აძლევდა, თოხაძეც დაახლოებით ასე დამპირდა.

სპარტაკიადაზე ისე ვერ გამოვედით, როგორც გვსურდა, შედეგი ვერ ვაჩვენეთ და საქართველოში უმედლოდ დავბრუნდით. ვაჭრობის მინის-ტრმა პირობა დაარღვია და მანქანა აღარ მომცა. თუმცა, „ვოლგა“ მაინც



გაგრაში



“დაინამიკ” შეკრუბაზე

გამოვიყვანე, ოლონდ მაშინდელი ცეკას მდივნის, გიორგი გეგეშიძის დახმარებით. იგი საოცარი კაცი იყო, სწორედ მისი დამსახურებაა სპორტის სასახლე ასეთი ფართო მასშტაბებისა რომ აშენდა. როგორც ამბობენ, გიორგი გეგეშიძემ საბჭოთა კავშირის პირველ პირს, ნიკიტა ხრუშჩოვს სპორტის სასახლის რეალური პროექტი დაუმალა, რადგან იცოდა, მოსკოვი პერიფერიაში ასეთი მასშტაბური დარბაზის მშენებლობას არ მოიწონებდა...

35:00

აქტიური სპორტსმენობისას ჩემი კალენდარი ჩვეულებრივი ადამიანის კალენდრისგან განსხვავებული იყო – მასში წითელი ხაზით სათამაშო დღეები აღინიშნებოდა. წელი პირველი იანვრიდან კი არა, ადრეული გაზაფხულიდან, საკალათბურთო სეზონის გახსნასთან ერთად იწყებოდა...

კარიერის დასრულების შემდეგ ჩემი კალენდარიც შეიცვალა, ოლონდ ჩვეულებრივს მაინც არ ემთხვეოდა: ყოველ წელს ჩემი ცხოვრება აგვისტოდან აგვისტომდე, ლესელიძიდან ლესელიძემდე თარიღდებოდა. ყოფილ სპორტსმენებთან, მეგობრებთან ერთად ტრადიციად ვაქციე ზაფხულის ბოლო თვეს ლესელიძეში დასვენება. მოდიოდნენ ხელბურთელები, ფეხბურთელები, მოჭიდავები. ჩვენთან იყო ხელბურთელი იმედო ფხაკაძე, მოჭიდავე ლევან თედიაშვილი ოჯახთან ერთად, „ვრემიას“ კორესპონდენტი თენგიზ სულხანიშვილი...

ერთოვანი საგზური ძვირი არ ღირდა, პროფესიონებიდან დაბალ ფასში შეიძლებოდა შეძენა. თუმცა, მარტო ხომ არ წახვიდოდი, ოჯახთან ერთად გასამგზავრებლად და დამატებითი ხარჯებისთვის 5 ათას მანეთამდე გვჭირდებოდა.

არც გემრიელი კერძები იყო ძვირი, მაგალითად, გოჭი 25 მანეთი ღირდა. ხილეულში დიდ პატივს ვცემ ლელვსა და საზამთროს. ლესელიძეში იმიტომაც მიყვარდა ჩასვლა, რომ იქ ძალიან გემრიელი ლელვი გვხვდებოდა. სოხუმელას უწოდებენ.

დილას ადრე ვდგებოდით ხოლმე. ოთახიდან გამოსულს იმედო ფხაკაძე შემეჩესა და მითხრა:

- გურამ, ჩემს გარეშე მოგინევთ დასვენება, თბილისში ვპრუნდები.
- როგორ? გუშინ სხვა აზრზე იყავი, ლამით რამ მიგალებინა ასეთი გადაწყვეტილება? – ვკითხე გაკვირვებულმა.
- ნაცნობებმა პოკერის სათამაშოდ დამპატიუეს და დასვენებისთვის გამოყოფილი ფული სულ წავაგე.
- რამდენი?
- 5 ათასი მანეთი.
- დღეს დარჩი, პოკერს ვითამაშებ და ვეცდები არც მე წავაგო ბევრი. თუ მოვარტყი, იქნებ შენი დასარჩენი ფულიც მოვიგო, – ვუთხარი იმედოს და იმ დღისით შეღამებამდე პოკერის მაგიდასთან გავატარე.
- საქმე კარგად წავიდა, 5 ათასი არა, მაგრამ 4 ათასი, თავისი კუდით კი



მოვიგე, გახარებულ იმედო ფხაკაძეს ჩავუთვალე და მანაც შეფუთული ჩანთა ხელახლა ამოალაგა. მართალია, მეც დიდ რისკზე წავედი, მაგრამ ამის გამო კიდევ უფრო სასიამოვნო იყო დანაპირების შესრულების განცდა.

კალათბურთელობისას აზარტულიც ვიყავი და ემოციურიც, მაგრამ ისიც გემახსოვრებათ, რომ დავწერე – ზედმეტი არასოდეს მომდიოდა და მსაჯს

ვინ მეტხანს დაიჭერს „ჯუთხეს“.
ვეჯიბრები ვაჟა ქლენტსა
და ილო მირიანაშვილს



კარიერაში არასოდეს გავუძევებივარ. პოკერსაც გართობის მიზნით ვთამა-შობდი.

აზარტთან გამკლავება იოლი საქმე როდია... უახლოესმა მეგობარმა ზუ-რაბ ჯობენავაშ 50 ათასი მანეთი წააგო. სხვათა შორის, იგი რამდენიმე სპორტული წიგნის ავტორი გახლდათ.



ერთხელაც შემომჩივლა – გურამ, ამ პროცენტის გადახდას ველარ ავუ-დივარო. გამოვყითხე და აღმოჩნდა, რომ პროცენტის სახით ყოველთვიურად 5 ათას მანეთს იხდიდა. ეს თანხა დღევანდელი საზომებითაა „მსუე“ და წარმოიდგინეთ, რაოდენ რთული იქნებოდა მისი გადახდა 30-40 წლის წინათ. ზურას რომ დავემშვიდობე, დავფიქრდი, რით შემიძლია დავეხმარო-მეთქი. გონებაში მოვხაზე გარკვეული სქემა და ზურაბ ჯობენავას მევახშეს მივადექი:

– ზურას გადასახდელ 50 ათასს ახლევე მოგცემ, – ვუთხარი, – ოღონდ შენ არ გამყიდო, მან იფიქროს, რომ პროცენტის გადახდას აგრძელებს. ყოველ თვე 5 ათასი მანეთი შემიგროვე და 2-3 თვეში ერთხელ გამოგარ-თმევ-მეთქი.

ალბათ, მიხვდით რა იყო ამ სქემის პლუსი: ზურას პროცენტი აღარ და-ერიცხებოდა და 10 თვეში ვალსაც დაფარავდა. ფული ერთიანად რომ არ გადამეხადა, 10 თვის შემდეგ 50 ათასი ისევ ვალად დარჩებოდა.

საქართველოში დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგას დავალიანებული იპოთეკარების პრობლემა. მევახშეთათვის ფულის გასტუმრების სანაც-ვლოდ ბევრი რჩება უსახლკაროდ. ამ საკითხის მოგვარება სხვადასხვა ხერ-ხით შეიძლება, მათ შორის ჩემი სქემით, თუმცა, საამისოდ საჭიროა სა-ხელმძიფოსა თუ მეცენატებს გაუჩნდეთ ხალხის დახმარების სურვილი. თუ ისინი მოინდომებენ, უამრავი მოქალაქე ამოისუნთქებს.

სანდრო გლურჯიძესთან,
ვლადიმერ უგრეხელიძესა
და ვაჟა ულენგითან



50 ათასი მანეთის ერთიანად გადახდის საშუალებას ჩემი სამსახური ნამდვილად არ მაძლევდა. კალათბურთელის კარიერა რომ დავასრულე, პროფესიონალური უნივერსიტეტისა და პიდროტექნიკურ მშენებლობათა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი ვიყავი და ჯამაგირიც უმცროსისთვის შესაფერისი მქონდა.

წიგნის დასაწყისშიც დავწერე, ენგურჭესის კაშლის მშენებლობაზე ვმუშაობდი, ბეტონის ხარისხს ვამოწმებდი-მეთქი. რადგან იგი მთლიანად ბეტონით შენდებოდა, აუცილებელი იყო ყოველდღიური კონტროლი, საუკეთესო ხარისხის ბეტონი უნდა ყოფილიყო.

1984-2006 წლებში კი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფიზკულტურის კათედრას ვხელმძღვანელობდი. ცხადია, არც იქ მქონდა ისეთი ხელფასი, 50 ათასი ერთიანად მომეგროვებინა, მეგობარს ვალი კალათბურთელობისას დაზოგილი ფულით გავუსტუმრე.

შეიძლება, ბევრმა იფიქროს, რომ თუნდაც ჩემპიონთა თასის მოგების-თვის მთავრობამ უხვად დაგვაჯილდოვა, მაგრამ ასე ნამდვილად არ იყო. ეგებ გაგეცინოთ კიდეც, ევროპის უმთავრეს საკლუბო ტურნირზე გამარჯვებისთვის მიღებული პრემიის ოდენობა რომ დაგისახელოთ. თუმცა, არ ვიჩქარებ, ჯერ სხვა რიცხვები გვაქვს ჩამოსაწერი – 1962 წლის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში, ნახევარფინალსა და ფინალში „დინამოს“ მიერ ჩაგდებულ-მიღებული ქულები...







პოეტური

მართის

უნგვილ

ჯგუფი

განმეორებითი შეხვედრის წინ დაირხა ხმა,
თითქოს ჩვენზე ზეწოლა განხორციელდა და
თამაშის დათმობა დაგვევალა. ეს ყველაფერი
საბჭოთა სპორტის ინცერტესების გათვალისწინებით
უნდა გაგვეკეთებინა, რაღაც იმ დროისთვის ცსკა
ჩემპიონთა თასის მოქმედი მფლობელი იყო და
თუინალში იგი უკეთ დაიცავდა ტიტულს. პასუხად,
მინდა დაბეჭითებით ვთქვა: ასეთი ზეწოლა
არ ყოფილა, ნამდვილად არავის მოუთხოვია
თამაშის წაგება. თბილისშიც გავიმარჯვეთ
(77:66) და თუინალის საგზური მოვიპოვეთ.



36:00

სიყმანვილეში დიდი ყურადღებით ვუდგებოდი ყოველ ვარჯიშსა თუ მატჩს. ჩანთას რომ ჩავალაგებდი, ბოლოს გულისყურით შევამოწმებდი, ფეხსაცმელი, პირსახოცი და სხვა საჭირო ნივთები ხომ არ დამრჩა-მეთქი. მგზავრობაზეც მე მიწევდა ზრუნვა. მაშინ, ძირითადი ტრანსპორტი ტროლეიბუსი იყო, რომლის ბილეთებით ჯიბეები გამოტენილი მქონდა.

„დინამოში“ მოხვედრის შემდეგ ბილეთებზე ფიქრი აღარ მიწევდა, გუნდში მუშაობდა პიროვნება, რომელსაც პირადად ევალებოდა მგზავრობასთან დაკავშირებული ყოველგვარი ფორმალობის მოგვარება. არც ჩვენ გვქონდა საფიქრალი – თვითმფრინავის ბილეთი სადმე არ დაგვრჩენოდა. ზემოთ ნახსენები პიროვნება ბილეთებს ერთიანად ყიდულობდა და აეროპორტში გვედებოდა.

არც თბილისი-მოსკოვი-უენევის ბილეთი ჩამვარდნია ხელში, არადა, მისი შენახვა, რელიქვის სახით, ურიგო არ იქნებოდა.

საკუთარ ჩანთაზე კი, ისევ ისე ვზრუნავდი, როგორც ყმანვილობისას. „ადიდასის“ შავი ჩანთა მქონდა. მართალია, ეს ფირმა დიდი ხნის დაარსებული იყო, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, სპორტის სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა დამხმარე დარგების განვითარებას. „ადიდასი“ და „პუმა“ წარმოებას სწრაფად აფართოვებდნენ.

მსოფლიოს საუკეთესო ბრენდების ეკიპირებაზე ხელი მხოლოდ მათ მიგვიწვდებოდა, ვისაც საზღვარგარეთ გვიწევდა გასვლა, სანაკრებო თუ საკლუბო თამაშებზე. საბჭოთა კავშირში კი ყველა დიდ ორგანიზაციას თავისი სამკერვალო ჰქონდა. მაგალითად: ჩვენ მოსკოვში, „დინამოს“ ქარხანაში შეკერილ ფორმას გვირიგებდნენ. სეზონის დასაწყისში რომ ჩაგვაბარებდნენ,

ბოლოსთვის, ნახმარი უკან უნდა დაგვებრუნებინა, რომ შემდეგ ისევ ახალი მიგველო.

შეძლახვას არა უშავდა, დაკარგვა კი იმას ნიშნავდა, რომ სანაცვლოდ ახალი ფორმა უნდა გეყიდა და დაკარგულის ნაცვლად ჩაგებარებინა.

3 ერავის გავაკვირვებ, თუ ვიტყვი, რომ საბჭოთა წარმოების ეკიპირება უეროპული თუ ამერიკული ბრენდების ნაწარმს ჩამოუვარდებოდა. ამასთან დაკავშირებით მეტად კურიოზულ მდგომარეობაში ჩავდექით მთავრობასთან შეხვედრისას. ამ ამბავს კურიოზს დღეს ვუწოდებ, თორემ მაშინ მეტად არასასიამოვნო მდგომარეობა შეიქმნა ვიქტორ ზუბკოვის ერთი ფრაზის გამო.

სსრკ-ის ნაკრების წევრები ერთ-ერთი შეჯიბრების წინ საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარებ რომანოვმა საგანგებო მიღებაზე მიგვიწვია. როგორც წესი, ვილაპარაკეთ ქვეყნისთვის ჩვენს მიერ ნაჩვენები შედეგების მნიშვნელობაზე და ა.შ. მოულოდნელად ზუბკოვი სკამიდან წამოდგა და წამოყრანტალა: რატომ ხდება ისე, რომ ჩვენს ქვეყანაში წარმოებული ყველაფერი ცუდია, საზღვარგარეთული – კარგი. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი წარმოების თასმების ფეხსაცმელში გაყრასაც ვერ ვახერხებ. თასმებიც კი ამერიკული მაქვსო.

ამ სიტყვებს წამიერი სიჩუმე მოჰყვა, მთავრობის წარმომადგენლებიც უხერხებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ და ჩვენც...

...საბოლოოდ ზუბკოვის დაუუფიქრებელი მოქმედება გუნდისთვის სასარგებლო აღმოჩნდა – შეჯიბრებაზე გამგზავრების წინ ახალთახალი ამერიკული ფეხსაცმელი დაგვირიგეს.

1962 წელს უკვე მქონდა მაღალი ხარისხის ამერიკული, „ოლ სტარის“ ფირმის სპორტული ფეხსაცმელი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძვირი ღირდა და „ოლ სტარები“ ყველას როდი ეცვა. მართალია, დღეს ტექნოლოგია წინ გაიჭრა და კალათბურთელებს საოცრად კომფორტული, მსუბუქი ბოტასი აცვიათ, მაგრამ 60-იანი წლებისთვის „ოლ სტარის“ პროდუქცია საუკეთესოდ ითვლებოდა.

მას მოსდევდა ჩინური სპორტული ფეხსაცმელი. ხარისხს ვერ დაუწუნებდი, ჩვენში პოპულარულიც იყო, გაცილებით უკეთესი, ვიდრე საბჭოური წარმოების ანალოგიური პროდუქცია.

რაც შეეხება ბურთებს, თავიდან უნგრული გვერნდა. ტყავისა იყო, რასაც შემდგომში ამერიკული რეზინის ბურთები ჩაენაცვლა. საბჭოთა კავშირის პირველობები სწორედ ამერიკულით ტარდებოდა. აშშ-დან ბურთები სეზონის დასაწყისში ჩამოჰქონდათ და ყველა გუნდს უნაწილებდნენ.

ასე და ამგვარად, ვეცადე, მკითხველს მეტ-ნაკლებად კარგი წარმოდგენა შექმნოდა, რით იყო გავსებული ჩემი ჩანთა. გეზიც იცით: უნევისკენ.

თუმცა, აკი, გითხარით, შვეიცარიისკენ მოსკოვის გავლით უნდა გავფრინდეთ-მეტექი. ეს შეგიძლიათ პირდაპირი მნიშვნელობითაც გაიგოთ და გადატანითითაც:

თბილისიდან უენევისკენ პირდაპირი ფრენა დღეს, 21-ე საუკუნის დამოუკიდებელ საქართველოში არ ხორციელდება და რა გასაკვირია, 1962 წელსაც ტრანზიტული რეისით (მოსკოვის გავლით) გავმგზავრებულიყავით ევროპის შეაგულისკენ.

გადატანით მნიშვნელობაში, აი, რას ვგულისხმობ: 1962 წლის ჩემპიონთა თასის ფინალი უენევაში გაიმართა, იქ კი ვერ მოვხვდებოდით, თუ ნახევარფინალში მოსკოვურ ცსკა-ს არ ვაჯობებდით. მანამდე იყო ბუქარესტი („სტიაუა“) და სტამბოლი („დარუშაფაკა“). მოკლედ, ჩვენს „რაციონში“ კი-დევ ერთხელ შევიდა საერთაშორისო მატჩები.

37:00

1960 წელი კვლავ გონიერაში მიტრიალებდა, განსაკუთრებით 1962 წელს ევროპის ჩემპიონთა თასის პირველი მატჩის წინ, რომლის სათამაშოდ რუმინეთში გავემგზავრეთ. ვფიქრობდი ინდივიდუალურ ჯილდოებზე, მარანოს თასზე, საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად ნაჩვენებ შედეგებზე, მაგრამ ქართველი სპორტსმენისთვის ყველაზე დიდი მიღწევა მაინც ჩემპიონთა თასის მოგება იქნებოდა. ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ „დინამო“ არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, ევროპაში საუკეთესო გუნდი გახდებოდა. ჩემპიონთა თასზე გამარჯვების განსაკუთრებულობა იქიდანაც ჩანს, რომ 1962 წლის შემდეგ (და არც მანამდე) ევროპაში საუკეთესო ვერც ერთი ქართული კლუბი ვერ გახდა. მხოლოდ კალათბურთში კი არა, სპორტის სხვა გუნდურ სახეობებშიც.

მაღალი მწვერვალების დასალაშქრად მზად ვიყავით, როგორც მენტალურად ასევე ტაქტიკურად. კალათბურთელებს ერთმანეთის გვერდით არაერთი წელი გვერდდა ნათამაშები და შეიძლება ითქვას, უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის.

ჩვენი ტაქტიკის სრულყოფისთვის მხოლოდ ერთი რამ იყო საჭირო: ტანმაღალი, ოღონდ მოძრავი ცენტრი, რადგან ევროპის წამყვან კლუბებს ყოველთვის ჰყავდათ ისეთი ტანმაღალი კალათბურთელები, რომელთა შეკავებისთვის ანზორ ლეუავაზე სწრაფი ცენტრი გვჭირდებოდა. ეს დანაკლისიც სათანადოდ შევავსეთ – საგანგებოდ ჩემპიონთა თასზე სათამაშოდ „დინამოს“ ბაქოდან დაემატა ალექსანდრე პეტროვი.

ფიბა-ს მაშინდელი დებულების თანახმად ჩემპიონთა თასზე მოასპარეზე კლუბს შეეძლო საკუთარი ქვეყნის სხვა გუნდებიდან ორი კალათბურთელი დაემატებინა. რა თქმა უნდა, ყველა ცდილობდა, შემადგენლობაში ის პოზიციები შეევსო, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა. თბილისის „დინამოში“ „ლეგიონერი“ მხოლოდ პეტროვი იყო, არადა, უენევაში ფინალის სათამაშოდ 11 კალათბურთელი გავემგზავრეთ. ჩემთვის დღესაც გაურკვეველია რატომ არ გვყავდა მეთორმეტე მოთამაშე... ამის გამო ხომ საქართველომ ჩემპიონთა თასის მფლობელი ერთი კალათბურთელი დაკარგა.

დღეს ამ თემაზე მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება. ვფიქრობ, მწვრთნელ, ოთარ ქორქიას გადაწყვეტილი ჰქონდა პეტროვის დარად კიდევ ერთი კალათბურთელის დამატება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის რომელიმე გუნდიდან. ეს ცსკა არ იქნებოდა, რადგან არმიელებიც ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ ჩემპიონთა თასზე, შეიძლებოდა მოსკოვის „დინამო-დან“, ან ლატვიური გუნდიდან დაგვემატებინა...

თუმცა, როგორც ჩანს, ჩვენმა მწვრთნელმა მასზე ბოლო მომენტში თქვა უარი, ან სულაც საბუთების მოწესრიგება ვერ მოასწრო მოთამაშემ, რომლის ვინაობას, ალბათ, ვერასოდეს გავიგებთ.

ცხადია, ოთარ ქორქიასთან არავითარი პრეტენზია არა მაქვს, მან მართლაც დიდი როლი ითამაშა გუნდის კიდევ უფრო შეკვრაში და მაღალი მიზნების მიღწევაში. თუმცა, უცნაური იყო მთავარი მწვრთნელის – გიორგი ავალიშვილის შეცვლის გარემოებები. როგორც გაზეთებიდან შევიტყვეთ, ბატონი გიორგი მთავრობაში დაუბარებიათ და უთქვამთ – გუნდი არ გემორჩილებათ, გავლენა დაკარგეთ, რაც შედეგებზეც ისახება და პოსტი უნდა დატოვოთო. ეს 1961 წელს მოხდა.

დღესაც თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გიორგი ავალიშვილის შეცვლა უფროსობის ახირება იყო, რადგან არც გუნდში იყო დაპირისპირება და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში შედეგიანადაც ვთამაშობდით. რაც შეეხება კალათბურთელთა მხრიდან მწვრთნელის დაუმორჩილებლობას, ეს საფუძველშივე უნდა გამოირიცხოს, რადგან ბატონი გიორგი ძალიან სუფთა ადამიანი იყო, ხოლო როცა ურთიერთობა პატიოსნებაზეა დამყარებული, სალი კლდესავითაა, მას ვერაფერი გატეხს.

ისტორია მეორდებოდა, 62-ში ჩემპიონთა თასი სწორედ ისე დავიწყეთ, როგორც 60-ში – რუმინეთის „სტიაუას“ დავუპირისპირდით. ამჯერადაც მეორე წრიდან ჩავებით გათამაშებაში და კვლავ თანაბარი ორთაბრძოლები გაჩაღდა.

პირველი შეხვედრა ბუქარესტში, მთავარ საფეხბურთო მოედანზე, ღია ცის ქვეშ გაიმართა. რუმინელები დიდი იმედით ელოდნენ შეჯიბრების სტარტს, ტრიბუნებზეც ბევრი გულშემატკივარი შეიკრიბა და აეროპორტშიც ვიგრძენით, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩვენთან მატჩს რუმინელები – ტრაპიდან ჩამოსვლა ვერ მოვასწარით, რომ ადგილობრივი მხატვრები დაგვხვდნენ და თითოეული ჩვენგანის სახე ჩაიხატეს. მეორე დღისით რუმინული პრესა ჩვენი კარიკატურებით იყო აჭრელებული.

იქაური ქომაგის იმედი სანახევროდ გამართდა: შეხვედრა დაბული გამოდგა და ბოლო წამებამდე თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, თუმცა, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა – 77:76. მეაფიოდ მახსოვს „სტიაუას“ ერთი მოხუცი ქომაგის ბოხი ხმა, რომელიც ერთგვარად დირიჟორის ფუნქციასაც ასრულებდა, ორგანიზებულ და ხმაურიან ქომაგობას უზრუნველყოფდა.

განმეორებითი მატჩის წინ „სტიაუა“ დიდი თავსატეხის წინაშე აღმოჩნდა: გუნდის გამოცდილი ლიდერი, გამთამაშებელი მიჰაი ნედეფი თვითმფრინავით არ მგზავრობდა.

რუმინეთიდან ყველგან მატარებლით დადიოდა, საქართველო კი ძალიან შორს იყო და ბუქარესტიდან თბილისამდე მგზავრობისთვის დიდი დრო იყო საჭირო. საბოლოოდ ნედეფმა მაინც გადაწყვიტა საქართველოში წამოს-ვლა, მატარებლით ჩამოვიდა და მატჩის წინ თანაგუნდელებსაც შეუერთდა. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, სულ ტყუილად იწვალა – რუმინელებს თბილისშიც მოვუგეთ (82:77) და ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში გავე-დით.

შემდეგი გაჩერება სტამბოლი იყო, სადაც „დარუშაფაკა“ გველოდა. თურქები რუმინელებზე ნაკლები ოპტიმიზმით როდი ელოდნენ „დინამოს-თან“ პაექრობას, მათაც თვალში ვეპატარავებოდით. ალბათ იმიტომ, რომ საბჭოთიდან მხოლოდ ცსკა-სა და რიგის ასკ-ს სახელი იყო ევროპაში გა-ვარდნილი და თბილისის „დინამოს“ ნაკლებად იცნობდნენ.

„დარუშაფაკასთან“ თამაშის შესახებ ნათელ წარმოდგენას თურქეთ-ში მცხოვრები ქართველების მონათხრობი შეგვიქმნის, რომლებიც მატჩის დასრულების შემდეგ კალათბურთელებს შემოგვეხვივნენ და საქართველოს შესახებ შეკითხვები დაგვაყარეს. როგორც გვითხრეს, სტამბოლის არენაზე ჩვენს ხმაურიანად მხარდაჭერას ერიდებოდნენ. არა იმიტომ, რომ დანარ-ჩენი გულშემატკივრისა ეშინოდათ, უბრალოდ არ გვიცნობდნენ და ფრთხი-ლობდნენ – ვაითუ ქართველებმა დიდი სხვაობით წააგონ და ჩვენც შევ-რცხვეთო. მატჩის ბოლოს კი ემოციები ვეღარ შეიკავეს და ჩვენთან ერთად გაიხარეს.

მიუხედავად იმისა, რომ „დარუშაფაკაში“ იმ დროისთვის თურქეთის სა-უკეთესო კალათბურთელები შეკრიბეს და არაფორმალურ თურქეთის წაკ-რებად აქციეს, მაინც დამაჯერებლად დავამარცხეთ (80:67).

შინ არცთუ მცირე სხვაობით წაგება სტამბოლელებისთვის მძიმე გადა-სატანი გამოდგა. იმდენად მძიმე, რომ განმეორებითი შეხვედრის წინაც ვერ მოახერხეს მდგომარეობიდან გამოსვლა. კალათბურთები კი ფსიქოლოგია ბევრს ნიშნავს. ასე და ამგვარად, „დარუშაფაკას“ თბილისის სპორტის სა-სახლეში უფრო იოლად ვაჯობეთ. ამჯერად კიდევ უფრო „მსუყე“ სხვაობით (84:49).

ნახევარფინალში საბჭოთა კლასიკა განმეორდა: თბილისის „დინამო“-მოსკოვის ცსკა. არმიელები ჩვენზე ძლიერები იყვნენ, ნარჩევი შემადგენ-ლობა ჰყავდათ და სულაც არ სჭირდებოდათ ახალ-ახალი ხრიკების გამო-ყენება ჩვენთან თამაშისთვის. დინამოელები კი ფაქტობრივად საბჭოეთის წაკრების – ცსკა-ს დასამარცხებლად საკუთარ თავს ზემოთ უნდა ავმხტა-რიყავით, მეტოქისთვის ათასგვარი ტაქტიკური სიახლე უნდა შეგვეთავა-ზებინა.

მოსკოვური შეხვედრის წინ ასეც მოვიქეცით. მწვრთნელს შევთავაზე: რადგან წინასწარ ცხადია, რომ არმენაკ ალაჩაჩიანი „ამენებება“, ფარქვეშ შე-ვალ და ცენტრის პოზიციაზე ვითამაშებ-შეთქი. ასეთ მოქმედებას, წესითა და რიგით შედეგი უნდა გამოელო, რადგან არმენაკზე 10 სანტიმეტრით მაღალი გახლდით და ფართან ახლოს მყოფს მისი წინააღმდეგობის დაძლევა არ უნდა



გამჭირვებოდა. ამ დროს კი ჩვენი ცენტრი სამწამიანი ზონიდან უნდა გასულიყო, თავისი კაციც გაეყოლებინა და სამოქმედო არეალი მე დამრჩენოდა.

მწვრთნელმა, ოთარ ქორქიაშ აზრი მოიწონა და თამაშის დასაწყისში მის რეალიზაციასაც შევუდექით, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: არ-მიელთა დაცვის გადალახვა რთული აღმოჩნდა და ფარქვეშ შესულს თანა-გუნდელები ბურთს ვერ მაწვდიდნენ. ერთხელ ვცადეთ, მეორედ, მესამედ, ბოლოსდაბოლოს ჩანაფიქრზე უარი ვთქვი და ჩემს პოზიციას, გამთამაშებ-ლობას დავუბრუნდი.

ერთმა ხრიკმა ვერ გაამართლა, მაგრამ მოსკოველთა დასამარცხებლად კიდევ უამრავი გვქონდა მოფიქრებული. ერთ-ერთი ვლადიმერ უგრეხელიძის ნახტომი იყო. მას კარგად გამოსდიოდა ეგრედწოდებული „მიშელოვ-კას“ (ქართულ შესატყვისად, ალბათ, კატა-თაგვობანა გამოდგება) თამაში – ჯერ ფარქვეშ ცენტრის პოზიციაზე შევიდოდა, შემდეგ დატრიალდებოდა და ფრთისკენ გადმოინაცვლებდა. ბურთს რომ მიიღებდა, ახტებოდა და ფა-რიდან ასხლეტით ბურთს კალათში ათავსებდა. ზოგჯერ დროზე ადრე რომ ახტებოდა, დავუძახებდი – რას აკეთებ „პტიცა“, ჰაერში გაჩერდებოდა და თუ სატყორცინი სივრცე ვერ უთავისუფლდებოდა, პასს გარეთ მიბრუნებდა.

უგრებელიძის შედეგიანობაში
მნიშვნელოვნად განატარება
ჩვენი ცხადა-სთან გამარჯვება



მოსკოვური შეხვედრაც ერთგვარად „კატა-თაგვობანაში“ მიიღია – ხან ერთი გუნდი დაწინაურდებოდა, ხან – მეორე. გადამწყვეტ მომენტში კი მეტი სიმტკიცე ჩვენ გამოვიჩინეთ და ცსკა მისავე მოედანზე 4 ქულის სხვა-ობით დავამარცხეთ (75:71).

უგრებელიძის თამაშის სტილი შემთხვევით როდი ვახსენე – მისმა შედე-გიანობამ (22 ქულა) მნიშვნელოვნად განაპირობა ჩვენი გამარჯვება.

მიუხედავად იმისა, რომ ცსკა ჩვენთან ისედაც ფავორიტად ითვლებოდა, საბჭოთა კავშირის კალათბურთის ფედერაცია და მსაჯთა კოლეგია მაინც ყველანაირად უწყობდა ხელს. ასეთ არათანაბარ პირობებში მოხვედრილი ნებისმიერი გუნდი დაჩაგრულად გრძნობდა თავს. არც თბილისის „დინა-მო“ იყო გამონაკლისი. იოლი წარმოსადგენია, რას არ იღონებდნენ რუსები, რომ საერთაშორისო არენაზე წარმატებისთვის ცსკა-ს მიეღწია. მითუმეტეს, რომ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში პერიფერიის გუნდს, თბილისის „დინამოს“ ხვდებოდა.

განმეორებითი შეხვედრის წინ დაირხა ხმა, თითქოს ჩვენზე ზენოლა განხორციელდა და თამაშის დათმობა დაგვევალა. ეს ყველაფერი საბჭოთა კავშირის საკეთილდღეოდ უნდა გაგვეკეთებინა, რადგან იმ დროისთვის ცსკა ჩემპიონთა თასის მოქმედი მფლობელი იყო და ფინალში იგი უკეთ დაიცავდა ტიტულს. პასუხად, მინდა დაბეჯითებით ვთქვა: ასეთი ზენოლა არ ყოფილა, ნამდვილად არავის მოუთხოვია თამაშის წაგება. თბილისშიც გავიმარჯვეთ (77:66) და ფინალის საგზური მოვიპოვეთ.

ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში განგება ვისაც არ უნდა მოე-
ჩოხოვა, ნამდვილად არაფერს დავთმობდით. გარიგება არასპორტულ
საქციელად მიმაჩნია და არასოდეს მიმიღია მონაწილეობა ჩანკობილ თა-
მაშში...

...თუმცა, არა! მახსენდება რიგის ასკ-სთან ერთი თბილისური შეხვედრა,
რომლის მოგების შემთხვევაში ლატვიელები ცსკას გადაასწრებდნენ.
ჩვენთვის კი სატურნირო თვალსაზრისით არც მოგება ნიშნავდა რამეს, არც
– ნაგება. ეს იყო ერთადერთი გარიგებული მატჩი, რომელშიც მონაწილეო-
ბა მივიღე.

მაგრანის ვალდმანისის მეურვეობა დამევალა. თამაშისას ჩავჩურჩულე:
მაგა, მიჩვენე მოძრაობა ერთ მხარეს და სწრაფად დატრიალდი მეორე
მხარეს. ისიც ასე იქცეოდა, ფარქვეშაც შედიოდა, მაგრამ ვერ აგდებდა.
ალბათ, იმიტომ, რომ წინასწარი შეთანხმების გამო კონცენტრაცია მასაც
აკლდა. მორიგი ტყორცნა რომ ააცილა, ვალდმანისი მოვიდა და ჩამჩრუ-
ჩულა – გურამ, რა ვქნა, არაფერი გამომდისო...

მთელმა სპორტის სასახლემ იცოდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა გამარჯვე-
ბას ლატვიელებისთვის და მათი გაჩემპიონება ყველას გაუხარდებოდა,
თუმცა, გულშემატკივარს მაინც არ მოეწონა ყველაფერის თვალნათლივ
დანახვა და პროტესტიც გამოხატა. შესვენებისას გასახდელში საქართვე-
ლოს ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული განყოფილების გამგე
შემოვიდა და გაცხარებულმა გვითხრა: ეს რა ხდება?! თუ მატჩის დათმობა
გინდათ, წააგეთ, მაგრამ იბრძოლეთ, ხომ ხედავთ, გულშემატკივარი რო-
გორ ხვდება ასეთ გულგრილ თამაშს!

სხვათა შორის, იმ დღეს, ვალერი ალთაბაევი მთელი გუნდის წინააღმ-
დებ წავიდა, მტკიცედ განაცხადა: „ცირკის ცხენი“ არა ვარ, გამოვალ და
კალათბურთს ვითამაშებო! იმ მომენტში ალთაბაევის პოზიცია არ მოგვე-
ნონა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან შემიძლია ვთქვა, რომ სწორად
მოქცა. სპორტსმენმა თამაში ნებით არასოდეს უნდა დათმოს.

...თუმცა, აქ არის ერთი მაგრამ: ჩვენი საქციელი იყო ერთგვარი პროტესტი,
პასუხი მოსკოვის არასპორტულ მოქმედებებზე, რის გამოც ხშირად დავჩა-
გრულვართ ქართველებიც და ლატვიელებიც.



მილოცვა მადრიდის
„რეალის“ კაპიტნისგან

ჩემი რობის

აუზი

ჩვენის!

ესპანელებით გავსებული არენა ოთხი ქართველი
ქომაგის წინააღმდეგ... ცრნიბუნებზე მხოლოდ ოთხი ჩვენი
თანამემამულე იჭდა, ოღონდ როგორი ქართველი! მათ
შორის იყო დიკა კელია თავის ფრანგ ქმართან ერთად.
დიკა ეროვნული დემოკრატიული პარტიის პირველი
ხელმძღვანელის სპირიდონ კედიას შვილი გახლდათ;
მაგრა ესწრებოდა გალაქტიონის მუზა მერი შერვაშიძე,
რომელიც ასევე ემიგრანტად ქცეულიყო; საქომაგოდ
მოვიდა შალვა დადიანის პირველი მეუღლე
ნინო ჩხეიძე; ქართული პროზის პატრიარქის,
გრიგოლ რობაქიძის მაცნების შემდგომი
შთაბეჭდილებები ხომ ნებისმიერმა
ქართველმა ქომაგმა იცის.

მოსკოვში ფიქრობდნენ, რომ ჩემპიონთა თასის ფინალში მადრიდის „რეალთან“ გამარჯვების შანსი ცსკა-საც კი დაბალი ჰქონდა, „დინამო“ ხომ წყალწალებული იყო და ფინალში ჩვენი გასვლით ჩემპიონთა თასს უკვე დაკარგულად თვლიდნენ. მხოლოდ ქართველებსა და ბალტიისპირელებს გაგვეხადა ნახევარფინალში ცსკა-ს დამარცხება. თუმცა, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ, როცა შანსებზე ვლაპარაკობთ, მადრიდელებთან მოგების ჩვენზე მეტი შანსი მოსკოვის არმიელებს მართლაც ჰქონდათ, მაგრამ, ეს მხოლოდ წინასწარ ჩანდა ასე.

შვეიცარიაში ფინალური მატჩის გასამართად გამგზავრების წინ მოსკოვში, საკავშირო სპორტკომიტეტში დაგვიპარეს. ვესაუბრეთ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელსაც ჯერაც ვერ მოენელებინა ცსკა-ს ჩემპიონთა თასიდან გამოთიშვა. ლაპარაკისას გარკვეული პოლემიკა წარმოიშვა და დღესაც არ დამვიწყებია მისი მეტისმეტად უტაქტო ნათქვამი: სხვათა შორის, არმიელი ალაჩაჩიანი შენზე უკეთესად თამაშობსო. თუ არა გულის მოსაოხებლად, სხვა რაში უნდა დასჭირვებოდა ამის თქმა?


დიდი დავა გამოიწვია 1962 წლის ჩემპიონთა თასის ფინალის გამართვის ადგილმა. მოგეხსენებათ, წესითა და რიგით შინ და გასვლაზე უნდა გვეთამაშა, მაგრამ ესპანეთში ფრანკოს რეჟიმი იყო, რომელსაც მტრული დამოკიდებულება ჰქონდა საბჭოთა კავშირთან და ესპანელებმა ჩვენს მადრიდში შეშვებაზე უარი განვიცხადეს – ვიზები არ მოგვცეს. მათვის სულ ერთი იყო, ქართველები ვიყავით, თუ რუსები, ესპანეთში საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს შესვლის უფლება არ ჰქონდათ.


ფიბა ორივე მხარესთან ანარმოებდა მოლაპარაკებებს და საბოლოოდ გადაწყდა – ვერცხლის კალათის მფლობელი ერთ მატჩს გაერკვია. შეხვედრის-თვის ნეიტრალური ქვეყანა – შვეიცარია შეირჩა. რადგან გავიმარჯვეთ, დღეს თამამად ვიტყვი, რომ ჩვენთვის შინ და გარეთ თამაშს ერთი შეხვედრა სჯობდა. ხომ შეიძლებოდა, თბილისში მოგების შემთხვევაში მადრიდში ყველაფერი ჩვენს საწინააღმდეგოდ წასულიყო და ორი მატჩის ჯამში „რეალს“ ეჯობნა?!

ქართული კალათბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა 29 ივნისისთვის დაინიშნა. ესპანელი კალათბურთელები უენევაში ერთი კვირით ადრე ჩავიდნენ, ჩვენ – დაახლოებით დღენახევრით ადრე. შესაბამისად, მოსამზადებლად და ახალ მოედანთან ადაპტაციისთვის მეტოქეს მეტი დრო ჰქონდა. რადგან ანშლაგს ელოდნენ, მატჩი შუაევროპული დროით 21:30 საათზე დაიწყო.

მანამდე მაქსიმალურად ვცდილობდით დასვენებას, კარგადაც გამოვიძინეთ და სადილის შემდეგ ქალაქშიც გავისეირნეთ. უენევაში, ერთ-ერთ მთავარ ხიდზე გადასვლისას გამურული კაცი შემხვდა, აშკარად ეტყობოდა, რომ ბუხრის მწმენდავი იყო. გაგონილი მქონდა, ამ პროფესიის ადამიანს თუ შეხვდები, ის დღე კარგად ჩაივლისო. მისი უენევის ხიდზე დანახვა სიკეთის ნიშნად აღვიკვი.

უგრებელიძე (ბურთით) და
ლეგავა (№10) „რეალის“
ნინაალმდევე





ვერ ვიტყვი, რომ ეს ცრურნმენაა, უბრალოდ ასეთ ნიუანსებს ყურადღებას ინტერესის მიზნით ვაქცევდი. მქონდა ერთი აკვიატებული ჩვევა: მონაწილეთა გვარების გამოცხადების შემდეგ, ორი-სამი წუთით კალათში ტყორცნას რომ დავასრულებდით, თუ სხვები სათა-დარიგოთა სკამისკენ მიდიოდნენ, მე მოედანს ისე არ დავტოვებდი, რომ არ ავმხტარიყავი და ბადეს ხელით არ შევხებიყავი.


უერვის დარბაზში („პატინუარ დუ ვერტენსში“) დიქტორმა გურამ მინაშვილი რომ გამოაცხადა, დარბაზს თვალი მოვავლე და კიდევ უფრო ავენთე. აკი, მოგითხრეთ, განსაკუთრებით კარგად მაშინ ვთა-მაშინდი, როცა მეტოქეს უფრო მეტი ქომაგი ჰყავდა-მეთქი. 29 ივნისს დარბაზი მთლიანად რძისფრად შეღებილიყო, დუღდა და გადმოდუღდა. „რეალის“ თეთრი დროშებიც ფრიალებდა და ესპანეთის წითელ-ყვითლებიც. მადრიდში ქომაგობა მაშინაც გვარიანად იცოდნენ. იქაური გულშემატკივრები ერთიანად დაძრულიყვნენ და შვეიცარიაში ჩამოსულიყვნენ.

ესპანელებით გავსებული არენა ოთხი ქართველი ქომაგის წინააღმდეგ... ტრიბუნებზე მხოლოდ ოთხი ჩვენი თანამემამულე იჯდა, ოლონდ როგორი ქართველი! მათ შორის იყო დიკა კედია თავის ფრანგ ქმართან ერთად. დიკა ეროვნული დემოკრატიული პარტიის პირველი ხელმძღვანელის სპირიდონ კედიას შვილი გახლდათ; მატჩის ესწრებოდა გალაქტიონის მუზა მერი შერვაშიძე, რომელიც ასევე ემიგრანტად ქცეულიყო; საქომაგოდ მოვიდა შალვა დადიანის პირველი მეუღლე ნინო ჩხეიძე; ქართული პრიზის პატრიარქის, გრიგოლ რობაქიძის მატჩისშემდგომი შთაბეჭდილებები ხომ ნებისმიერმა ქართველმა ქომაგმა იცის. მისი „გველის პერანგი“ საბჭოთა კავშირში აკრძალული ნაწარმოები იყო, თუმცა, 1962 წლისთვის წაკითხული მქონდა. გრიგოლ რობაქიძის შესახებ ბევრს ჰყვებოდა ჩემი სიმამრი კონსტანტინე გამსახურდია.

ისინი გერმანიაშიც ერთდროულად სწავლობდნენ და საქართველოშიც ხშირად ხვდებოდნენ.

ჩემპიონთა თასის ფინალის დღეს გრიგოლ რობაქიძესთან მიმართებაში ისეთი შეცდომა დავუშვი, საკუთარი თავისთვის დღემდე ვერ მიპატიებია. თუმცა, ეს მატჩის შემდეგ მოხდა, მანამდე უშუალოდ შეხვედრაზე ვილაპარაკოთ.





ეს იყო თამაში, რომელშიც კარგი ინდივიდუალისტებით დაკომპლექტებული ორი გუნდი დაუპირისპირდა ერთმანეთს. ჩვენს შემადგენლობაზე ნათელი წარმოდგენა უკვე შეგეძმნებოდათ, მადრიდის „რეალში“ კი ემილიანო როდრიგესი, სტენ მორისონი და უეინ ჰაიტაუერი თამაშობდნენ. სხვათა შორის, ჰაიტაუერს 1960 წელსაც შეიძლებოდა შევხვედროდი, მაგრამ რომის ოლიმპიადაზე ტრავმის გამო ვერ გაემგზავრა. „რეალში“ შემდეგ მან NBA-ს მიაშურა და მაღალ დონეზეც ითამაშა.

როცა მოედანზე ინდივიდუალურად ძლიერი კოლექტივები გადიან, ბევრს წყვეტს ერთი-ორი მოთამაშის მოქმედება. ჰაიტაუერმა 30 ქულა ჩააგდო, როდრიგესმა – 21. ასეთი ვარ-სკვლავებისთვის კი „დინამოს“ სხვა გზით უნდა ეჯობნა... ეს გზა დიდი ხნის ნაპოვნი გვქონდა – გუნდურობა: ქართველები სწრაფად კი ვთამაშობდით, მაგრამ არა სტიქიურად, იერიშზეც მნიუნდრად გადავდიოდით და თავსაც დალაგებულად ვიცავდით. გუნდური თამაშის მანიშნებელია ისიც, რომ ფინალში ხუთ კაცს მოგვიგროვდა ქულები 9-დან 17-მდე.

თავიდანვე ყველაფერი კარგად გამოვივიდა, პირველი ტაიმი 38:36 მოვიგეთ. საწყის 20 წუთში აშკარად დავინახეთ, რომ არც „რეალი“ იყო დაუძლეველი და არც ჰაიტაუერი – აუდებელი ციხესიმაგრე. კიდევ უფრო შეგვემატა სითამამე. ვიყენებდით ყველა კოზირს, შეტევას პირველ ფაზაშიც ვასრულებდით, თუმცა, მატჩის ბოლოს, როცა მადრიდებმა ფარქვეშ მიმავალი ყველა გზა ჩაკეტეს, შორეულ ტყორცნებზე გადავერთეთ. ამ საქმეში კი ბადალი არ ჰყავდა ალექსანდრე კილაძეს, მას ვლადიმერ უგრეხელიძეც შეეშველა და მატჩის ბოლოს, 30-ქულიანმა ჰაიტაუერმა მეხუთე ჯარიმა რომ მიიღო, გამარჯვებულიც გაცხადდა. 90:83 მოვიგეთ.

საოცარი შეგრძნება იყო, მეცხრე ცაზე ვიყავით სულიერადაც და ფიზიკურადაც!





ՃՐՈՑՈՂ ՌՈՅԱԺՈՒՊՅ

ქურ

ექიმიანი:

ქურქო!

მაშინ ჩვენგან ითხოვდნენ ყველა საქმეში
სახელმწიფო ორგანიზაციის გადაწყვეტილების მიღებას.
ეს სახელმწიფო საქართველო კი არა, საბჭოეთი
იყო. ბევრი დავკარგე, გრიგოლ რობაქიძეს რომ არ
შევხვდი. დარწმუნებული ვარ, ძალიან გაუხარდებოდა
კონსტანტინე გამსახურდიას სიძის გაცნობა, ამავე
დროს „დინამოს“ კაპიტანისა, იმ „დინამოსი“, რომელიც
რამდენიმე საათის წინ ევროპის პირველ გუნდად იქცა.



ფინალის „შემდგომი ბანკეტი.
მარცხნიდან მესამე დიკა კედია

39:00

მაშინ სათანადოდ ვერ ვაცნობიერებდით, რაოდენ დიდი რამ გავაკეთეთ საქართველოსთვის. სამაგიეროდ, კარგად აცნობიერებდა გრიგოლ რობაქიძე, რომელსაც ნამატჩევს ჩვენთან შეხვედრა მოსურვებია და უთქვამს, ამა და ამ გასასვლელთან დაგელოდებითო. თუმცა, ეს ამბავი მხედველობიდან არ გამოპარვია ჩვენს საბჭოელ მეთვალყურეს და დარბაზიდან სხვა გასასვლელით გაგვიყვანა.

უკვე გვიანი იყო, მაგრამ თვალის მოხუჭვა არავის გახსენებია, ბანკეტზე წავედით, საადაც სწორედ ის შეცდომა დავუშვი, რომელზეც ზემოთ დავწერე. შუა ქეიფისას დიკა კედია მოვიდა და მითხრა – გურამ, თამაშს გრიგოლ რობაქიძე ესწრებოდა, გარკვეული მიზეზების გამო მან თქვენთან შეხვედრა ვერ მოახერხა და შინ გაეშურა. გავიდეთ ბანკეტიდან, მასთან წაგიყვან და ბატონ გრიგოლს ძალიან გავახარებთო.

პირდაპირ ვამბობ – იმ მომენტში უჭკუობა გამოვიჩინე. დღევანდელი გადასახედიდან ცუდი საქციელი ჩავიდინე, რაც დღემდე სანანებლად მაქვს – დიკას უარი ვუთხარი. ალბათ, შემეშინდა, „კაგებედან“ მომაგრებულ პიროვნებას ჩემი არყოფნა არ შეემჩნია და მიზეზი არ გამოეძიებინა, რის გამოც ნაკრებში საქმე შესაძლოა, საკვანტაოდ გამხდომოდა...

მაშინ ჩვენგან ითხოვდნენ ყველა საქმეში სახელმწიფოერბრივი გადაწყვეტილების მიღებას. ეს სახელმწიფო საქართველო კი არა, საბჭოეთი იყო.



ბევრი დავკარგე გრიგოლ რობაქიძეს რომ არ შევხვდი. დარწმუნებული ვარ, ძალიან გაუხარდებოდა კონსტანტინე გამსახურდიას სიძის გაცნობა, ამავე დროს „დინამოს“ კაპიტნისა, იმ „დინამოსი“, რომელიც რამდენიმე საათის წინ ევროპის პირველ გუნდად იქცა.

ვინ იცის, რისი თქმა უნდოდა გრიგოლ რობაქიძეს, რისი დაბარება, რისი გამოტანება სურდა საქართველოში... ოთხ თვეში იგი უენევაში გარდაიცვალა. გრიგოლ რობაქიძეზე იმდენად იმოქმედა „დინამოს“ მადრიდელებთან გამარჯვებამ, რომ მეორე დღესვე მისწერა წერილი თავის დას, ლიდას. ამას მოჰყვა კიდევ ერთი წერილი, რომელშიც უფრო ვრცლად არის გაანალიზებული ჩვენი თამაში. შესაძლოა, კალათბურთის ქართველ გულშემატკივარს ეს წერილები წაკითხული აქვს, მაგრამ მიმართია, რომ იგი მხოლოდ კალათბურთის ქომაგისთვის არ არის, მთლიანად საქართველოზეა დაწერილი, ქართულ ხასიათზე და არ მინდა ჩემი ავტობიოგრაფიული წიგნი ქართული სიტყვის გამორჩეულ სპეციალისტის, გრიგოლ რობაქიძის მონათხობის გარეშე დავასრულო. უნივერსიტეტში მის ლექციებზე ტევა არ იყო, მსმენელები სხვა აუდიტორიებიდანაც შემოდიოდნენ...

ვინ იცის, მერამდენედ, მაგრამ უნინდელი ხალისით ვკითხულობ გრიგოლ რობაქიძის პირველ წერილს: „ძვირფასო ლიდა, გუშინ გაიმართა აქ შეჯიბრი კალათბურთელების, ქართველების და ესპანელების, პირველობისთვის ევროპაში. გაებული გექნება: გაიმარჯვეს ქართველებმა, შვიდი პუნქტით გაუსწრეს ესპანელებს (90:83).



მარცხი ესპანელებისთვის კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, რომ მათ არ ჰყოლოდათ ზანგი ჰიგტოუერ, გასაოცარი მოთამაშე (83 პუნქტიდან 32 მისია). ქართველები თამაშობდნენ აუდელვებლად, შეწყობილად, მეთოდურად – აյ სჩანდა უფუოდ ხელი მათი მწვრთნელის, ოთარ ქორქიასი.

ესპანელებს ეტყობოდათ აღელვება. თამაშობდნენ უფრო ცალკეულად, არც საერთო გეზი ჰქონდათ ჯეროვნად მომართებული.

მე ძალიან ვლელავდი. გასაგებია: სისხლი! ეს გამარჯვება ქართველების დიდად მნიშვნელოვანია. დავინახე ყამირთაგან ამოხეთქილი ძალა ქართული: მაგარი!

გრიგოლ რობაქიძე დისადმი მიწერილ მეორე წერილში პუნქტობრივად განმარტავს რატომ იყო ეს გამარჯვება მისთვის მნიშვნელოვანი:


1. აქესპანელები ბევრი არიან. ზოგიერთი ბუკებით მოვიდნენ, ყვიროდნენ – გასამხნევებლად თავისიანებისა, და ცხადია, ნერვების ასაშლელად ქართველებისა. ვაკვირდებოდი ამათ: ყვირილი, ხივილი, განგაში – არავითარ გავლენას არ ახდენდა მათზე. არ ამჩნევდნენ თუ არ იმჩნევდნენ, აღმოაჩნდათ გასაოცარი წვართი ხასიათი...

2. პირველ ნახევარში შეჯიბრისა ჩვენებმა 2 წერტით გაუსწრეს ესპანელებს. მე მჯეროდა, რომ ისინი პირველ შებმაში თუ ვერ გაიმარჯვებდნენ, არც დამარცხდებოდნენ, თანასწორ გამოვიდოდნენ ესპანელებთან ერთად. მეშინოდა მეორე შებმისა. საშინლად ვლელავდი. რატომ?

ცნობილია, რომ ქართველები საერთოდ პირველ შემართებაში „ხარჯავენ“ მთელ „ცეცხლს“ და შემდგომ ძალა აღარ ჰყოფნით, ცეცხლი აკლდებათ (მონლოლებს რომ არ გაეგოთ ეს თვისება ქართველთა, საქართველოს დაკურობა ძალიან გაუჭირდებოდათ. „ქართლის ცხოვრებაში“ არის სიტყვა შესახებ ამისა). ახლა ვიკითხოთ, რა მოხდა შეჯიბრის მეორე ნახევარში: ცეცხლი კი არ მოაკლდათ – პირიქით: კიდევ მოემატათ. ეს ისეთი დიდი ამბავია, რომ იგი სპორტულ გამარჯვებას სცილდება, ბევრად, ბევრად მეტია უკანასკნელზე. როგორც ქართველი – მე მხრებში გავიმართე!

3. გამარჯვებულები არ „აყვიჩილებულან“ გამარჯვებით. ერთი მათგანის სახეზეც ვერ ამოიკითხავდი: „ხომ გაჯობეთ!“ ზრდილად, რაინდულად, ქართველურად გაუნოდეს ხელი მოპირდაპირეთ – დაუკინებარი სურათია! გამარჯვების ნახევარი ქართველთა ხელმძღვანელს უნდა ვაკუთვნოთ: ოთარ ქორქიას. ვთქვათ პირდაპირ: მათს სულისჩამდგმელს. დიდი ოსტატი ყოფილა, დიდი! მატჩის დროსაც ამა თუ იმ დარიგებას აძლევდა აღზრდილებს თავისსა. აღსანიშნავია ესეც: ყოველ მათგანს ექცეოდა როგორც ნამდვილი ძმა, უფროსი ძმა...

გავიფიქრე: მივსალმებოდი გამარჯვებულებს, – გადავიფიქრე. შეიძლება „ეუცხოვოთ-მეთქი“, გავივლე გულში (მიხვდები რის გამო). სიხარულთან ერთად ბასრი ტკივილი ვიგრძენი სულის სილრმეში...“



შვეიცარიაში როგორც წავედით, იმავე გზით დავბრუნდით საქართველოში: უენევა-მოსკოვი-თბილისი. ორჯერ ვიყავი მოწმე აეროპორტში, თვითმფრინავის ტრაპთან როგორ მოიყარა თავი უამრავმა გახარებულმა ადამიანმა. პირველად 1962 წელს, ჩემპიონთა თასი თბილისში რომ ჩამოვიტანეთ, მეორედ 1981 წელს, საფეხბურთო „დინამომ“ რომ მოიგო თასების თასი.

თვითმფრინავის კარი რომ გაიღო და აუარებელი მოზეიმე ადამიანი დავინახე, მაშინ უკეთ გავაანალიზე რა მოხდა უენევაში. თუმცა, იმ მომენტში თავი უხერხულად ვიგრძენი. აი, რატომ: შვეიცარიიდან მოსკოვში რომ ჩავფრინდით, შოტლანდიური ტერიერი შევიძინე ერთ გამყიდველთან, რომელთანაც მანამდე ვიყავი შეთანხმებული. წარმოიდგინეთ, როგორია, ცალხელში ძალით, ცალხელში ჩემპიონთა თასით ტრაპზე გამოჩენა. საბეჭნიეროდ, ჩემმა დეიდაშვილმა სწრაფად გაანალიზა სიტუაცია და ტრაპიდან ჩასვლისთანავე ტერიერი გამომართვა. მეც შვებით ამოვისუნთქე და სიხარულით შევურთდი მოზეიმე ხალხს.

აეროპორტიდან პირდაპირ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის კაბინეტში ამოყენით თავი. ვერცხლის კალათა გადავეცი და ვუთხარით – ამ ჯილდოს თქვენს კაბინეტში ერთი წლით ვტოვებთო. შემდეგ ისევ ფიბა-სთვის უნდა დაგვებრუნებინა, რომ მომავალი ჩემპიონისთვის გადაეცათ. დასანანია, რომ გამარჯვებულ გუნდს თუნდაც ასლა არავინ უტოვებდა, არადა, დღეს, როგორც ვიცი, ევროლიგის ჩემპიონსაც აძლევენ ასლს და თითოეულ კალათბურთელს მინიატურულ თასს ჩუქნიან.

დავბრუნდეთ ვასილ მჟავანაძის კაბინეტში. შეხვედრას ესწრებოდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი და სპორტკომიტეტის ხელმძღვანელი გიორგი სიხარულიძე. ცეკას მდივანმა გამარჯვება მოგვილოცა და გივი ჯავახიშვილს მიუბრუნდა: მილოცვა კარგია, მაგრამ ეს ბიჭები ასეთი გმირობისთვის ხომ უნდა დავაჯილდოვოთ? დადებითი პასუხი რომ მიიღო განაგრძო: რისი საშუალება გვაქვს მატერიალურად წასახალისებლად?

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ არცთუ დიდი ოდენობის თანხა დაასახელა, რაც ვასილ პავლეს ძეს არ მოეწონა და პირდაპირ უთხრა – 15-15 ათასი მანეთი გადავცეთო. ზუსტად ვერ გეტყვით, რისი ყიდვა შეიძლებოდა ამ ფულით, მაგრამ ჩვენთვის სოლიდური თანხა იყო. ამ საქმის უზრუნველყოფა გიორგი სიხარულიძეს დაევალა.

თუმცა, ჯერ სად ხარ? რა თხუთმეტი, რის თხუთმეტი... ვასილ მჟავანაძის კაბინეტში შეხვედრიდან ერთ თვეში გიორგი სიხარულიძემ ბოდიშის მოხდით შეგვატყობინა: იმედი გვაქვს, გაგვიგებთ, საშუალება არ გვაქვს დანაპირები თანხა გადმოგცეთ და 15-ის ნაცვლად 10-10 ათას მანეთს მიიღებთო. არაფერი გვითქამს, 10 ათასიც კარგი რიცხვი იყო.

გავიდა კიდევ ორი თვე და გიორგი ვასილიჩმა გვითხრა: ძალიან გაგრიჭირდა და თქვენი პრემიაც 5 ათასამდე შავამცირეთო. ყურები კი ჩა-

მოვყარეთ, მაგრამ რას ვიზამდით? გიორგი სიხარულიძეზე ნამდვილად არ გავპრაზებულვართ, რადგან ვიცოდით, პირველ რიგში სწორედ მას სურდა რაც შეიძლება უკეთ დაფასებულიყო ჩვენი შრომა.


გვინდით, ჩვენი პრემიის კლება 5 ათასზე შეჩერდა? სამწუხაროდ, თუ სასიხარულოდ, სწორედ იმ პერიოდს დაქმთხვა საფეხბურთო „დინამის“ წარმატება – საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ერთმანეთის მიყოლებით 10 წაუგებელი მატჩი ჩაატარა და მთავრობამ მათი დაფასებაც გადაწყვიტა.

გიორგი სიხარულიძემ გვითხრა: 5-5 ათას მანეთს კი გამოგიწერთ, მაგრამ 1500-1500 ფეხბურთელებს უნდა მივცეთო. ასე და ამგვარად, ჩემპიონთა თასის მოგება მთავრობამ 3500-ად დაგვიფასა, რაც ჩემი ორი თვის ხელფასის ტოლი თანხა იყო.

ჩვენთვის ფული ნამდვილად არ იყო მთავარი, მაშინაც ვხვდებოდით, რომ პრემია შეიძლებოდა ერთ დღეში დახარჯულიყო, სახელი და ხალხისადმი მინიჭებული სიხარული კი ათწლეულებს გაუძლებდა.

უნდა გენახათ, როგორი აღტაცებით გვხვდებოდნენ ქუჩებში, როცა გამარჯვებულები აეროპორტიდან თბილისის ცენტრალური უბნებისკენ კოლონად მივემართებოდით. გულშემატყივარი ჩვენს წარმატებას მთელი დამე ზეიმობდა. სხვათა შორის, ფეხბურთელებმა თასების თასი რომ მოიგეს და სამშობლოში დაბრუნდნენ, იმ საღამოს ბევრმა მოიმარჯვა ლვინით სავსე ჭურჭელი და „დინამის“ სტადიონზე იზეიმა.

მიუხედავად იმისა, რომ სტადიონი გადაჭედილი იყო, ერთი ინციდენტიც არ მომხდარა. დიდ გამარჯვებას, ალბათ, დიდი პოზიტივი შეაქვს ნებისმიერი ადამიანის ხასიათში. ქართველი ხალხი საერთაშორისო წარმატებებს დღესაც მონატრებულია, ძალიან მინდა კიდევ ერთხელ განიცადოს ის სიხარული, რაც 1962 და 1981 წლებში...



2011 წელს ევროპის ჩემპიონატიდან შინ რომ ვბრუნდებოდი, ვილნიუსის

აეროპორტის გვირაბში წამიერად შევჩერდი. არ მინდოდა მითიური სამყაროს დატოვება, რეალობაში დაბრუნება, გამომშვიდობება გმირებთან: ნოვიცკისთან, გასოლთან, კირილენკოსთან... საქართველოს ნაკრებთან, რომელსაც ტრავმებმა ხელ-ფეხი შეუკრა და საფლეიოფო ბრძოლებამდე არ მიუშვა.

ლიტვიდან წამოსვლისას გული იმიტომაც მწყდებოდა, რომ არ ვიცოდი, კიდევ როდის მოვხვდებოდი ასეთ ზღაპარში. თუმცა, დიდი ხანი არ მომინა მოცდა: საბედნიეროდ, მეორედაც მოვხვდი, ოღონდ უფრო ადრინდელ, იდუმალებით მოცულ სამყაროში. იქ გურამ მინაშვილი შემიძლვა, რომელმაც ლეგენდად ქცეული ამბეჭი დეტალებში გამაცნო და შექმნა XX საუკუნის ქართული კალათბურთის 50-60-იანი წლების სრულყოფილი სურათი.

ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში თბილისის „დინამოს“ მიერ მადრიდის „რეალის“ დამარცხება მითად აღარავის მოეჩვენება. ეს რეალობა იყო, მადრიდის „რეალის“ დიდი გუნდისთვის კი უნუგეშო რეალობა. გურამ მინაშვილი გახლდათ პირველი ქართველი, რომელიც 1962 წელს შეეხო ჩემპიონთა თასს, ფიბა-ს პრეზიდენტ უილიამ ჯონსს ჩამოართვა და საქართველოში ჩამოიტანა.

ბატონ გურამთან ერთად წიგნზე მუშაობა რომ დავასრულე, მისი ბინდან გამოსული წამიერად შევჩერდი, არ მინდოდა ზღაპრული სამყაროს გმირთან გამომშვიდობება და აწმყოში დაბრუნება...

წიგნის ბოლოთქმა 1 მარტის დილას დავწერე. წინა დღით ბატონმა გურამმა დამირეკა და მითხრა – წიგნის მეორე ნაწილიც წავიკითხე, შეგიძლია, ფურცლები წაიღოო. შევთანხმდით, რომ ორშაბათს მივიდოდი, რამდენიმე ფოტოზე მინაწერს მასთან ერთად გავაკეთებდი და... წიგნიც დასაბეჭდად მზად იქნებოდა.

წიგნის სათაურის კიდევ ერთ შესაძლო ვერსიაზე ვესაუბრე: მასალის კითხვისას გურამ მინაშვილის ალალად ნათქვამი ერთი მშვენიერი ფრაზა დავიჭირე – „ბურთს კალათისკენ ჩემი გულიც მიჰყვებოდა“. ამ სიტყვებიდან თქვენი ხასიათი და კალათბურთისადმი მიღვომა იკვეთება-მეთქი.

ორშაბათს ხომ მოხვალ, მანამდე კარგად გავაანალიზოთ, ნაჩქარევად ნურაფერს ვიზამთო, მიპასუხა.

ვერ წარმოიდგენთ, როგორი ენთუზიაზმით ეკიდებოდა თავის მომავალ წიგნს, როგორი გულდასმით იხილავდა თითოეულ ფრაზას, გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონიც კი გამოიყენა არაერთხელ და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც...

2 მარტს, ორშაბათს, ბატონი გურამის სახლის კარი სხვამ გამიღო... წინა საღამოს გურამ მინაშვილს გულმა უმტყუნა...

ამ გულმა ათამაშა დიდი კალათბურთი და აცხოვრა გულსავსედ, რაინ-დულად. მისმა გულიანობამაც გვაჩუქა ქართული კალათბურთის დღემდე ყველაზე დიდი გამარჯვება – ევროპის ჩემპიონთა თასის ვერცხლის კალათა.


სხვანაირად ვერ იქნებოდა, სხვანაირად ვერ იცხოვრებდა და ვერ ითამაშებდა – ბურთს ხომ კალათისკენ მისი გულიც მიჰყვებოდა.



სარჩევი

გიორგი გორგოძე	
ბურთს ხომ კალათისკენ მისი გულიც მიჰყვებოდა	5
გურამ მინაშვილი	
წინათქმა	6
როცა პოლიტიკა მსოფლიო ჩემპიონობას გართმევს	11
თბილისი - მუამთა.....	21
გლეხის სიბრძე	33
ცოდარ ჯორჯიძისა სიკეთე	43
სამი ვეროპული ოქრო	55
სი, სინიორ!.. ..	71
დინამიტი სახელად „დინამ“	89
სამი ქართველის ძლიული ხუთი ლატვიელი	101
„დინამ“: მთავარი ზავორიტი ჩემპიონთა თასზე	107
სეტყვა რომის ოლიმპიადაზე	119
გაგულული არმიელები	131
პასი ორი მატრიტ წინ	141
შეუსრულებელი დაპირება	151
მოსკოვური გარიერი ზენევის გზაზე	163
ჩემპიონთა თასი ჩვენია!	173
ქალა ქართული: მაგარი!	181
ვაჟა სიმონიშვილი	
ბოლოთქმა	190





1950-60-იანი წლები ქართული კალათბურთის უფრო მანაა, რა პერიოდი მიცი თბილისში ევროპის ჩემპიონთა თასი ჩამოვარანგოთ. გარდა მშრალი სტატისტიკისა, იყო უამისური ემიცვა, ნერვების ჭდილი, მრიძლია მოუდანხე თუ მის მიღმა...

კულტურის მეცნი საიდუმლოს ინახავს და არ მინდოდა, ეს ყველაფერი ქართული გული გულმრმატებული ქართულის სამუდამოდ მოუწოდებული ყოფილიყო, ჩეგინი კალათბურთის ისტორიის ყველაზე „მოსაფლიანი“ ეტაპი ძნელდა დარჩენილოყო.

მიტომაც მოვყადე ხელი კალაბშ 78 წლის ასაკში და ყერადე ზედმიწვენით გამებსენებინა კველა მინისტრებითან თუ უმნიშვნელო ნიუანსი ჩემი საკალათბურთო ცხოვრები დან.

გურამ მინაშევრი

საქართველოს საორგანიზაციული სამსახურის ასოციაცია

080200
2015

